პრესომბუდსმენი

A3

მითების დრო დამთავრდა

A5

კახა კალაძე - "24 საათის" მუნდიალის ექსპერტი

C2

www.24saati.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი ორშაბათი, 12 ივნისი, 2006 წელი. №128 (1280) ფასი 50 თეთრი

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

"საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას გამოსაყენებელი საკონტროლო სალარო აპარატების სახელმწიფო რეესტრში" დამატებით შეტანილია ფისკალური პრინტერის საკონტროლო სალარო აპარატების შემდეგი მოდელები:

"SLP-01F", "კასბი-02ფ" და "მერკური-180ფ"

(საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 2 მაისის №610-ს და 7 ივნისის №887-ს ბრძანებები).

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი

პოლიტიკა

ისრაელის მორიგი ავიადარტყმა ღაზას სექტორზე

ისრაელის არმიამ კიდევ ერთი ავიადარტყმა მიაყენა ღაზას სექტორს, სადაც მათ სავარაუდოდ, პალესტინელი ბოევიკები ეგულებოდათ.

A3

სამართალი

მოსამართლის ლმობიერი განაჩენი

მას შემდეგ, რაც სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა ერთ-ერთი გახმაურებული საქმის - მაისურაძის საქმის შესწავლა ძალოვან სტრუქტურებს კატეგორიულად მოსთხოვა, თვეებით გაწელილი საქმის განხილვა გორის რაიონულ სასამართლოში დაიწყო.

A4

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

ამინდი

	12/06	13/06
თბილისი	31	31
ქუთაისი	22	29
სოხუმი	23	26
გორი	23	27
ონი	16	22
ზუგდიდი	24	32
ახმეტა	30	30
გაბარა	25	22
სამტრედია	24	33

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.7850
ევრო	2.2575
ბირვანქა სტერლ.	3.2885
რუბლი	0.0661

ამბები	A 2
პოლიტიკა	A 3
სამართალი	A 4
რევიუ	A 5
საზოგადოება	A 6
ტენდერი	A 7
სხვადასხვა	A 8

ამერიკელები უკრაინიდან მიდიან

დროებით, - აცხადებენ კიევში

დიმიტრი ავალიანი

ამერიკელი სამხედროები ყირიმს ტოვებენ. ნატო-ს ეგიდით დაგეგმილი საერთაშორისო სამხედრო წვრთნები See Breeze-2006 გაურკვეველი ვადით გადაიდო. უკრაინის ნატო-სთან ურთიერთობის თემა შიდაპოლიტიკური ბატალიების და რუსეთთან ურთიერთობის გამწვავების საბაბი გახდა.

ორასამდე ამერიკელი სამხედრო, რომელთა ყირიმში გამოჩენას ხმაურიანი საპროტესტო აქციები მოჰყვა, უკრაინას დღეს დატოვებს. უკრაინის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, 225 ამერიკელ რეზერვისტს, რომლებსაც ყირიმში საერთაშორისო წვრთნებისათვის პოლიგონის მომზადება ევალებოდათ, ორკვირიანი გაწვევის ვადა დაუმთავრდათ.

გაგრძელება A3 გვერდზე



ერთობლივი წვრთნებისათვის ყირიმში ჩასული ამერიკელი რეზერვისტები, დღეს შინ დაბრუნდებიან.

ენერგოპრივატიზაცია ახლოვდება

B

16 ივნისს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ქვეყნის ცხრა ენერგოობიექტზე საპრივატიზაციო განაცხადების მიღება მთავრდება. იმავე დღეს ცხრავე ენერგოობიექტი კონკურსის წესით გაიყიდება.

ნარინჯისფერი დომინაცია

C

სამართლებრივი რეფორმის გეგმა მზადაა

„საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგიის“ განხორციელების მმართველი ჯგუფის მიერ მომზადებული სამოქმედო გეგმა უკვე მზად არის. იუსტიციის მინისტრმა გია ქავთარაძემ ის სამართლებრივი რეფორმების კოორდინაციის ხელშემწყობ კომისიას გადასცა.
სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგიის შემმუშავებელი ჯგუფი პრეზიდენტის განკარგულებით შეიქმნა. როგორც ცნობილია, სამუშაო ჯგუფს სტრატეგიის შემუშავებაში საქართველოში ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისია დაეხმარა. სტრატეგიის მთავარ მიზანს წარმოადგენს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმირების ძირითადი პრინციპებისა და მიმართულებების საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების შესაბამისად შემუშავება.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად საჭიროა 291 547 520 ლარი. ამ თანხაში არ შედის იურიდიული განათლების რეფორმის ფინანსური კომპონენტი, ვინაიდან ამ ეტაპზე საჭირო თანხის ოდენობა ვერ დადგინდა.

გაგრძელება A4 გვერდზე

მიწისძვრით დაზარალებულთა გასაჭირი

2002 წელს თბილისში მომხდარი მიწისძვრის შედეგად ასობით შენობა დაზიანდა. შემოწირულობებისა თუ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ კუთხით გამოყოფილმა თანხებმა 20 მილიონ ლარს მიაღწია. როგორც „საქართველოს მოსახლეობის ერთიანობისა და სოლიდარობის კავშირის“ მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ უჩვენა, თანხების უმეტესი ნაწილი არამიზნობრივად არის გახარჯული. არსებობს სხვა სახის დარღვევებიც. მასალები საქართველოს გენერალურ პროკურატურას უკვე გადაეგზავნა.

თამარ დვალი

2002 წლის 25 აპრილს თბილისში მომხდარი მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის მიზნით, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მიერ 2003 წლის 28 ნოემბერის შეთანხმების საფუძველზე, დაფინანსებულ იქნა „მიწისძვრით დაზარალებულთა პროგრამა“. გერმანიის მხარემ გამოყო 2,5 მილიონი ევრო, ხოლო საქართველო მხარემ 500 ათასი ევრო.

საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ობიექტებზე ჩატარებულმა ზოგადი ხასიათის შემოწმებებმა აჩვენა, რომ ადგილი აქვს სახსრების გაფლანგვისა და არამიზნობრივი გამოყენების ფაქტებს. გაურკვეველია თუ რა პრინციპით შეირჩა სარეაბილიტაციო ობიექტები. სიაში მითითებული №6 საავტორო გიმნაზია (პეტრიაშვილის №7) და გეოლოგების სახლი (ჯიქიას №8) მიწისძვრის შედეგად არ დაზიანებულა, ხოლო თბილფოლადკონსტრუქციის ადმინისტრაციული შენობა (კუტუზოვის შეს. №4) გასულ წელს 26 ათას ამერიკულ დოლარად გაიყიდა.

„საქართველოს მოსახლეობის ერთიანობისა და სოლიდარობის კავშირის“ აღმასრულებელი მდივანის ნოდარ ლაზარიაშვილის თქმით, მათ მიერ შემოწმებულ არცერთ ორგანიზაციაში არ არსებობს ჩატარებულ აღდგენით სამუშაოებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია (ხარჯთაღრიცხვა, მიღება-ჩაბარების აქტი და სხვა.)

გაგრძელება A2 გვერდზე

ცოფი

კვლავ მოუგვარებელი პრობლემა

თუ ძაღლმა გიკბინათ, ჭრილობა სასწრაფოდ დაიმუშავეთ საპნიანი წყლით და ექიმს მიმართეთ. გახსოვდეთ, საქართველოში ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინა უფასოა, რომელსაც სამედიცინო დაწესებულებებში, ანტირაბიულ განყოფილებებში ჩაგიტარებენ. სიცოცხლისთვის ყველაზე საშიში ნაკბენი თითებზე და თავზეა, რადგან იქ ბევრი ნერვული დაბოლოებაა და ვირუსი ჩქარა აღწევს ტვინამდე. ამ დროს აუცილებელია ექიმის სასწრაფო ჩარევა, რადგან დაკბენილმა აცრა 24 საათის განმავლობაში უნდა ჩაიტაროს.

თამარ ქადაგიძე

ყველაზე საშიში პერიოდი იმისა, რომ ადამიანი ძაღლმა დაკბინოს გაზაფხული-ზაფხულის სეზონი გახლავთ. საქართველოს რამდენიმე ქალაქსა და რეგიონში სწორედ ამ დროს დაემთხვა ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინების დეფიციტი. რაბიოლოგები „ხმადაბლა“ ამბობენ, რომ თბილისში ვაქცინის მარაგი რამდენიმე თვეა ამოწურულია. ბოლო თვეების განმავლობაში, თბილისს ვაქცინით რუსთავის რაბიოლოგიური სამსახურიდან ამარაგებდნენ. მარაგი რუსთავმაც ამოწურაო... ვაქცინის პრობლემა ასევე შიდა ქართლის რეგიონშიც ყოფილა. სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში აცხდებენ, რომ ეს უმნიშვნელო პრობლემა ტენდერის ჩატარებასთან იყო დაკავშირებული, რომელიც დღეს უკვე გადაჭრილია.

ირკვევა, რომ ე.წ. უმნიშვნელო პრობლემა ყველაზე პრობლემატური საქართველოშია. სწორედ ჩვენი ქვეყანა გახლავთ მსოფლიოში პირველ ადგილზე ცოფით დაავადებულ ადამიანთა ვაქცინაციის სიმრავლით. საქართველოში ცოფზე ყოველწლიურად 10 ათასი მოსახლიდან 600-მდე ადამიანი იცრება. **„ამ მხრივ რეკორდსმენები ვართ,“** - ამბობს დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელი პაატა იმნაძე და პარალელს ევროპის ქვეყნებთან ავლებს: **„ვაქცინაციის ძალიან მაღალი მაჩვენებლის მიუხედავად, ჩვენი უბედურება ისაა, რომ ცოფით წელიწადში 10-11 ადამიანი იღუპება. ძალიან დიდი სასწაული უნდა მოხდეს მთელ ევროპაში, რომ წლის განმავლობაში ცოფით მაქსიმუმ 2 ადამიანი გარდაიცვალოს.“** ჩვენთან წელს უკვე გარდაცვალების 3 შემთხვევა დაფიქსირდა, იმნაძე აცხადებს, რომ არც ერთ მათგანს არ მიუმართავს ექიმისთვის.

გაგრძელება A2 გვერდზე

ცოფი - კვლავ მოუგვარებელი პრობლემა

ჰირველი გვერდიდან

საკითხი, რომელიც ევროპამ კარგა ხნის წინ მოაგვარა, საქართველოში კვლავ გადაუჭრელია. მის აქტუალურობას ცოფიანი ძაღლების გარშემო შექმნილი პრობლემების ჯაჭვი ადასტურებს. მიზეზი ბევრია... პირველი და ყველაზე აქტუალური, მაწანწალა ძაღლების სიმრავლეა, რომლის მოგვარებაც ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურის დაქვემდებარებაში მყოფი ძაღლმჭერი ბრიგადებს ევალება.

„მაწანწალა ძაღლების პრობლემა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან გახდა აქტუალური. იქამდე, ცოფით წლის განმავლობაში ერთი-ორი ადამიანი იღუპებოდა. ყველაზე ცუდი 1996 წელი იყო, ამ წელს ცოფით 22 ადამიანი გარდაიცვალა. ცოფიანი ძაღლების პრობლემაზე მუდმივად ლაპარაკობენ, მაგრამ არაფერი იცვლება, დღემდე ვერ მოიძებნა ამ პრობლემის გადაჭრის გზა,“ - აღნიშნა პაატა იმნაძემ.

არადა, ევროპაში გაცილებით მეტი ძაღლია, მაგრამ შინაურსაც და „გარეულსაც“ პატრონი ჰყავს. საქართველოში სტატისტიკურად დაკბენილი მოსახლეობის ნახევარი ოჯახის ძაღლების მიერაა ცოფით დაავადებული. ევროპელებისთვის უცხოა „მიკედლებული ძაღლების“ არსებობაც. დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელი ურჩევს ჩვენს მოსახლეობას, რომ სადარბაზოებთან შემოჩვეულ ძაღლებს ბოლომდე უპატრონონ, გაუკეთონ აცრა, რადგან ცოფით დაავადების ყველაზე დიდი რისკი, სწორედ ამ ძაღლებისგან მოდის. საქართველოში ადამიანის ცოფით დაავადების მთავარი „მიზეზი“ ძაღლია, თუმცა კატისგან დაავადებული რამდენიმე შემთხვევაცაა აღრიცხული.

მშვიდად ყოფნის უფლება არ გვაქვს, მაგრამ ჩვენზე ცუდ დღეში ამერიკელები არიან. პაატა იმნაძისგან როგორც შევიტყვეთ, ამერიკაში ცოფის მატარებელი ღამურები ყოფილან. საქართველოში, საბედნიეროდ, ცოფიანი ღამურა ჯერ არ დაფიქსირებულა. ამ პრობლემის მოგვარება ამერიკაშიც უჭირთ.

მაწანწალა ძაღლებთან მოთამაშე პატარებს, თბილისში ბევრგან შეხვდებით.

ირაკლი ლეჟავა, ფოტო

თვითმკვლელობები გუანტანამოში

სამმა პატიმარმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე გუანტანამოს ციხეში. ვარაუდობენ, რომ მათ თვითმკვლელობა წინასწარ ჰქონდათ შეთანხმებული.

პატიმრებმა, რომლებიც ერთერთ ყველაზე დაცულ ბანაკში იმყოფებოდნენ, თავი საკუთარ კამერებში ჩამოიხრჩვეს. თოკები თეთრეულისა და ტანსაცმლისაგან იყო შეკრული.

სუიციდის აქტი პირველია ციხის ისტორიაში. ციხის უფროსის თქმით, პატიმართა ეს ქმედება „ომის წარმოების“ ერთ-ერთი ხერხია. სამართალდამცველები კი ამ ფაქტს „სასოწარკვეთის აქტს“ უწოდებენ.

კუბაში განლაგებულ გუანტანამოს ციხეში 460 პატიმარია. ციხე ოთხი წელია არსებობს და მისი სახელი ბევრ სკანდალს უკავშირდება. იქ ათეულობით თვითმკვლელობის მცდელობის ფაქტი დაფიქსირებულა, თუმცა არც ერთი მათგანი აქამდე წარმატებული არ ყოფილა.

რაც შეეხება პატიმრებს, მათი უმრავლესობა „ალ-ქაიდასთან“, ან თალიბებთან კავშირშია ეჭვმიტანილი. მათი უმრავლესობა უკვე ოთხი წელია ციხეშია, თუმცა მათთვის ბრალდებები დღემდე არ წაუყენებიათ. მომხდარ ფაქტზე უკვე მიმდინარეობს საქმის გამოძიება.

ინტერპრესნიუსი

მიწისძვრით დაზარალებულთა გასაჭირი

ჰირველი გვერდიდან

„როგორც წესი, არცერთ ობიექტზე შესრულებულ სარემონტო სამუშაოთა მოცულობა არ არის ასახული ორგანიზაციის წლიურ საფინანსო ბალანსში, რაც იძლევა დროის სხვა და სხვა პერიოდში, ერთი და იგივე სარემონტო სამუშაოთა დუბლირებისა და ობიექტის რეალური ღირებულების შემცირების შესაძლებლობას. N6 გიმნაზიის კორპუსის გასამაგრებლად ს/ს „მონოლითმშენმა“ 2000 წელს საბიუჯეტო სახსრებით ჩაატარა გამაგრებითი სამუშაოები, ხოლო 2004 წელს კი გერმანიის მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხებიდან კვლავ გადაირიცხა ფული,“ - განაცხადა ლაზარიაშვილმა. მისივე თქმით, განსაკუთრებით უხარისხოდ ჩატარდა სარემონტო სამუშაოები ლტოლვილთა კომპაქტურად დასახლების ადგილებში. თანხების არამიზნობრივი განკარგვის სანიმუშო მაგალითს წარმოადგენს საჩხერის საშუალო სკოლის სარეაბილიტაციოდ 243 ათასი ევროს გადარიცხვის ფაქტი. აღსანიშნავია, რომ თანხები თბილისში მომხარი მიწისძვრის გამო გამოიყო, თუმცა 243 ათასი ევრო საჩხერეში გადარიცხეს. გავრცელებული ინფორმაციით, იგივე სკოლის შენობა ბიძინა ივანიშვილის სახსრებით უკვე გარემონტებული იყო.

ლტოლვილთა კომპაქტურად ჩასახლებული ობიექტების უმრავლესობა, რომელთა გარემონტებაზეც ფული დაიხარჯა, ან გაიყიდა, ან უახლოეს მომავალშია იგეგმება მათი გაყიდვა.

საქართველოს ქონების მართვის სამინისტრომ 2002 წლის 23 მაისს გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც, თბილისში მიწისძვრის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დროებით შესახლება უნდა მომხდარიყო სხვადასხვა დაწესებულებებში. ამ მიზნით, ქვემოთ ჩამოთვლილ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს დაევალათ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთვის შესაბამისი ფართი გამოეყოთ. ს/ს „ორიონი“-ს ბალანსზე რიცხული თბილისის გლდანის მე-7 მიკრორაიონში მდებარე შენობიდან 3 000 კვ.მ ფართობი; შპს „საქავიამშენი“-ს ბალანსზე რიცხული თბილისის აეროპორტის დასახლებაში მდებარე შენობიდან 500 კვ.მ ფართობი; შპს „საფეიქრო მრეწველობის ინსტიტუტი“-ს ბალანსზე რიცხული ქერჩის ქუჩა № 12-ში მდებარე შენობიდან 2000 კვ.მ ფართბი; სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბალანსზე რიცხული გურამიშვილის №17-ში მდებარე შენობიდან 500 კვ.მ ფართობი.

თბილისის მერიას მიწისძვრით დაზარალებული მოსახლეობის შესასახლებლად, შემდეგ მისამართებზე გამოეყო ფართი: ს/ს „ელვა“-ს ბალანსზე რიცხული თბილისის ჯიქიას №5-ში მდებარე შენობიდან 840 კვ.მ ფართობი; შპს „ელვა“-სა და მინდელის №7-ში მდებარე სამთო მექანიკის ინსტიტუტის ბალანსზე რიცხულ 1000 კვ.მ. ფართობში მიწისძვრით დაზარალებულებს არასდროს უცხოვრიათ. ამ შენობებში ძირითადად კომერციული ორგანიზაციების ოფისებია განლაგებული. ჯიქიას №18-ში მიწისძვრით დაზარალებულებისთვის გამოყოფილი 80 ბინიდან, მხოლოდ 20 ბინა აქვს დაკავებული ამ კატეგორიის ხალხს, დანარჩენი ან გაქირავებულია, ან გაყიდული.

ჯიქიას №5-ში მდებარე ს/ს „ელვას“-სთან დაკავშირებით, 2002 წლის 2 ივლისს თბილისის მაშინდელმა პრემიერმა შერაძემ წერილობით მიმართა ქონების მართვის სამინისტროს და ითხოვა, რომ აღნიშნული მისამართის სანაცვლად, ბაგების საერთო საცხოვრებელში გამოეყოთ ფართი. შევიდა თუ არა ბრძანებაში ცვლილება, ამის შესახებ ეკონომიკის სამინისტრო ორ ურთიერთგამომრიცხავ პასუხს იძლევა.

2005 წლის 30 დეკემბერს „საქართველოს მოსახლეობის ერთიანობისა და სოლიდარობის კავშირის“ წერილზე, ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე ნათია თურნავა პასუხობს, რომ მინისტრის 2002 წლის 23 მაისის №1-3/362 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ ინფორმაცია მათ კომპიუტერულ არქივში არ მოიპოვება.

მას შემდეგ, რაც ამ საკითხთან დაკავშირებით ხმაური ატყდა, 2006 წლის 6 აპრილს თავად მერიის ადმინისტრაცია მიმართავს ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციის მისაღებად. მანამდე ისინი აცხადებდნენ, რომ აღნიშნული საკითხი ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს პრეროგატივა იყო.

„გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი პოზიცია, თანახმა ხართ თუ არა მიწისძვრით დაზარალებული ოჯახებისთვის (რომელთა რაოდენობა საკმაოდ მრავალრიცხოვანი) გადაცემის მიზნით თბილისის მერიას გადაეცეს ქონების მართვის სამინიტროს 2002 წლის 23 მაისის №1-3/362 ბრძანებაში აღნიშნული ფართობი. თანხმობის შემთხვევაში გთხოვთ გამოყოთ წარმომადგენელი შესაბამისი დოკუმენტაციის გასაფორმებლად“.

ამ შემთხვევაში ეკონომიკის განვითარების სამინისტრო შემდეგ პასუხს იძლევა: ს/ს „ელვა“-ს ბალანსზე რიცხული ფართის შესახებ გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის პრემიერის 2002 წლის 2 ივლისის წერილის საფუძველზე ბრძანებაში განხორციელდა ცვლილება. ს/ს „ელვას“ ბალანსზე რიცხული შენობა ამოღებულ იქნა ორგანიზაციების ჩამონათვალიდან, რომელშიც უნდა განთავსებულიყვნენ მიწისძვრით დაზარალებულები.

აქვე ნათქვამია, რომ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 2002 წლის 23 მაისის ბრძანება **არ ითვალისწინებს აღნიშნული ფართების თბილისის მერიისთვის გადაცემას.**

ჩვენს კითხვაზე, თუ რატომ დაინტერესდა თბილისის მერია ამ საკითხით 2006 წელს და მანამდე რატომ არ მოხდა ქმედითი ღონისძიებების გატარება, მერიის ადგილობრივი ქონების მართვის სამსახურის უფროსმა ლევან ალაფიშვილმა გვიპასუხა, რომ მათი სამსახური 2003 წელს ჩამოყალიბდა, ხოლო საბინაო საკითხები 2005 წელს გადაეცათ.

„აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მერიაში არანაირი საბუთი არ არსებობს. ფართებს რაიონული გამგეობები ანაწილებდნენ,“ - განაცხადა ალაფიშვილმა.

ვაკე-საბურთალოს რაიონულ გამგეობაში გვიპასუხეს, რომ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციის მისაღებად ომარ აბულაძისთვის უნდა მიგვემართა. იგი თბილისის საკრებულოს დეპუტატი და გამგეობის ყოფილი თანამშრომელია. აბულაძე წლების განმავლობაში გამგეობაში კეთილმოწყობის სამსახურს ხელმძღვანელობდა.

„არ ვიცი რატომ ვერ მოხერხდა აღნიშნულ ფართში მიწისძვრით დაზარალებულების შესახლება. რაც გამგეობიდან წამოვედი არ ვიცი სად არის დოკუმენტები. თუმცა, როგორც ვიცი, ქონების მართვის სამინისტროსა და მერიას შორის მიღება-ჩაბარების დოკუმენტი არ გაფორმებულა. ჩემი ინფორმაციით ჯიქიას 5 უკვე გაყიდულია,“ - განაცხადა აბულაძემ.

როგორც ჩანს, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არცერთ უწყებას არ გააჩნია არც დოკუმენტაცია და არც ინფორმაცია. აღნიშნულ საკითხებს უახლოეს მომავალში საქართველოს გენერალური პროკურატურა გამოიებს.

ესთეტიკური მიდგომა ანუ ჯანმრთელობა = სილამაზეს

თბილისის ერთ-ერთ ულამაზეს შენობაში, „თი-ბი-სი ბანკის“ სათავო ოფისში, ძალიან ესთეტიკურ გარემოში ჟურნალ „ესთეტიკური მედიცინის“ პრეზენტაცია შედგა.

დარბაზის ერთ კუთხეში სტუმრებს დახვდათ ორიგინალური კერამიკული ნამუშევრების ექსპოზიცია (მხატვარი მანანა მეძმარიაშვილი), კედლებს კი ახალგაზრდა მხატვრების მშვენიერი ტილოები ამშვენებდა (თუთუ კილაძე, მაკა ჯუბრაშვილი).

შინაარსით მრავალფეროვან და პოლიგრაფიულად მაღალი დონის ჟურნალში (გამომცემელი - სამკურნალო, სამეცნიერო და სასწავლო ცენტრი „მარჯანი“) ბევრი საინტერესო რამ ამოვიკითხეთ. მაგალითად, იცით, რა არის ანტიეიჯი და როგორ ვიზრუნოთ დაბერების წინააღმდეგ? ან რომ ჯანმრთელობაზე ზრუნვა სილამაზეს ემსახურება და, პირიქით? ადრეული სიბერე ხომ სწორედ შინაგანი დაავადებებითაა გამოწვეული. და ეს გამოცემაც ესთეტიკური მედიცინის, როგორც სამედიცინო დარგის, პოპულარიზაციას ემსახურება.

ბუნებრივია, ჟურნალის ავტორებთანაც გაჩნდა კითხვები.

მარინა თუშიშვილი, სამკურნალო ცენტრის დირექტორი: „ხუთი წელია, ცენტრი არსებობს და თანდათან ფართოვდება. პრიორიტეტი ჯანმრთელობაა, შემდეგ - ესთეტიკა. ჩვენი მიზანი, პირველ რიგში, იყო პროფესიული დონე და, შესაბამისად, ცენტრი მხოლოდ პროფესიონალებით არის დაკომპლექტებული. გვყავს მოწვეული სპეციალისტები და ჩვენ თვითონაც ვგზავნით ახალგაზრდა კადრებს სასწავლებლად მოსკოვში, საფრანგეთში. ჩატარდა პირველი საერთაშორისო კონფერენცია, ამ დარგზე ხომ მთელ მსოფლიოში დიდი მოთხოვნილებაა. ცენტრის დაარსების იდეის ავტორი და ერთერთი დამფუძნებელია ნანა შავგულიძე.“

ნატა კილაძე, მთავარი ექიმი: „ჩვენ, კომპლექსური მკურნალობის წყალობით, ძალიან კარგი შედეგები გვაქვს. ყველაფერი აქვე, ადგილზეა - დიაგნოსტიკა, ლაბორატორიები, პროცედურები... პაციენტთა რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება. საინტერესოა, რომ მათ შორის უმეტესობა მამაკაცებია, ტიპური პრობლემები - ყურებისა და ცხვირის კორექცია, ალოპეციის (სიმელოტე) თავიდან აცილება.

ცენტრს გამოსაცემად მზად აქვს სახელმძღვანელო ქართულ ენაზე „პრაქტიკული დერმატოკოსმეტოლოგია.“

ჟურნალის შესავალ წერილში ასეთი სიტყვებია: „გარეგნობის ესთეტიკას დიდი მნიშვნელობა აქვს ცხოვრების ხარისხისათვის. თუკი ადამიანი ლამაზად გამოიყურება და მოსწონს საკუთარი თავი, იგი დადებითი ემოციებით არის აღსავსე და თავის გარემოცვასაც ასევე განაწყობს... ესთეტიკური გარეგნობა აუცილებელი კომპონენტია ისეთ მძიმე ეკონომიკურ პირობებშიც კი, როგორშიც საქართველოა...“

24 საათი

მოკლედ

ძალადობის დასასრული თუ შურისძიება?

ტერორისტულ ორგანიზაცია „ალ-ქაიდის“ ერაყში მოქმედმა ჯგუფმა ინტერნეტით გამოაქვეყნა მუქარა, რომ მისი ლიდერის, აბუ მუსა აზ-ზარქავის მკვლელობის შემდეგ ფართომასშტაბიან ოპერაციებს განახორციელებს „მტრის წინააღმდეგ“. ჯგუფის ინფორმაციით, მისმა მმართველმა გუნდმა შეხვედრა გამართა ოთხშაბათს, ზარქავის მკლელობის შემდეგ სტრატეგიაზე მოსალაპარაკებლად და უსამა ბინ-ლადენისადმი ერთგულების დასადასტურებლად.

ზარქავი ერაყში უსამა ბინ- ლადენის მოადგილედ იყო გამოცხადებული. მანამდე, უფრო ადრე, ირანმა გამოთქვა კმაყოფილება ზარქავის სიკვდილის გამო, მაგრამ ირანმავე უარყო ცნობა, თითქოს აშშ-თან გაცვალა სადაზვერვო ინფორმაცია ზარქავის მოკვლამდე. **რადიო თავისუფლება**

მისაღები, საკამათო, დასამუშავებელი და მიუღებელი წინადედებები

ირანი გაერო-ს მუდმივი წევრებისა და გერმანიის მიერ შემუშავებულ წინადადებათა პაკეტს უკვე გაეცნო, რომელიც ბირთვული პრობლემის მოგვარებას ეხება. იგი თეირანში 6 ივნისს, ევროკავშირის საგარო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესმა წარმომადგენელმა ხავიერ სოლანამ ჩაიტანა.

ეს არის კომპლექსური გეგმა, რომელიც ირანისათვის ეკონომიკურ და პოლიტიკურ დახმარებას ითვალისწინებს ურანის გამდიდრებაზე უარის თქმის სანაცვლოდ.

წინადადებათა პაკეტის ზოგიერთი პუნქტი ირანისათვის მიუღებელია. როგორც ირანის საგარეო საქმეთა სამინისტრო იუწყება, ქვეყნის ხელმძღვანელობა წინადადებებს ოთხ კატეგორიად ყოფს: მისაღები წინადადებები, საკამათო წინადადებები, წინადადებები, რომლებიც დამუშავებას საჭიროებს და მიუღებელი წინადადებები.

ანალიტიკოსების ვარაუდით, მიუღებელ წინადადებაში შედის ურანის გამდიდრებისათვის საჭირო სამუშაოების შეწყვეტა და თუ ეს ასეა, მაშინ მოლაპარაკებები შესაძლებელია, ჩიხში შევიდეს. **ინტერპრესნიუსი**

სსრკ-ს ერთადერთი პრეზიდენტი აუქციონს მართავს

მიხეილ გორბაჩოვმა ლონდონში საქველმოქმედო აქცია გამართა.

საბჭოთა კავშირის ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ გორბაჩოვმა ლონდონში საქველმოქმედო აუქციონი გამართა. აუქციონიდან შეგროვილი თანხა რაისა გორბაჩოვას ფონდში გადაირიცხა, რომელიც კიბოთი დაავადებულ ბავშვთა დასახმარებლად შეიქმნა.

აუქციონი ჰერცოგ სპენსერის სასახლეში გაიმართა. მას 400 სტუმარი დაესწრო, მათ შორის იყვნენ მსახიობი ორლანდო ბლუმი, მუსიკოსი ქვინსი ჯონსი და მწერალი სალმან რუშდი.

აუქციონის ჩასატარებლად თანხა რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატმა, „აეროფლოტის“ აქციონერმა და გორბაჩოვის საქმიანმა პარტნიორმა ალექსანდრე ლებედევმა გამოჰყო. ცოტა ხნით ადრე, გორბაჩოვმა და ლებედევმა რუსეთში „ახალი გაზეთის“ აქციათა 49% შეიძინეს. **ინტერპრესნიუსი**

ავღანეთში შეტაკებები გრძელდება

ავღანეთში პრეზიდენტმა ჰამიდ კარზაიმ უარყო ინფორმაცია, თითქოს აყალიბებდეს შენაერთს, სამხრეთ ავღანეთში „თალიბანთან“ საბრძოლველად. კარზაის განმარტებით, უშიშროების ძალების რიგებს განმატკიცებენ რეგიონშივე, ადგილზე რეკრუტირებული ძალები. კარზაის ამ განცხადების ფონია თალიბანის ყველაზე აქტიური და მასშტაბური ოპერაციები 2001 წლის შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც ავღანეთში თალიბანის რეჟიმი დაამხეს. გასული სამი კვირის მანძილზე შეტაკებებმა 500-ზე მეტი კაცის, უმეტესწილად მეამბოხეების სიცოცხლე შეიწირა. **24 საათი**

პარლამენტი მეფის წინააღმდეგ

ნეპალის პარლამენტი მიემხრო მეფე გიანენდრასთვის ვეტოს უფლების ჩამორთმევას, პარლამენტში მიღებული გადაწყვეტილებების კონტექსტში. ეს ზომა უკავშირდება პარლამენტარების მისწრაფებას, ჩამოართვან მეფეს ძალაუფლების მნიშვნელოვანი ნაწილი და მას წარმომადგენლობითი ფუნქციები დაუტოვონ. ახალი კანონის შესაბამისად, პარლამენტარებს აღარ სჭირდება მეფის დასტური საიმისოდ, რომ კანონ-პროექტი - კანონი გახდეს. **რადიო თავისუფლება**

მოკლედ

ტენდერში სასკოლო ფორმების გამარჯვებული დღეს გამოვლინდება

დღეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინიტროში სატენდერო პაკეტები გაიხსნება, რომელის სამინისტრომ სასკოლო ფორმების შეკერვაზე გამოაცხადა. პირველი-მეექვსე კლასის მოსასწავლეთათვის უნიფორმების ოთხი ვარიანტი შეიკერება. კომპლექტში ქვედაბოლოები, პულოვერები და ჰალსტუხებიც შედის. 41 500 ცალი გოგონებისთვის, ხოლო 48 500 ცალი ვაჟებისთვის იქნება განკუთვნილი. ტენდერში გამარჯვებულმა ფირმამ თუ ინდმეწარმემ სასკოლო ფორმები 20 აგვისტომდე უნდა შეკეროს. სასკოლო ფორმა ითვალისწინებს - ქვედა ბოლო, უსახელო პულოვერი, პულოვერი და ჰალსტუხი 4 სხვადასხვა მოდელი. დაფინანსების წყარო - ცენტრალური ბიუჯეტი, პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა „იაკობ გოგებაშვილი - საქართველოს საჯარო სკოლების რეაბილიტაცია“. **ჯი-ეიჩ-ენი**

ოქმებს განათლების სამინისტროში წარადგენენ

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 7 ივნისს ჩატარებული სამეურვეო საბჭოების არჩევნების შედეგების ოქმების განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარდგენის ვადა დღეს იწურება. საარჩევნო ოქმებს სკოლები თავდაპირველად ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრებში (ყოფილ განათლების განყოფილებებში) წარადგენენ. რესურს-ცენტრებმა კი განათლების სამინისტროსთვის მათი დროული მიწოდება უნდა უზრუნველყონ. როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განაცხადეს, ამ ოქმების საფუძველზე უნდა დაინიშნოს არჩევნების მეორე ტური იმ სკოლებში, სადაც არჩევნები ჩაიშალა ან კანდიდატებისთვის მიცემული ხმები შუაზე გაიყო. ცნობისთვის: სამეურვეო საბჭო არის სკოლის თვითმმართველობის ორგანო, რომელიც დამოუკიდებლად ირჩევს სკოლის დირექტორს, იხილავს და ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს, სასწავლო გეგმასა და სკოლისათვის სასურველი სახელმძღვანელოების ნუსხას. სამეურვეო საბჭოების არჩევნები საქართველოს სკოლებში პირველად ჩატარდა. 7 ივნისს საბჭოებში პედაგოგებისა და მშობლების წარმომადგენლები აირჩიეს. მოსწავლეთა წარმომადგენელთა არჩევნები კი 2006 წლის სექტემბერში გაიმართება. **მედიანიუსი**

ოზურგეთში აღდგენითი სამუშაოები დაიწყო

რამდენიმე დღის წინ ქალაქ ოზურგეთში სტიქიისგან დაზიანებული 6 საცხოვრებელი სახლის სახურავების შეკეთება და გზების საფარის აღდგენა დაიწყო. ოზურგეთის გამგებლის, ლევან ურუშაძის ინფორმაციით, რადგან ქალაქის ბიუჯეტი მწირია, საკუთარი ძალებით მხოლოდ სტიქიის დროს დაზიანებული ბინების სახურავებს შეაკეთებენ, გზების საფარის აღდგენითს კი - რაიონის გამგეობა. მისივე თქმით, გზების აღდგენისათვის საჭირო თანხა ცენტრალურმა ბიუჯეტმა რაიონის გამგეობას გამოუყო. **ჯი-ეიჩ-ენი**

საზოგადოებრივი ჭანდაცვის ეროვნული სკოლა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ინიციატივით საქართველოში შეიქმნება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული სკოლა. მისი მიზანია მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მომზადება. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ახალი სასწავლებელი შეესაბამება თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს და, სავარაუდოდ, ფუნქციონირებას მომავალი სასწავლო წლიდან დაიწყებს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ გამოთქვა მზადყოფნა სკოლას გამოუყოს შენობა და ასევე ფინანსური საშუალებები სკოლის მატერიალური და ტექნიკური ბაზის უზრუნველსაყოფად.

ჯი-ეიჩ-ენი

გარევაჭრობის ფარდულების მოწესრიგება დაიწყო

თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა, ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად, გუშინ ცენტრალურ მაგისტრალებზე გარევაჭრობის ფარდულების მოწესრიგება დაიწყო. როგორც მერიის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ გიორგი საგინაშვილმა განაცხადა, მსგავსი სახის ფარდულები აღარ იქნება ვაჟა-ფშაველას, ყაზბეგის, პეკინის და მელიქიშვილების გაზირებზე. მისი თქმით, ყველა იმ გარევაჭრობის ფარდულის დემონტაჟი განხორციელდება, რომლიც სტანდარტს არ შეესაბამება და მოსაწესრიგებელი იქნება. **ინტერპრესნიუსი**

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

ამერიკელები უკრაინიდან მიდიან

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

14 მაისისთვის უმაღლესმა რადამ საერთაშორისო წვრთნების ჩატარებაზე ნებართვის საკითხი უნდა გადაწყვიტოს. უკრაინის სამხედრო უწყება ირწმუნება, რომ პარლამენტარების დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ამერიკელი სამხედროები ყირიმში სხვა შემადგენლობით დაბრუნდებიან.

თუმცა, საპროტესტო აქციების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, ყირიმის კომუნისტური პარტიის ლიდერი ლეონიდ გრაჩი ამერიკელი სამხედროების წასვლას ნატო-ს მოწინააღმდეგეთა გამარჯვებად მიიჩნევს.

ამავე დროს, უმაღლესი რადას წევრი იულია ტიმოშენკოს ბლოკიდან ვლადიმირ პოლოხალო აცხადებს, რომ ამერიკელების წასვლა საპროტესტო აქციებს არ უკავშირდება. მისი აზრით, საპროტესტო გამოსვლები უკრაინის შიდაპოლიტიკური სიტუაციის შედეგია. იგი განმარტავს, რომ აქციები ვიქტორ იანუკოვიჩის „რეგიონთა პარტიის“ მიერ იმართება და მიზნად მის მიერ საპარლამენტო უმრავლესობის ფორმირებას ისახავს. პოლოხალოს აზრით, სინამდვილეში ყირიმის მოსახლეობის 90 პროცენტი საპროტესტო აქციებისადმი სრულიად გულგრილია.

საერთაშორისო წვრთნები ნატო-ს ეგიდით უკრაინაში აქამდე უპრობლემოდ ტარდებოდა. ეს საკითხი მხოლოდ ახლა გამწვავდა. აქციები ყირიმში, ასევე რუსული ენის სტატუსის დაკანონება უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონებში, მიმომხილველების აზრით, იანუკოვიჩის ბლოკის პოლიტიკური ფანდებია. თუ „რეგიონთა პარტიამ“ პარლამენტში უმრავლესობა შექმნა, ნატო-ს წვრთნებიც და ენის საკითხიც აქტუალობას დაკარგავს.

ფეოდოსიაში "ნატო"-ს საწინააღმდეგო აქციები კვირაზე მეტხანს გრძელდებოდა.

„მდგომარეობა ძალიან უცნაურია. მოსკოვი ძალზე აღშფოთებულია იმის გამო, რაც შესაძლებელია, არც არსებობს,“ - წერს ამის შესახებ გაზეთი The Financial Times. კერძოდ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ უკრაინისა და საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება „კოლოსალური გეოპოლიტიკური ძვრა იქნება“. რუსეთის საახელმწიფო სათათბირომ კი მიიღო რეზილუცია, რომელშიც ნათქვამია, რომ **„უკრაინის გაწევრიანება სამხედრო ბლოკში გამოიწვევს საკმაოდ ნეგატიურ შედეგებს ორ მოძმე ერს შორის ურთიერთობის მთელი კომპლექსისათვის.“**

ნატო-ში გაწევრიანება უკრაინის ხელისუფლების მიერ დეკლარირებული ოფიციალური პოლიტიკაა. ამაში მას მხარს უჭერს აშშ სახელმწიფო დეპარტამენტიც. თუმცა, უკრაინის მოსახლეობის დიდი ნაწილი, ასევე ნატო-ს ცალკეული წამყვანი წევრები ევროპაში ამ იდეის მიმართ ასე გაბედულად განწყობილნი არ არიან.

„ნაწილობრივ პრობლემა თავად უკრაინაში არსებობს, სადაც იუშჩენკო ჯერ კიდევ ახალი მთავრობის შექმნას ცდილობს, მას შემდეგ, რაც მარტის საპარლამენტო არჩევნებმა მისი პოპულარობის მკვეთრი ვარდნა აჩვენა. პრობლემას ნაწილობრივ ევროკავშირი ქმნის, სადაც მომავალი გაფართოების ეჭვქვეშ დაყენება ნიშნავს, რომ მრავალ წევრ სახელმწიფოს უკრაინისათვის გაწევრიანების იმედის მიცემა არ სურს. ნაწილობრივ - რუსეთი, სადაც უკრაინის დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ აბერაციად ითვლება, რომელიც უნდა გამოსწორდეს. ნაწილობრივ - ვაშინგტონი, სადაც პრეზიდენტ ბუშს ჰაერივით სჭირდება საგარეოპოლიტიკური წარმატება იმისთვის, რომ კონგრესის არჩევნების წინ რესპუბლიკური პარტიის პოზიციები გაამყაროს,“ - აღნიშნავს The Financial Times.

„იუშჩენკო ნატო-ში გაწევრიანების იდეას ფრთხილად უჭერს მხარს, რადგან ამას ევროკავშირში გაწევრიანების პირველ ნაბიჯად მიიჩნევს. თუმცა, მან იცის, რომ ეს უკრაინელთა 64 პროცენტს არ სურს. ევროკავშირში გაწევრიანებას, ბოლო გამოკითხვის თანახმად, მხოლოდ 12 პროცენტი ემხრობა. ისინი რუსების ზედმეტ გაღიზიანებას ერიდებიან,“ - წერს გაზეთი.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ნატო-ს ევროპელი წევრებიდან ალიანსში უკრაინისა და საქართველოს მიღების ყველაზე ღია მოწინააღმდეგე საფრანგეთია. მიზეზი არა რუსეთის განაწყენების შიშია, არამედ აზრი იმის შესახებ, რომ ეს ქვეყნები გაწევრიანებისათვის მზად არ არიან, ალიანსს კი ჯერ ახალმიღებული წევრებიც ვერ „მოუნელებია“.

გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმაც თავისი კაბინეტის წევრებს მიანიშნა, რომ მიზანშეწონილად არ მიიჩნევს უკრაინის ნატო-ში გაწევრიანების, როგორც ევროკავშირში მისი შესვლის, პირველი ნაბიჯის მხარდაჭერას.

„ეს ყველაფერი მოწმობს, რომ მოსკოვის რეაქცია ზედმეტად მწვავეა. ირონია ისაა, რომ თუ მოსკოვი ზედმეტად ახმაურდება, ამით მან, შესაძლოა, ევროპელებს აშშ-სთან უფრო მჭიდრო ურთიერთობების დამყარებისკენ უბიძგოს. მაგრამ, დასაწყისისთვის, უკრაინამ საკუთარ სახლში წესრიგი უნა დაამყაროს,“ - წერს The Financial Times.

ისრაელის მორიგი ავიადარტყმა ღაზას სექტორზე

ისრაელის არმიამ კიდევ ერთი ავიადარტყმა მიაყენა ღაზას სექტორს, სადაც მათ სავარაუდოდ, პალესტინელი ბოევიკები ეგულებოდათ. ისრაელის საინფორმაციო წყაროების მიერ გავრცელებული ცნობით, თავდასხმას 2 ადამიანი შეეწირა, ხოლო 2 დაიჭრა.

ისრაელის ხელისუფლების წარმომადგენელთა თქმით, დარტყმის სამიზნე პალესტინელ ბოევიკთა პოზიციები იყო, საიდანაც ისრაელის ტერიტორიაზე სარაკეტო შეტევა იგეგმებოდა.

ისრაელის იერიში მხოლოდ ერთი ავიადარტყმით არ ამოწურულა - ღაზას სექტორის ჩრდილოეთ ნაწილში აფეთქებას „ისლამური ჯიჰადის“ ერთი წევრი ემსხვერპლა.

თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ისრაელის იერიშამდე აქტიურობით პალესტინელი ბოევიკებიც გამოირჩეოდნენ. ისრაელის ქალაქ სდეროტის მიმართულებით განხორციელებულ სერიულ სარაკეტო დარტყმებს ერთი მშვიდობიანი მოქალაქე ემსხვერპლა. რაც შეეხება თავდამსხმელს, ცნობები ურთიერთგანსხვავებული იყო. ზოგიერთი წყაროს ინფორმაციით, ისრაელის ტერიორიაზე სარაკეტო იერიში „ჰამას“-მა მიიტანა. ჯერჯერობით საამისოდ საკმარისი მტკიცებულება არ არსებობს, დამტკიცების შემთხვევაში კი საერთაშორისო საზოგადოებას აუცილებლად ექნება პალესტინის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული „ჰამას“-ის პარტიისადმი პრეტენზიების კიდევ ერთხელ წაყენების უფლება.

„ჰამას“-ის მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად, პალესტინა გამოდის ცეცხლის შეწყვეტის ცალმხრივი რეჟიმის შეთანხმებიდან. ამ ნაბიჯს კი ისრაელის იერიშების შედგად დაღუპული მშვიდობიანი პალესტინელების მიზეზით ხსნის.

გარდა ამისა, პალესტინას სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა არ შეუძლია, კერძოდ, საერთო ეროვნული რეფერენდუმის შესახებ წამოჭრილმა აზრთა სხვადასხვაობამ პალესტინის ხელისუფლების შიგნით ჯერჯერობით ჩიხიდან გამოსავლის მოძებნა შეუძლებელი გახადა. რეფერენდუმის დანიშვნა პალესტინის ავტონომიის ლიდერს მაჰმუდ აბასს მიმდინარე წლის 26 ივლისს სურს, რასაც კატეგორიულად ეწინააღმდეგება უმრავლესობაში მყოფი „ჰამას“-ი. საერთო ეროვნულ რეფერენდუმზე ის დოკუმენტი იქნება გამოტანილი მხარდასაჭერად, რომელიც ისრაელის აღიარებას გულისხმობს.

აზრთა სხვადასხვაობა სააკაშვილი-პუტინის შეხვედრაზე

13 ივნისს სანკტ-პეტერბურგში საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თავის რუს კოლეგას ვლადიმირ პუტინს შეხვდება. პრეზიდენტები შეხვედრაზე საქართველო-რუსეთს შორის ბოლო დროს წარმოქმნილი დაძაბულობის განმუხტვას შეეცდებიან.

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ამ შეხვედრაზე დიდ იმედებს ამყარებენ. როგორც პარლამენტის ვიცესპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა განაცხადა, სააკაშვილი-პუტინის შეხვედრაზე შესაძლოა, ძალზე პრინციპული გადაწყვეტილებებიც იქნეს მიღებული.

„ეს შეხვედრა რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის მოგვარების ერთ-ერთი ბოლო შანსია. ის ფაქტი, რომ მსგავსი შეხვედრის ჩატარებაზე ვლადიმერ პუტინი დათანხმდა, უკვე ბევრს მეტყველებს. არსებობს ყველა წინაპირობა იმისთვის, რომ შეხვედრაზე მიღებულ იქნას ისეთი პრინციპული გადაწყვეტილებები, რომლებიც საქართველოს და რუსეთს შორის დაძაბულ სიტუაციას სწრაფი ტემპებით განმუხტავს“, - აღნიშნა მიხეილ მაჭავარიანმა.

ზემოხსენებულ შეხვედრისადმი სკეპტიკურად არის განწყობილი საპარლამენტო ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენელი. ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიციის“ წევრის ფიქრია ჩიხრაძის თქმით, რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები პრეზიდენტების ამ შეხვედრას თავად არ ანიჭებენ დიდ მნიშვნელობას და ეს მხოლოდ ფორმალობად მიაჩნიათ. „ამიტომ, ხელისუფლების წარმომადგენლების ოპტიმიზმის საფუძვლები ჩემთვის ცოტა გაუგებარია“, - თქვა ჩიხრაძემ.

მედიანიუსი

ესპანელებს „ეტა“-სთან მოლაპარაკება არ სურთ

ესპანეთის ხელისუფლებასა და სეპარატისტულ დაჯგუფებას „ეტა“-ს შორის მოლაპარაკებების წინააღმდეგ მიმართულ საპროტესტო მარშში 200 000-ზე მეტმა ესპანელმა მიიღო ონაწილეობა. „ბი-ბი-სი“-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, საპროტესტო მსვლელობა მადრიდში გაიმართა ტერორიზმის მსხვერპლთა ასოციაციის ორგანიზებით.

დემონსტრანტებს ძირითადი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებიც შეუერთდნენ, რომლებიც ასევე კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან რაიმე სახის მოლაპარაკებას სეპარატისტულ ორგანიზაციასთან. მასობრივი დემონსტრაცია ესპანეთის პრემიერ-მინისტრის ხოსე ლუის როდრიგეს საპატეროს მიერ გაკეთებულმა განცხადებამ „ეტა“-სთან მოლაპარაკებების გზით ადგილობრივ ბასკებთან სამშვიდობო გეგმის შეთანხმებაზე ესპანელთა უმრავლესობის მზადყოფნის შესახებ.

ᲐᲠᲩᲘᲔᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲠᲛᲓᲔᲒᲘ

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 202424 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

ᲞᲠᲔᲡᲙᲝᲛᲑᲣᲓᲡᲛᲔᲜᲘ

ნოდარ ლადარია

თავის დროზე ქართველ ფილოსოფოსთა რიგებში ერთი ვაი და ვიში იყო ატეხილი „ვეფხისტყაოსნის“ იმ სტრიქონის გარშემო, რომელსაც შოთა რუსთველი „პლატონისგან სწავლა თქმულს“ უწოდებს: **„სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა მერმე სულსა“**. სტატიებსაც კი წერდნენ იმის თაობაზე, რომ პოეტი ისეთ იდეოლოგიურ გარემოში მოღვაწეობდა, სადაც არისტოტელეს პირდაპირი ხსენება მთლად უსაფრთხო არ იყო (მართალი გითხრათ, ძნელად წარმომიდგენია ასეთი გარემო, მით უმეტეს, საქართველოში — აბა, იმ დროს რა იცოდნენ, რომ ჯერ XIX საუკუნეში მარქსი და ენგელსი დაიწყებდნენ ამაზე ლაპარაკს, მერე კი XX საუკუნის გარიჟრაჟზე ვინმე ვლადიმირ ულიანოვი პლატონისა და არისტოტელეს „ხაზებს“ უკვე ღიად დაუპირისპირებდა ერთმენთს), ამიტომაც პლატონის სახელი აქ მხოლოდ ნიღაბია, თორემ, აბა, სულმნათს როგორ აერეოდა ასეთი რამ!

დისკუსიის შინაარსი და მისი შედეგი ამჟამად არ გვაინტერესებს: მთავარი ისაა, რომ ქართველ ფილოსოფოსთა მშვიდობიან რიგებში ერთ-ერთი სამახსოვრო შფოთის მიზეზი სწორედ პლატონი იყო.

ახლა ეს შფოთი აღარავის ახსოვს. სამაგიეროდ, ცნობილია მეორე დავიდარაბა, რომელიც **მერაბ მამარდაშვილის** ერთმა გამოთქმამ გამოიწვია. ზუსტად ვერ გავიმეორებ, არ მახსოვს, მაგრამ ერთი რამ შემიძლია ვთქვა: საქმე ეხებოდა სამშობლოსა და ჭეშმარიტებას შორის პირველობის დადგენას. მაშინაც ადგაფუნდა მოაზროვნეთა მშვიდი ტბორი...

ახლაც ერთი არეულობა სუფევს ჩვენს საზოგადოებრივ სინამდვილეში და თუმცა არც საგანია ფილოსოფიური და არც ჩვენს პოლიტიკოსებს უკვირთ კინკლაობა, მაგრამ ერთი უცნაური თვისება მაინც აქვს ამ ვითარებას.

საქმე ეხება სახალხო დამცველის მკაცრი გამოსვლების გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს. საქართველოში გავრცელებული საინტერპრეტაციო „კალოდის“ ყველა კარტი ერთდროულად გათამაშდა: პირადი კონფლიქტი (სუბარი-ახალაია), კუთხური ძიძგილაობა (მეგრელები-სვანები), სოციალური დაპირისპირება (ქურდები-არაფები)... არ ვიცი, ვიღაცამ შეიძლება სხვა ახსნაც მიანიჭა სიტუაციას, მაგრამ ახსნათა რიცხვი, რა თქმა უნდა, ვერ იქნებოდა ძალიან დიდი და, რაც მთავარია, ახსნებში არ ფიგურირებს ერთი: კონფლიქტის მონაწილეთა ღირებულებების შეუთავსებლობა. ამგვარი რამის არსებობას ვერავინ რეალურად ვერ წარმოიდგენს საქართველოში. თვით პოლიტიკური ოპოზიციის მიერ სახალხო დამცველის მიმართ გამოთქმული ხოტბადიდება („ფაქტებით მოლაპარაკე და ობიექტური“) მხოლოდ იმას შეიძლება შევადაროთ, რასაც სალომე ზურაბიშვილის მშობლიურ ენაზე la petite mort ჰქვია, ანუ „პატარა სიკვდილი“ — ამ ტერმინით ფრანგები აღნიშნავენ იმ ხანმოკლე კმაყოფილებისა და უძლურების მდგომარეობას, რომელსაც მამაკაცი ორგაზმის შემდეგ განიცდის.

აქ მართლაც აირია კარტები, როგორც **ლუის კეროლის** ცნობილი წიგნის ბოლო თავში. ჯერ თავისუფლების ინსტიტუტის პრიმადონა, **თეა თუთბერიძე** გამოდის ერთობ მოულოდნელი, რომ არა ვთქვათ უხერხული შეფასებით: **„სოზარ სუბარი მხოლოდ კანონიერი ქურდებისა და სვანების ინტერესებს იცავს“** (იხ. „24 საათი“, 8 ივნისი). მართალია, ვერ გავიგე, რანაირად მოხვდნენ „კანონიერი ქურდები“ და სვანები ერთი კლასიფიკაციის ფარგლებში და როგორ შეესაბამება ამგვარი წინადადება საქართველოში ლიბერალური დემოკრატიის ფორპოსტს. თუმცა ახლა უფრო უხეშ მიახლოებაში ვმუშაობთ და ამიტომ სხვანაირ შეკითხვას დავსვამ: რატომ აღმოჩნდა არასამთავრობო ორგანიზაციის ხმა ასე მარკირებულად სახელისუფლებო ტემბრისა?

მეორე მხრივ, გავიგონეთ **დავით კირკიტაძის** გამოსვლა პარლამენტში. აქ სრულიად სამართლიანად იყო ნაჩვენები ჩემი პირველი საყვედურის საფუძვლიანობა: ცამდე მართალია ბ-ნი კირკიტაძე, როცა ამბობს, რომ კუთხურ ნიადაგზე მოცემული კონფლიქტის გადატანა არ ეგების. მაგრამ საკვირველი ისაა, რატომ აღელვებს ეგზომ ეს ყველაფერი: მართლა ის ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ **ბაჩო ახალაიამ** მასაც დააბიჯა ფეხი? — ვის-ვის და ჩვენ ამაზე ყურადღების გადატანა არ გვეკადრება. ერთი სიტყვით, მთავარი შეკითხვა შემდეგნაირად გამოითქმის: რატომ ამჩნევს ბ-ნი კირკიტაძე იმას, რისი შემჩნევის უნარი აქამდე არასოდეს გამოუმჟღავნებია და რატომ ვარდება თავისუფლების ინსტიტუტი იმ ტლაპოში, სადაც აქამდე არასოდეს ჩავარდნილა?

სამწუხაროდ, მხოლოდ სავარაუდო პასუხის შემოთავაზება შემიძლია. სავარაუდო პასუხების სიმრავლიდან კი ყველაზე ოპტიმისტურს ამოვირჩევ: როგორც ეტყობა, ჩვენი საინტერპრეტაციო მეთოდოლოგია (ვინ ვის უკან დგას? ვინ ვისთანაა შეკრული? ვის რა პირადი ინტერესი ამოძრავებს? ვინ ვისი კაცია?), რომელიც, ძირითადად, შუასაუკუნეობრივი რელიქტების ერთობლიობაზეა დაშენებული, კრიზისს განიცდის. როგორც იქნა შევაღწიეთ რეალობის ისეთ მრავალფეროვნებასა და დაძაბულობაში, სადაც ქცევათა ჩვეული არსენალი ვეღარ ქაჩავს. ამიტომაც სტუდენტური მღელვარების ქაფიან ტალღაზე ნაპოვნ და სასწრაფოდ ლიბერალური ძაფებით ამოკემსილ თოჯინას გარსი ეფხრიწება და ნაფლეთებიდან მამაპაპური ნამჯა ეფანტება, ხოლო რევოლუციურ ორომტრიალში შემთხვევით მოკედლებული კუნთმაგარი ბიჭუნა უცებ ხვდება, რომ წარმატებული კარიერისკენ სწრაფვაში აღმართის დახრილობა შეიცვალა და საკუთარი ძალ-ღონის ამარა ვეღარ გაძლებ...

იქნებ ვიოცნებოთ და ვივარაუდოთ, რომ პოლიტიკურ დისკუსიაში მოულოდნელად ჩნდება ღირებულებათა შეუთავსებლობის ფაქტორი? ბოლოს და ბოლოს, თუ ამ სტატიის დასაწყისს დავუბრუნდებით, განა შეიძლება უარვყოთ ერთი მეტად თავშესაქცევი გარემოების სიმბოლურობა? — სახალხო დამცველისა და სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის ხელმძღვანელის გარშემო ავარდნილი ქარიშხლის გადაწყვეტას საზოგადოება ელის ადამიანისაგან, რომელსაც სახელად **პლატონ მამარდაშვილი** ჰქვია...

მართალია, ფილოსოფოსი არაა, მაგრამ, აბა, ჩვენს ღვთივდაცულ სამშობლოში ამას როდის ჰქონია მნიშვნელობა!

მთავარი ისაა, რომ იქნებ გვეღირსოს იმ ორი ქართველის ხილვა, რომლებიც ერთმანეთს მართლაც ღირებულებათა ნიადაგზე წაეკიდება და არა სხვა რამის გამო.

მაგრამ ღირებულებათა დაბადებისა და ამოქმედების გზაზე ბოლო დროს ერთი დაბრკოლება აღიმართა. იქნებ სულაც არაა დაბრკოლება, იქნებ მხოლოდ კენჭია. ამას მნიშვნელობა არა აქვს — სხვა თუ არაფერი, სახარებაც გვკარნახობს, რომ მომავალს გზა უნდა გავუმზადოთ.

ვგულისხმობ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე 8 ივნისს გამოქვეყნებულ სტატიას: **სალომე ზურაბიშვილი**, *„ქაჯების“ ახალი შეტევა*. მე ახლა არ მოვყვები ავტორის სტილისა და ტონის კრიტიკას — ეს უკვე უჩემოდაც მოაგვარეს, თუნდაც, **დავით ზურაბიშვილის** შენიშვნა რად ღირს! არც ყოფილი მინისტრის და ამჟამინდელი ოპოზიციონერის პოლიტიკურ შანსებს განვიხილავ — ეს ჯერ „რადიო-თავისუფლების“ ეთერში და მერე ჩვენი გაზეთის იმავე ნომერშიც გააკეთა **ია ანთაძემ**. მით უმეტეს, რომ სტილის ხარვეზებიც და პოლიტიკური შანსების სიმცირეც, ჩემი აზრით, მეათეხარისხოვანია. უბრალოდ, მთავარი უბედურების აღმოსაჩენად თუ გამოიყენებს კაცი ერთსაც და მეორესაც...

მაშ ასე, მივყვეთ ავტორის მსჯელობას.

თეზისი პირველი: ოპოზიციასთან გაერთიანება არ შეიძლება, რადგან ისიც, ხელისუფლების მსგავსად, **„არ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომელსაც ჰქვია ახალი პოლიტიკა, ახალი საქართველოს მშენებლობა“**. „ის ... რომელსაც ჰქვია“ — თავს ვერ ვიკავებ შენიშვნისაგან: **ნინო ბურჯანაძის** დამახასიათებელი სინტაქსია. არსებითად კი ეს ითქმის: არავინ არაფერს არ აკმაყოფილებს — მაგრამ გვიჩვენა კი ვინმემ თვალნათლივ, რას ნიშნავს ეს „ახალი პოლიტიკა“? ყოველ შემთხვევაში, „საქართველოს გზას“ ჯერ არაფერი უჩვენებია.

თეზისი მეორე: **„ხალხი გადაღლილია ტყუილებით, პოლიტიკური თამაშებით, გარიგებებით, სკამების განაწილებით და, საერთოდ, იმ პოლიტიკით, რომელიც მიისწრაფვის ძალაუფლებისაკენ, ადგილების დამკვიდრებისაკენ და არა ქვეყნის ინტერესებისაკენ“**. ამას კი დემაგოგია ჰქვია. თანაც თავისი პირველადი, წმინდა, ქრესტომათიული მნიშვნელობით. უბრალოდ იმიტომ, რომ პოლიტიკა, რომელიც არაა ორიენტირებული ძალაუფლებისკენ, არც კარგია და არც ცუდი — ასეთი პოლიტიკა, უბრალოდ, არ არსებობს, ან ეს პოლიტიკა არაა.

თეზისი მესამე: არ შეიძლება გაერთიანდე მათთან, ვინც ხალხის ნდობა ვერ მოიპოვა — და რადგან ხალხის ნდობა ვერავინ მოიპოვა, გაერთიანებაც არავისთან არ შეიძლება. შევახსენებ საზოგადოებას, რომ ქალწულები, ჩვეულებრივ პირობებში, არ მშობიარობენ. ქ-ნი ზურაბიშვილი, როგორც ეტყობა საკუთარ პოლიტიკურ ქალწულობაზეა ორიენტირებული და არა ნაყოფის გამოღებაზე. ია ანთაძის უკვე ხსენებულ სტატიაში არის ერთი ადგილი, რომელიც ამგვარი ორიენტაციის გამართლებად შეიძლება ჩაითვალოს: **„ამომრჩეველს, შესაძლოა, სულაც არ მოეწონოს ეს პოლიტიკური ნაზავი... თავისთავადაც ძნელი წარმოსადგენია, რომ, ვთქვათ, ლევან ბერძენიშვილმა და შალვა ნათელაშვილმა ბევრი ადამიანი დაარწმუნონ მათი გაერთიანების ეფექტურობაში“**.

თეზისი მეოთხე: ოპოზიცია არაა სანდო, იმიტომ რომ მაქებენ, როცა მათთან ვარ და მაძაგებენ, როცა მათ ვემიჯნები. ამას კი უკვე ეგოცენტრიზმის სუნი ასდის: ოპოზიციის სახელის ქვეშ გაერთიანებული საზოგადოება დიდად არც მე მეპიტნავება, მაგრამ გაცილებით უფრო უარესი იქნებოდა, სხვანაირად რომ ყოფილიყო. ვერაფერი გავუგე პოლიტიკოსს, რომელიც რეალობას ეჩხუბება, იმის მაგიერ, რომ გამოიყენოს ან აღზარდოს.

და ბოლოს, სინთეზი: **„საქართველო ასე არ აშენდება. „საქართველოს გზა“ შეიქმნა იმისთვის, რომ გაერთიანდეს დაქსაქსული საზოგადოება საქართველოსათვის, საქართველოს გამო, საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე; გაერთიანდნენ ადამიანები, რომლებიც მზად იქნებიან ემსახურონ საქართველოს. ამიტომაც ვსაუბრობდით კოალიციურ მთავრობაზე და მზად ვართ ყველა ჩავრთოთ საქართველოს კრიზისიდან გამოყვანის საქმეში“**. მაგრამ ეს სულაც არაა სინთეზი, რადგან ყველა წინა თეზისი ამტკიცებს მხოლოდ ერთს: ასეთი ადამიანები ამ რეალურ ქვეყანაში არ არსებობენ — არსებობენ მხოლოდ „ქაჯები“.

ერთი შეხედვით, დიდი არაფერი მომხდარა: კიდევ ერთი არაადეკვატური პოლიტიკოსი ვერ გაგვაკვირვებს. მაგრამ არის ერთი მომენტი, რომელიც მთელ ამ კომედიას ტრაგიზმის ნიშნებს ანიჭებს: სალომე ზურაბიშვილი საზოგადოების თვალში დასავლეთს ასახიერებს. ეს არის საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური სიმბოლო დასავლური ღირებულებებისა. დავანებოთ თავი იმის კვლევას, რა საფუძველზეა დამყარებული ამ სიმბოლოს ეფექტურობა. ვთქვათ, ეს საფუძველი ჩვენში გავრცელებული სნობიზმია — მერე რა? მთავარია, რომ it works (ეს მუშაობს), როგორც ამერიკელები იტყვიან. ჰოდა, ამ ეფექტურობის პირდაპირი შედეგი ის იქნება, რომ ქალბატონის აშკარა არაადეკვატურობა პირდაპირი გზა იქნება დასავლეთისა და ყოველივე მასთან დაკავშირებულის დისკრედიტაციისათვის. საწყენი ის კი არ იქნება, რომ ქართული პოლიტიკის კაბადონზე სალომე ზურაბიშვილის მზე ჩაესვენება. საწყენი ის იქნება, თუ მის fulard-ს, მაგალითად, **სოფიკო ჭიაურელის** შლაპები დაჯაბნის. სალომე ზურაბიშვილის ფხუკიანობა დაბრკოლებად იქცა საქართველოში მყარ ლიბერალურ ღირებულებათა დამკვიდრების გზაზე.

მე ვერ დავიწყებ იმის მტკიცებას, რომ ფრანგები ასეთები არ არიან და ქ-ნი ზურაბიშვილი მცდარ შთაბეჭდილებას გვიქმნის პარიზელებზე. მე სხვა გზას ავირჩევ და საზოგადოების ყურადღებას ერთ გარემოებას მივაქცევ: წარმოიდგინეთ, რა აწყობილი საზოგადოებაა დასავლეთში, როგორ ჰარმონიულად მოქმედებს მისი ყოველი რგოლი, რომ იქ ბრწყინვალე ბიუროკრატიული კარიერის შექმნა მათაც შეუძლიათ, ვინც დღესავით ნათელ ქართულ სინამდვილეშიც კი ვერ ამჟღავნებს დამოუკიდებლად წარმატების მიღწევის უნარს. ნუთუ არ გინდათ ამგვარ საზოგადოებაში ცხოვრება?!

სკოლის დაწვის მიზეზი უცნობია

მაია მესხვარიშვილი
ქუთაისიდან

11 ივნისს, გამთენიისას ხანძარი გაუჩნდა წყალტუბოს რაიონის სოფელ ფარცხნაყანევის N4 სკოლის შენობას. შენობა მთლიანად დაიწვა, რადგანაც, როგორც ადგილობრივი მოსახლეობა ამბობს, წყალტუბოს სახანძრო დაცვის სამსახურმა ერთ საათზე მეტი ხნით დაიგვიანა.

„გამთენიისას, დაახლოებით, 4 საათზე შევამჩნიეთ ცეცხლი და იმ წუთშივე დავრეკეთ წყალტუბოს პოლიციასა და სახანძროში, მაგრამ 5 საათამდე არავინ მოგვშველებია. არადა, დროზე რომ მოსულიყვნენ, შენობა გადარჩებოდა. ეს სკოლა აქაური ბავშვების ერთადერთი თავშეყრისა და გართობის ადგილი იყო, სადაც სულ ახლახან მშობლებმა სპორტული დარბაზი გაარემონტეს, მაგრამ ისიც დაიწვა“, - ამბობს ადგილობრივი მკვიდრი ინდირა გუბელაძე.

მოგვიანებით შემთხვევის ადგილზე ქუთაისის სახანძროს სამი მანქანა მივიდა, თუმცა შენობის ნახევარი უკვე დამწვარი იყო, ჭერი კი - ჩანგრეული. მთლიანად განადგურდა სკოლის დოკუმენტაციაც.

სკოლაში 123 ბავშვი სწავლობდა და 17 მასწავლებელი მუშაობდა. ხანძრის გამომწვევი მიზეზები ჯერჯერობით უცნობია. ადგილობრივი მოსახლეობის თქმით, ხანძარი ელექტროენერგიას არ გამოუწვევია, რადგან შენობას იმ დროს დენი არ მიეწოდებოდა. ერთ-ერთი ვერსიით, რეფორმის შედეგად აღნიშნული სკოლის ლიკვიდაცია იგეგმებოდა - ეს სკოლა მხოლოდ 1-9 კლასებს მოიცავდა.

ადგილობრივი მოსახლეობა ხანძრის გამომწვევი მიზეზების დადგენასა და სკოლის დაუყოვნებლივ აღდგენას მოითხოვს, მაგრამ შემთხვევის ადგილზე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები არ გამოჩენილან.

მოკლედ

უკანონო ხე-ტყის რეალიზაცია ყალბი დოკუმენტებით

გარემოს დაცვის ინსპექციის თანამშრომლებმა ქუთაისში ჩატარებული რეიდის შედეგად „კამაზის“ ტიპის მისაბმელიანი ტრაილერი გააჩერეს და მასში 40 კუბური მეტრი წინწოვანი ხის დახერხილი მასალა აღმოაჩინეს. სარელიზაციოდ გამზადებული ხე-ტყე ყალბი დოკუმენტებით ლენტეხის რაიონის მკვიდრს რობერტ ჩარქსელიანს გადაჰქონდა. ჩარქსელიანის მიმართ, რომელსაც სახელმწიფოსთვის 5000 ლარის ზარალის მიყენება ედება ბრალად, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც ლენტეხის რაიონული პროკურატურა იძიებს. **24 საათი**

ბრალდებული პოლიციის მაიორი

ყალბი პირადობის მოწმობებისა და პასპორტების დამზადებისა და გასაღების ფაქტზე ფინანსურმა პოლიციამ პოლიციის მაიორი ზაზა ხევიაშვილი დააკავა.

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარმა სამმართველომ ხევიაშვილთან ერთად კიდევ 4 ეჭვმიტანილი დააკავა.

პოლიციის ინფორმაციით, გაირკვა, რომ ხევიაშვილი, რამდენიმე წელია, უკანონო საქმიანობით იყო დაკავებული და ყალბი პირადობის მოწმობისა და ეროვნული პასპორტის დასამზადებლად მოქალაქეებს 1500 დოლარის ოდენობის თანხას სძალავდა.

პოლიციის მაიორი იუსტიციის სამინისტროს ყოფილი თანამშრომელია. იგი წლების განმავლობაში საპასპორტო განყოფილებაში მუშაობდა და პასპორტების დამზადების გამოცდილება ჰქონდა.

დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ფინანსურმა პოლიციამ, უკანონო საქმიანობის დამადასტურებელი ნივთმტკიცებების გარდა, „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო. საქმეს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტი იძიებს. **ინტერპრესნიუსი**

თვითმკვლელობის მოტივი უცნობია

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტში პატიმარ ნუგზარ გვიჩიანის თვითმკვლელობის მოტივებზე არ საუბრობენ.

როგორც დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განმარტავენ, ამ ეტაპზე პატიმრის თვითმკვლელობის რაიმე ვერსია არ არსებობს.

„პატიმარი იზოლირებული იყო, ჩადენილი ჰქონდა რამდენიმე უმძიმესი დანაშაული, სასჯელს იხდიდა 6 მუხლით, რომელთგან დიდი ნაწილი პრიმა მუხლია. მას საპატიმროში 27 წელი უნდა გაეტარებინა. გვიჩიანს სასჯელის ვადა 2029 წელს ეწურებოდა“, - აცხადებენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტში.

როგორც ცნობილია, ნუგზარ გვიჩიანი სს „თბილგაზის“ ყოფილი გენერალური დირექტორის გია გვიჩიანის ბიძაშვილი იყო. ნათესავებს შორის წლების განმავლობაში კონფლიქტი არსებობდა. მისმა ძმამ ნოდარ გვიჩიანმა გია გვიჩიანი გასულ წელს „ეი-ი-ეს თელასის“ ფინანსური დირექტორის ნიკა ლომინაძის მკვლელობის ორგანიზებაში დაადანაშაულა. გია გვიჩიანი სწორედ ნოდარ გვიჩიანის ჩვენებაზე დაყრდნობით დააკავეს. **ინტერპრესნიუსი**

ინციდენტი პოლიციელებს შორის

შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსს დევი ჭელიძესა და მის მოადგილე ვლადიმერ ბადაგაძეს შორის ინციდენტი მოხდა. გავრცელებული ინფორმაციით, დევი ჭელიძე და ვლადიმერ ბადაგაძე გუშინწინ, გვიან ღამით ერთმანეთს ფიზიკურად გაუსწორდნენ.

ბადაგაძისა და ჭელიძის დაპირისპირების მიზეზი ჯერჯერობით ცნობილი არ არის. ინციდენტის მონაწილეები კომენტარზე კატეგორიულ უარს აცხადებენ. **ინტერპრესნიუსი**

წინასწარი პატიმრობა ოს კრიმინალს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის მიერ ორი დღის წინ სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონის სოფელ ავნევში დაკავებულ ოსი ეროვნების ალან გასიევს აღმკვეთი ღონისძიება - წინასწარი ორთვიანი პატიმრობა გუშინ შეუფარდეს.

როგორც სოდ-ში აცხადებენ, გასიევი იმ კრიმინალური ჯგუფის წევრია, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით ყალბი აშშ დოლარი შემოჰქონდა სარეალიზაციოდ. პოლიციის მტკიცებით, უკვე გამოვლენილია მის მიერ ჩადენილი ათამდე მსგავსი დანაშაული.

„ამჯერად ოფიციალური თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე 1 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ყალბი კუპიურების შემოტანა იგეგმებოდა. თუმცა, ჩვენ მხოლოდ 100 ათასის ამოღება შევძელით“, - აცხადებენ პოლიციაში.

დაკავებისას გასიევმა ძალოვნებს წინააღმდეგობა გაუწია და საპასუხო სროლისას დაიჭრა, მისმა თანამზრახველმა კი მიმალვა მოახერხა.

ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლება გასიევის დაკავების ფაქტს აპროტესტებს და ამტკიცებს, რომ პარასკევს საღამოს საქართველოს შს სამინისტროს 60 სპეცრაზმელი ოსური მხარის დე ფაქტო შს სამინისტროს საგუშაგოს დაესხა თავს.

„ქართველი სპეცრაზმელები სოფელ ავნევში შევიდნენ და ყველა გამვლელი ოსური მანქანის შემოწმება დაიწყეს, რა დროსაც ცეცხლი გახსნეს ავტომანქანა „ნივა“-ს მიმართულებით და ორი მგზავრი დაჭრეს“, - ირწმუნება ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლება. **პრაიმ-ნიუსი**

„სახალხო ბანკმა“ ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების აღსანიშნავად გაავშვთა სახლებს ტელევიზორები გადასცა

„სახალხო ბანკმა“ დღეს ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების აღსანიშნავად თბილისის ყველა ბავშვთა სახლს ტელევიზორები გადასცა.

ბანკი ბრაზილიის ნაკრებს გულშემატკივრობს, ამ გუნდის ფანკლუბს სპონსორობას უწევს და დღეს თავის კლიენტებს ბრაზილიის ნაკრების მაისურებში გამოწყობილი ემსახურება.

როგორც ბანკის პრეზიდენტმა გიორგი გოგუაძემ განაცხადა, საქველმოქმედო აქციის მიზანია, რომ ბავშვთა სახლების აღსაზრდელებმა თავი ბედნიერად იგრძნონ და მსოფლიო ჩემპიონატს თვალი ადევნონ.

მოსამართლის ლმობიერი განაჩენი

მას შემდეგ, რაც სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა ერთ-ერთი გახმაურებული საქმის - მაისურაძის საქმის შესწავლა ძალოვან სტრუქტურებს კატეგორიულად მოსთხოვა, თვეებით გაწელილი საქმის განხილვა გორის რაიონულ სასამართლოში დაიწყო. მოიჯარე მაისურაძისთვის იჯარით აღებული მიწის ჩამორთმევაში, სახალხო დამცველი შიდა ქართლის გუბერნატორს მიხეილ ქარელს ადანაშაულებდა და გენერალურ პროკურატურას მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელის მიერ ჩადენილი ქმედების, რომელიც დანაშაულის ნიშნებს შეიცავდა, გამოძიება მოსთხოვა.

თეა თედლიაშვილი
გორიდან

თუმცა, ეს მაისურაძის საქმის ერთი დეტალია. რაც შეეხება გორის სასამართლოში დაწყებულ პროცესს, საუბარია მაისურაძის მიერ იჯარით აღებულ მიწაზე მოყვანილი პროდუქტის - 500 ტონა ხორბლის ძარცვა-მითვისებაზე, რომელსაც სერიოზული შეხლა-შემოხლა მოჰყვა და რომლის თაობაზეც აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. მიუხედავად იმისა, რომ გამოძიებისთვის ცნობილი იყო დამნაშავეთა ვინაობა, ისინი თვეების მანძილზე არავის დაუსჯია. როგორც ომბუდსმენის აპარატის თანამშრომლები აცხადებდნენ, ძარცვის პროცესს ესწრებოდა გორიდან გამოგზავნილი პოლიციელთა ჯგუფი, რომელებიც მშვიდად ადევნებდნენ თვალყურს განვითარებულ მოვლენებს. ჟურნალისტებთან საუბარში პოლიციელები აცხადებდნენ, რომ ნაბრძანები ჰქონდათ, არ ჩარეულიყვნენ მოსალოდნელ დაპირისპირებაში.

დანაშაულის ჩადენისთვის გორის რაიონულ სასამართლოში ბრალი 3 ეჭვმიტანილს წაუყენეს. სასამართლომ ბრალდებულად ცნო შპს „სალთვისი-2“-ის დირექტორი ზურაბ ზანგალაძე და ყოფილი დირექტორი გოგი კერესელიძე, ბრალდებულის სკამზე აღმოჩნდა, ასევე, თამაზ ებიტაშვილიც. იგი წინა წლებში ქვემო ხვითის სახელმწიფო მეურნეობას ანუ ამჟამინდელ შპს „სალთვისი-2“-ს ხელმძღვანელობდა. ბრალდებულებს, გიორგის სახით, სამ-სამი ათასი ლარის გადახდა დაეკისრათ.

იმის მიუხედავად, რომ საქმეს მსვლელობა მიეცა, მომჩივანი მხარე კმაყოფილი არ არის. ისინი მიიჩნევენ, რომ ჩადენილი იყო სახეზე იყო ძარცვა და არა თვითნებობა, რომლითაც დამნაშავეებს ბრალი წარედგინათ. იმას, რომ მაისურაძის წინააღმდეგ ჩადენილი იყო ძარცვა საქართველოს სახალო დამცველიც ადასტურებს, თუმცა სამართალდამცველი ორგანოები რატომღაც ლმობიერები აღმოჩნდნენ.

„საქმე თავდაპირველად აღძრული იყო ძარცვის კვალიფიკაციით, თუმცა შემდეგ გადაკვალიფიცირდა თვითნებობით, ვინაიდან ეს მუხლი უფრო ლმობიერია და ჯარიმის გადახდას ითვალისწინებს, ხოლო ძარცვა მძიმე სახის დანაშაულია და პატიმრობას ითვალისწინებდა. ამ შემთხვევაში, პოლიციამ ვეღარ გაბედა ასეთი რეზონანსის შემდეგ საქმეზე რეაგირება არ მოეხდინა, თუმცა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მსუბუქი სასჯელი გამოეყენებინა დამნაშავეების მიმართ, რადგან ყველა მათგანი ხელისუფლებასთან დაახლოებული პირია და დავალებებს მათგან იღებდნენ“, - ამბობს ნოდარ მაისურაძე.

როგორც სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები აცხადებენ, ახალი მოიჯარე, შპს „სალთვისი-2“-ის ხელმძღვანელი გიორგი კერესელიძე მაისურაძისთვის მიწერილ ერთერთ წერილში წერდა, რომ მოქმედებდა „ზემდგომი ორგანოების დავალებით“. **„ერთ-ერთ ინციდენტს, მაისურაძის მიერ მოყვანილი ხორბლის თვითნებურად აღების ფაქტს წინ უსწრებდა გიორგი კერესელიძისა და ნოდარ მაისურაძის სატელეფონო საუბარი, სადაც გარკვევით ისმის მუქარა. კერესელიძემ გააფრთხილა მაისურაძე, - თუ მოსავალს არ დათმობ, მოგიტაცებთ ან დაგიჭერთო. როგორც ჩანს, შპს „სალთვისი-2“-ის მართვაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ დაინტერესებული პირები ადგილობრივი მმართველობიდან“**, - აცხადებენ სახალხო დამცველის აპარატში.

პოლიციაზე კიდევ უფრო ლმობიერი აღმოჩნდა გორის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე ბონდო ვათიაშვილი, რომელიც საქმეს იხილავდა. იმ მოტივით, რომ ზურაბ ზანგალაძეს ბიუჯეტის სასარგებლოდ, გირაოს სახით, უკვე გადახდილი ჰქონდა მსგავსი სახის დანაშაულზე 2000 ათასი ლარი, მას კიდევ ათასი ლარის გადახდა ანუ გირაოს სამი ათას ლარამდე შესრულება დააკისრა. ზანგალაძეს ორი ათასი ლარის გირაოს გადახდა გორის რაიონულმა სასამართლომ მაშინ დააკისრა, როცა ადგილობრივი ტელეკომპანიის დარბევის ორგანიზატორობაში ბრალდებულად ცნეს. არადა, სისხლის სამართლის კანონის თანახმად, განმეორებით დანაშაულის ჩამდენს ბრალი უმძიმდება. გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ კი დანაშაულის განმეორებით ჩადენისთვის ბრალდებულ ზანგალაძეს დანაშაული შეუმსუბუქა და ახალი დანაშაულისთვის გადასახდელი თანხა, ძველი დანაშაულის გამო, გადახდილი თანხით შეუვსო.

სამართლებრივი რეფორმის გეგმა მზადაა

პირველი გვერდიდან

სამოქმედო გეგმის ძირითადი ნაწილი 2007-2009 წლებში განხორციელდება, თუმცა ზოგიერთი ღონისძიების გატარება 2010 წლამდე არის დაგეგმილი.

მმართველ ჯგუფს იუსტიციის მინისტრი ხელმძღვანელობდა. სამოქმედო გეგმაში ასახულია რეფორმის სტრატეგიით გათვალისწინებული სასამართლო სისტემის, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, პოლიციის ორგანოების, უფასო სამართლებრივი დახმარების, სასჯელაღსრულების და პროკურატურის სისტემების, სახალხო დამცველის სამსახურის რეფორმის განხორციელების ეტაპები.

სასამართლო რეფორმის ფარგლებში დაგეგმილია სასამართლების რეკონსტრუქცია და მოდერნიზაცია, მოსამართლეთა სწავლების სისტემის გაუმჯობესება, სასამართლოს დამოუკიდებლობის გაძლიერება, მოსამართლეთა დაწინაურების კარიერული პრინციპის დამკვიდრება, მოსამართლეების და სასამართლოების აპარატის თანამშრომლებისთვის სოციალური გარანტიების უზრუნველყოფა და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება.

სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმა მოიცავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ტიპობრივი პროექტის მიღებასა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა პროცესუალური და განსაკუთრებული ნაწილის რეფორმირებას.

საპოლიციო ორგანოების რეფორმისათვის დაგეგმილია შინაგან საქმეთა სამინიტროს სტრუქტურული რეორგანიზაცია; ასევე, პოლიციის სისტემის რეფორმირებისათვის სამართლებრივი ღონისძიებების უზრუნველყოფა, მართვის მენეჯმენტის ეფექტურობის გაზრდა, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება და შიდა ინფრასტრუქტურის განვითარება, საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის პრინციპების ჩამოყალიბება.

ადვოკატურის და სამართლებრივი სისტემის განვითარებისათვის შემუშავდება საკანონმდებლო ბაზა უფასო იურიდიული დახმარების სისტემის რეფორმისთვის, რომლის საფუძველზე, უფასო იურიდიული დახმარება უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

სტრატეგიის სამოქმედო გეგმის თანახმად, პენიტენციური სისტემის რეფორმირება ითვალისწინებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტსა და საპატიმრო დაწესებულებების კომპეტენციათა გამიჯვნასა და ეტაპობრივ დეცენტრალიზაციას; სასჯელაღსრულების სისტემის მართვის მენეჯმენტის ეფექტურობის გაზრდასა და ადეკვატურ სახელფასო ანაზღაურებას; სასჯელაღსრულების სისტემის საზოგადოებრივი მონიტორინგის გაძლიერებას; პენიტენციური სისტემის კომპიუტერიზაციის პროგრამის დასრულებას; საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და საპატიმრო დაწესებულებების მშენებლობასა და რემონტს; მსჯავრდებულთა და პატიმართა მდგომარეობის გაუმჯობესებას; სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ამოქმედებასა და პერსონალის მომზადებას; პრობაციის დეპარტამენტის შესაძლებლობების გაზრდას და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის ინსტიტუტის ამოქმედებას.

პროკურატურის რეფორმის ფარგლებში, დაგეგმილია პროკურატურის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის სრულყოფა; პროკურორთა დანიშვნისა და დისციპლინური დევნის პროცესის გაუმჯობესება და საამისოდ პროკურატურის საბჭოს შექმნა; თანამშრომელთა ეთიკის კოდექსის შემუშავება; პროკურატურის კადრების პროფესიული დონის ამაღლება.

დაგეგმილია ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღება და განხორციელება. როგორც მმართველი ჯგუფის წევრები აცხადებენ, მომზადებული საკანონმდებლო ცვლილება მიმართულია ადამიანის უფლებების უკეთ დაცვის, სასამართლოს როლის გაზრდისა და საპროცესო ვადების შემცირებისკენ.

სამოქმედო გეგმის მიხედვით, იურიდიული განათლების რეფორმის ფარგლებში შემუშავდება იურიდიული განათლების შესახებ საკანონმდებლო ბაზა, რომლითაც თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის პირობები დადგინდება; ამასთან, გათვალისწინებულია ერთიანი სასერტიფიკატო გამოცდის შემოღება და იურისტებისათვის სიცოცხლის მანძილზე განათლების უზრუნველყოფა.

რეფორმა ეხება სახალხო დამცველის სამსახურსაც. დაგეგმილია სპეციალიზებული ცენტრების ჩამოყალიბებაც. იგეგმება სახალხო დამცველის აპარატის უფლებამოსილების გაზრდა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მოქალაქეთა გათვითცნობიერების დონის ამაღლება.

24 საათი

მოკლედ

ნიკოლო ლომინაშვილის საღამო

დღეს თბილისის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ცისფერყანწელი ნიკოლო ლომინაშვილისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო გაიმართება. ლიტერატურულ ღონისძიებას პოეტის ვაჟი, იოამაზ ლომინაშვილი ხელმძღვანელობს.

როგორც ეროვნული ბიბლიოთეკის საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელმა მაია სიმონიშვილმა განაცხადა, ლომინაშვილის შესახებ ინფორმაცია მცირე და საზოგადოებისთვის თითქმის უცნობია. ამიტომაც გადაწყვიტა მისმა ვაჟმა მამის ნაწარმოებები და ცნობები ლომინაიშვილის შესახებ ფართო აუდიტორიისთვის წარედგინა.

ეუთოს მისია ფილმს იღებს

ეუთოს მისია ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის რეაბილიტაციაზე დოკუმენტურ ფილმს იღებს. ფილმის გადაღების მიზანი კონფლიქტის ზონის ეკონომიკური რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოს ანგარიშის ევროკომისიისთვის წარდგენაა. ამის შესახებ ჟურნალისტებს ეუთოს მისიის ოფიცერმა მარტა ფრიმანმა განუცხადა.

გადამღები ჯგუფი იმყოფებოდა ცხინვალის რაიონის სოფლებში - არწევსა და კემერტში, ასევე სამხრეთ ოსეთის სომატურ საავადმყოფოში. ფილმს კონფლიქტის ზონის ეკონომიკური რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში ეუთო აფინანსებს.

მსოფლიოში ყველაზე სექსუალური წიგნი

Playboy-ის ვებგვერდზე იმ 25 რომანის სია გამოქვეყნდა, რომლებიც „კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სექსუალურ წიგნებად“ აღიარეს. რეიტინგის დადგენაზე ცნობილი ჟურნალისტი ჯიმ პეტერსონი და Playboy-ის რედაქტორი სტეისი კლეინი მუშაობდნენ. სიაში ის წიგნები მოხვდა, რომლებმაც დროს გაუძლო. ბევრი მათგანის მიხედვით მხატვრული ფილმებიცაა გადაღებული.

პირველ ადგილზე გავიდა ჯონ კლელანდის 1748-49 წლებში შექმნილი წიგნი „ფანი ჰილი. ქალის მემუარები სიმშვიდისათვის“, მეორე ადგილი დაიკავა დ. ლოურენსის მიერ 1928 წელს შექმნილმა ნაწარმოებმა „ლედი ჩატერლეის საყვარელი“, მესამე კი - ჰენრი მილერის „კიბოს ტროპიკმა“, რომელიც 1934 წლისაა დაწერილი. პირველ ათეულში შევიდა, აგრეთვე, პოლინ რეგის „ისტორია ო“, ჯეიმს ბალარდის „ავტოკატასტროფა“, ეინ რაისის „ინტერვიუ ვამპირთან“, ფილიპ როტის „თერძის ისტორია“, ჯონ პაულზის „ვოლხვი“, ხარუკი მურაკამის „ფრინველის ისტორია“ და სკოტ სპენსერის „უსასრულო სიყვარული“. მეთერთმეტე ადგილზე გავიდა ვლადიმერ ნაბოკოვის „ლოლიტა“, დანარჩენი ადგილები კი მოლი უეზერფილდის, ერიკა იონგის, ჟორჟ ბატაის, ა. მ. ჰოუმზის, ნიკოლსონ ბეიკერის, სიუზან მინოს, ჰარი მეთიუზის, სიუზანა მურის, ჰელენ უოლშის, ტერი საზერნის, ჯუდი ბლუმის, ნორმან მეილერისა და ჰაროლდ რობინსის რომანებმა დაიკავა. **ჯი-ეიჩ-ენი**

კონცერტები ბიჭვინთაში

1-დან 10 აგვისტომდე ბიჭვინთაში ელენე ობრაზცოვას, სვიატოსლავ ბერზის, სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს თეატრის მსახიობთა კონცერტი გაიმართება.

მასში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი „მოსკოვის ვირტუოზების“ წარმომადგენლები ვლადიმერ სპივაკოვის ხელმძღვანელობით. ამის შესახებ სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს თეატრის მსახიობმა, ეროვნებით აფხაზმა ხიბლა გერზმაამ განაცხადა, რომელსაც ამ დღეებში რუსეთის დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა. ხიბლა გერზმაა რამდენიმე დღით აფხაზეთში ნათესავებთან ჩასვლასა და დასვენებას აპირებს.

ალექსანდრე ნეველის ლავრა

სანკტ-პეტერბურგში მდებარე ალექსანდრე ნეველის ლავრიდან ოთხი მილიონი მანეთი, 15 ათასი ევრო და დაახლოებით 50 ათასი მანეთის ღირებულების ოქროსა და ვერცხლის საიუველირო ნაწარმი გაიტაცეს.

ამ ფაქტის შესახებ მონასტრის წინამძღვარმა სანკტ-პეტერბურგელ სამართალდამცავებს აცნობა და განუცხადა, რომ მისი კაბინეტის ძარცვა ხუთშაბათს 29 მაისიდან 5 ივნისის პერიოდში მოხდა, როდესაც იგი მივლინებაში იმყოფებოდა. აღსანიშნავის, რომ წინამძღვრის არყოფნის პერიოდში მისი კაბინეტის კარი დაკეტილი არ ყოფილა. მიმდინარეობს გამოძიება. **ჯი-ეიჩ-ენი**

უვე ბერკემერის ორკესტრი

კავკასიის კამერული ორკესტრი კავკასიელ მუსიკოსებს სამუშაოდ იწვევს. როგორც ორკესტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მენეჯერმა მარინა ბერიძემ განაცხადა, დღეიდან კასტინგი გამოცხადდება, რომელშიც მონაწილეობის მიღება სომეხ, აფხაზ, აზერბაიჯანელ, ოს და იმერკავკასიელ მუსიკოსებს შეუძლიათ. „კავკასიის კამერულ ორკესტრში დღემდე მხოლოდ ქართველი, აზერბაიჯანელი, სომეხი და რუსი მუსიკოსები მოღვაწეობენ. ორკესტრის მთავარი დირიჟორის და სამხატვრო ხელმძღვანელის უვე ბერკემერის სურვილია კავკასიის კამერულ ორკესტრში ყველა კავკასიელმა დაუკრას“, - განაცხადა ბერიძემ. კავკასიის კამერული ორკესტრი ერთი წლის წინ გერმანელი დირიჟორისა და პიანისტის უვე ბერკემერის ინიციატივით შეიქმნა. ორკესტრის შექმნის მიზანია რეგიონის შემსრულებლები გააერთიანება. მარინა ბერიძის თქმით, უვე ბერკემერი, უახლოეს მომავალში ბესლანსა და სოხუმში კონცერტების გამართვას გეგმავს. **ინტერპრესნიუსი**

ამერიკული ფოლკლორული ანსამბლი საქართველოში

აშშ-ს საელჩოს ხელშეწყობით საქართველოში ბობ პერილას ანსამბლის „ბიგ ჰილბილი ბლუგრასს“ ტურნე მოეწყობა. გასტროლიორები კონცერტების ჩატარდებას ზუგდიდში, სოხუმსა და სენაკში გეგმავენ, საგასტროლო ტურნეს დასასრულს კი თბილისში, ამერიკის ელჩის რეზიდენციაში დასკვნით კონცერტს გამართავენ.

ორგანიზატორთა განცხადებით, ბლუგრას კონცერტი აფხაზეთში აშშ-ს საელჩოს მიერ ჩარატებული პირველი კულტურული ღონისძიება იქნება და ამის აღსანიშნავად სოხუმის კონცერტს აშშ-ს ელჩი საქართველოში ჯონ ტეფტი გახსნის.

„ბიგ ჰილბილი ბლუგრასი“ საქართველოში საგასტროლოდ მეორედ ჩამოდის. ამჯერად ანსამბლი უზბეკეთსა და ტაჯიკეთსაც ესტუმრება.

საგასტროლო ტურნე საქართველოში 19-25 ივნისს იგეგმება.

აფხაზეთის ომი კიევში

კიევში ქართველი ფოტოგრაფის ჯემალ სირბილაძის ფოტოგამოფენა გაიხსნა, რომელზედაც ომამდელი და ომის შემდგომი აფხაზეთის კადრები იყო ასახული.

ექსპოზიციაში, სახელწოდებით, „ომის სახეები მარადისობის კონტექსტში“, ომამდელი პერიოდის ფოტოები ფერადი კადრებით არის წარმოდგენილი, ომის პერიოდისა და შემდგომი კი - შავ-თეთრით.

გამოფენა უკრაინაში აკრედიტებულმა ქართულმა დიპლომატიურმა კორპუსმა და უკრაინულმა ინტელიგენციის წარმომადგენლებმა მოინახულეს. ომის პერიოდში სირბილაძეს შექმნილი აქვს ფოტოების სამი სერია „დაჭრილები“, „წყურვილი“, „დაღლილობა“, რომლებიც უშუალოდ ბრძოლების ადგილზეა გადაღებული. **ჯი-ეიჩ-ენი**

ქართული ქარგვის ნიმუშები

დღეს 2 საათზე გალერეა „თი-ემ-ეს“-ში ნაქარგები გამოიფინება. გამოფენას სახელწოდებით „ქართული ქარგვა“ ქართული ოქრომკერდის განვითარების ხელშემწყობი ასოციაცია აწყობს.

როგორც ასოციაციის თამვჯდომარემ დოდო ნემსაძე-ბარამიძემ განაცხადა, ექსპოზიციაში 90-მდე ნამუშევარი იქნება წარმოდგენილი, როგორც ყოფით თემატიკაზე, ასევე საეკლესიო მოტივებზე. ნაქარგებს ასოციაციის წევრი 60-მდე ქალბატონი წარმოადგენს. ღონისძიება სამშენებლო ფირმა „ცენტრ-პოინტმა“ დააფინანსა. გამოფენა 18 ივნისს დაიხურება.

იმპროვისტული და არააკადემიური გამოფენა

15 ივნისს გალერეა „ჰობიში“ თვითნასწავლი მხატვრის მედეა კეიდეას პერსონალური გამოფენა გაიხსნება. ექსპოზიციაში წარმოდგენილი იქნება იმპროვისტული და არააკადემიური სტილის 100-მდე ნამუშევარი. ნახატების თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანია. წარმოდგენილი იქნება როგორც პორტრეტები, ასევე აბსტრაქცია და კოსმოსის თემა.

როგორც მხატვარმა განაცხადა, 2003 წლის შემდეგ საქართველოში ეს მისი პირველი გამოფენაა. ამ დროის განმავლობაში იგი საზღვარგარეთ იმყოფებოდა.

„სამი წლის წინ გერმანიაში გავემგზავრე, იქიდან საფრანგეთში, სადაც გამოფენა მოვაწყვე. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ეს ჩემი პირველი პერსონალური გამოფენა იქნება“. **ჯი-ეიჩ-ენი**

„ლუფთჰანზა“ საფეხბურთო ცირკ-ცხელებაში

სიურპრიზები ავიაკომპანია „ლუფთჰანზასგან“ გრძელდება. ბოლო პერიოდში ეს სასიამოვნო მოულოდნელობები მხოლოდ ფეხბურთს უკავშირდება. დევიზი „ფეხბურთი გვაერთიანებს“, როგორც ჩანს, მთელმა მსოფლიომ აიტაცა და „ლუფთაჰნზა“ ერთ-ერთი ლიდერია: მსოფლიო ჩემპიონატის პირველ წრეზე ავიაკომპანია საკუთარ თავზე იღებს სხვადასხვა ქვეყნების ეროვნული ნაკრებების ფრენას გერმანიის ქალაქიდან ქალაქში. ტურნირის ყოველ დღეს ამ საქმეს „ლუფთჰანზას“ ხუთი „ბოინგ 737 და „ავრო ჯეტი“ მოემსახურება. სტადიონიდან სტადიონზე, სასტუმროდან სასტუმრომდე „ლუფთჰანზა“ ასობით ათას კილომეტრს იფრენს. გარდა იმისა, რომ კომპანია გერმანიაში 300-მდე რეისს ახორციელებს, ფეხბურთელებს ისინი მაინც დაუზარებლად მოემსახურებიან და 16-ჯერ იმდენ კილომეტრს დაფარავენ, რამდენიც ფრანკფურტიდან ნიუ იორკში გადაფრენას სჭირდება.

ჩანაფიქრი ბოლომდე განხორციელებულიყო, კომპანიას რეგულარული რეისებისა და განრიგების გადასხვაფერება დასჭირდა. პრობლემას ქმნიდა ის ფაქტიც, რომ პირველ წრეზე არავინ იცის, რომელი გუნდი სად ითამაშებს. თუმცა, პრობლემები მოიხსნა და ფეხბურთელებს „ლუფთჰანზა“ გერმანულ ცაში ლაღად დააქროლებს.

სიურპრიზის მეორე ნაწილი კი უკვე ჩვეულებრივ კლიენტებს ეხებათ. მგზავრებს, საითაც არ უნდა მიფრინავდნენ ისინი, „ლუფთჰანზას“ თვითმფრინავებში 360 ათასი ბურთის ფორმის კანფეტით, 550 ათასი მსოფლიო ჩემპიონატის ლოგოთი დამშვენებული შოკოლადით და 150 ათასი ჰოლოგრამირებული შოკოლადის ფილით გაუმასპინძლდებიან. კომპანიამ მოიფიქრა სპეციალური თამაშიც - „გოლი“. შოკოლადის ფორმის ბურთებით მგზავრებმა სათამაშო კარში გოლები უნდა გაიტანონ.

გამრავალფეროვნდება ჩვეულებრივი მენიუც. საგანგებოდ ფეხბურთის ჩემპიონატისთვის დამზადდა 700 ათასი ახალი სენდვიჩი. მგზავრებს გაუმასპინძლდებიან ათი მილიონი კოქტეილით. ისინი კი, ვინც ნამდვილი ფეხბურთის მოყვარულია, „ლუფთჰანზას“ ბორტზე სპეციალურ სამკერდე ნიშნებსაც დაურიგებენ. ასეთი სამკერდე ნიშნები ავიაკომპანიამ 2.7 მილიონი ცალი დაამზადა.

ასე რომ, „ლუფთჰანზას“ მგზავრებს ფეხბურთი მართლაც აერთიანებს.

ბევრი მზე და გაბრწყინებული სახლები

სოფო ქილასონია

ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეაში მხატვარ ანი გოგორიშვილის მოსწავლეთა გამოფენა მიმდინარეობს. ამ საგამოფენო დარბაზში თითქმის ყოველთვის არის ბავშვთა ნამუშევრები გამოფენილი, თუმცა ეს უკანასკნელი ექსპოზიცია მაინც ბევრით გამოირჩევა. მაგალითისთვის იმით, რომ უჩვეულოდ საინტერესო ნახატებია წარმოდგენილი, კიდევ იმით, რომ ამ პატარა მხატვრების მასწავლებელს სრულიად განსაკუთრებული მეთოდები აქვს. თუმცა ოს თუ რაში მდგომარეობს ეს უჩვეულო მიდგომა მოგვიანებით მიხვდებით.

სანამ გამოფენის მონაწილეებს შევხვდებოდით საგამოფენო დარბაზში ორგანზატორი ნინო ჯიშკარიანი დაგვხვდა. გვითხრა, რომ გალერეა 1968 წლიდან არსებობს და რომ ამ კედლებში არაერთი ამჟამად ცნობილი მხატვარი ფენდა საკუთარ პირველ მხატვრულ ცდებს.

ანი გოგორიშვილის სტუდია-სახლში სულ პატარები 5 წლისანი არიან. მხატვარი უკვე ხუთი წელია, რაც არა მხოლოდ სამხატვრო აკადემიის სტუდენტებს ასწავლის, არამედ სულ დამწყებებსაც. როგორც აღმოჩნდა ბავშვებთან ურთიერთობა ბევრად ხიბლავს და მეტად აინტერესებს. სათაური სტუდიას არ აქვს, მაგრამ პატარა ხელოვანების მაესტრო ამბობს რომ ნამუშევრების ავტორები მისი მეგობრები არიან და ისინი უბრალოდ ერთად მუშაობენ. ამ მუშაობის ერთგვარი შედეგი კი საანგარიშო გამოფენებია. დილის 10 საათიდან საღამოს რვამდე ქალბატონ ანისთან ხალხმრავლობაა, თუმცა არც ხმაურია და არც არეულობა. იქ ან ცნობილი მხატვრების ნახატებს ათვალიერებენ ანდა თავად ფიქრობენ იმაზე, თუ როგორ და რა ხერხებით შექმნან ახალი ნამუშევრები. მასწავლებელი მხოლოდ ტექნიკურ რჩევებს იძლევა და ვუნდერკინდების შემოქმედების პროცესში საერთოდ არ ერევა.

ანი გოგორიშვილი, ისე როგორც სხვა არაერთი თვლის, რომ ყველა ბავშვი ნიჭიერია და თან ხატვაც ყველას შეუძლია. ნიჭიერების „მეტ-ნაკლებობის“ ფაქტორს აღიარებს, თუმცა ამბობს რომ მთავარია მათ თვით გამოხატულების საშუალება მივცეთ. სხვებს ამისი უბრალოდ სჯერათ, მხატვარი ქალბატონი კი ამას საკუთარი პატარა მეგობრების გამოფენით ამტკიცებს.

- რა პრინციპით არჩევთ ბავშვებს, თქვენს მომავალ მოსწავლეებს?

- არ ვარჩევ, რადაგანაც ვთვლი, რომ ხატვა ყველას შეუძლია, მეტნაკლებად, მაგრამ მათ განვითარება სჭირდებათ, პატარა ბიძგი, რათა გაიხსნან და რაც უფრო პატარები არიან მით უფრო გახსნილები და თავისუფლები არიან.

- ასწავლით უფროსებსაც და რა არის ის, რაც მხოლოდ ბავშვებთან მუშაობის პროცესში აღმოაჩინეთ?

- მივხვდი, რომ არ უნდა ჩაერიოს პედეგოგი ახალგაზრდა მხატვრის მუშაობაში. მქონდა ასეთი შემთხვევა, როცა ერთ-ერთმა, გიორგი კაკულიამ უკვე ნამუშევრის დასრულების შემდგომ ათივე თითი ჩაყო სხვადასხვა საღებავში და ნახატს დაადო კოპლებად. მინდოდა შემეჩერებინა, მაგრამ თავი შევიკავე. როცა ვკითხე, თუ რას აკეთებდა მითხრა: „მე სასახლე გავაბრწყინეო“, როცა ნამუშევარს დავაკვირდი მართალაც ძალიან მომეწონა ეს „გარწყინება“. ამიტომ ნაკლებად ვერევი, თუ მაინც და მაინც არ მტბოვენ რჩევას. ერთია, როცა იზრდებიან ნელა-ნელა ჩიხში ექცევიან ხოლმე, თემის არჩევა უჭირთ და სულ იმას გაიძახიან - რა დავხატო?!, ამ დროს წიგნებს ვათვალიერებთ და მათი შთაგონებაც გამოჩნდება ხოლმე.

- გასაგებია რომ არ ერევით, მაგრამ მაშინ რას ასწავლით?

- იმას, თუ როგორ გაანაწილონ კომპოზიცია ფორმატზე, როგორ განალაგონ ფიგურები, ანდა ის, რასაც ხატავენ, როგორ უნდა შეუხამონ ფერები და ა.შ.

საერთოდ ბევრი რამ ახსენდება მასწავლებელს, ისეთი უჩვეულო, რასაც დიდიბი არ დახატავენ, ანდა ვერც კი მოიფიქრებენ. ბავშვები ყველაზე გულწრფელად გადმოსცემენ იმას რასაც გრძნობენ. წყენას, სიბრაზეს, სიხარულს და არაფერს მალავენ. ქალბატონები გალერეაში იხსენებენ შემთხვევას, როცა პატარა გოგონამ უზარმაზარ ქახალდზე პეიზაჟის ნაცვლად მხოლოდ მზეები დახატა, უთავაზავი მზე, რათა იმ დღის ცხელი ამინდი და შესაბამის განწყობა გადმოეცა. მსგავსი უცნაურად კონცეპტუალური ნამუშევრები ბევრი ახსოვთ. საინტერესოა კიდევ ის ფაქტი, რომ ანი გოგორიშვილის სტუდიაში არა უბრალოდ ხატვას ასწავლიან, არამედ ბავშვები არტ-თერაპიის მსგავს კურსსაც გადიან. ხატვა, ისე როგორც ხელოვნების კიდევ რამდენიმე დარგი პატარების ნერვიული სისტების უებარი წამალია. შემოქმედებითი თვით გამოვლინება ერთგვარი მკურნალობაა, რომლის შემდეგაც პატარები მხოლოდ საუკეთესო ემოციებით იმუხტებიან.

ბავშვთა ნახატების გამოფენა არაერთი გვინახავს, თუმცა როგორც ჩანს აღნიშნულ სტუდიაში მართლაც ნიჭიერ მოზარდებს მოუყრიათ თავი და სწორედ ამან გამოიწვია ჩვენი ინტერესიც. პორტრეტები და კომპოზიციები, ამბები და ზღაპრები, სხვადასხვა ტექნიკაში, სხვადასხვა ფერთა პალიტრაში, ექსპოზიცია არაერთი მართალაც მეტად საინტერესო ნამუშევრით გამოირჩევა. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ამ გამოფენაზე კარგად ჩანს რაოდენ ღრმად ერკვევიან პატარები ზოგადად მხატვრობაში, რასაც მათ მასწავლებელი თანდათანობით აცნობს და ასწავლის.

ჩინელები და რონ ჰოვარდის კინო



ჩინეთის მთავრობამ რონ ჰოვარდის ფილმის „და ვინჩის კოდის“ ჩვენება და გაქირავება აკრძალა. თუმცა ამის მიზეზი რელიგიური მსოფლხედვა არ ყოფილა. ჩინეთის მთავრობამ ეს ნაბიჯი ნაციონალური კინემატოგრაფიის მხარდასაჭერად გადადგა. 19 მაისიდან, ანუ „და ვინჩის კოდის“ მსოფლიო პრემიერიდან მან ჩინეთში კინოგაქირავებლებს 13 მილიონი დოლარი მოუტანა.

ჰოლივუდური ფილმის აკრძალვა აქამდე ჩინეთის რესპუბლიკაში არ მომხდარა. მოვლენა მით უფრო საკვირველია, როცა სულ რამდენიმე დღეში მის კინოეკრანებზე მორიგი ჰოლივუდური პროდუქტის, მულტფილმის „დიდი გამყინვარება 2“-ის პრემიერაა დაგეგმილი.

„და ვინჩის კოდის“ შემოსავალმა ჩინეთში რეკორდულ თანხებს მიაღწია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბოლო წლებში ჩინელებმა აშკარა უპირატესობა მიანიჭეს ამერიკულ კინოს. ამ ფენომენის პოპულარობა ჯერ კიდევ ჯეიმს კემერონის „ტიტანიკით“ დაიწყო, მან ჩინეთში 45 მილიონი დოლარი დააგროვა. ჰოლივუდური კინოსურათების შეჭრა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში, როგორც ჩანს ნეგატიურად აღიქვა მისა ხელისუფლებამ და სხვა რომ ვერაფერი იღონა, „და ვინჩის კოდი“ აკრძალა, ამით კი სავარაუდოდ მისდამი ინტერესი ერთიორად გაზარდა.

არსი
არქიტექტურა და სამშენებლო მენეჯმენტი
1989 წლიდან

„არსის„ რჩევები მომხმარებელს - როგორ შევარჩიოთ სასურველი ბინა

განსაზღვრეთ საკუთარი ფინანსური შესაძლებლობები და აირჩიეთ გადახდის თქვენთვის სასურველი ფორმა

როგორ შევარჩიოთ სასურველი ბინა თბილისში? სად სჯობს ბინის შეძენა ძველ თუ მშენებარე სახლში? რას უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება ბინის შეძენისას? რა მინიმალური მოთხოვნებია გასათვალისიწნებელი? როგორ მოვახდინოთ ხარისხის კონტროლი? რა ფაქტორებს უნდა მივაქციოთ ყურადღება ბინის ჩაბარებისას? თუ ამ კითხვებზე ამომწურავი პასუხი უკვე გაგაჩნიათ და სასურველი ბინის შეძენა პრობლემას აღარ წარმოადგენს, მიგაჩნიათ რომ თქვენი გადაწყვეტილება მყარი და წარმატებულია, გადაწყვეტილების მიღებას მაინც ნუ იჩქარებთ, გაანალიზეთ თქვენი არჩევანი და ყურადღება სხვა ფაქტორებზეც გაამახვილეთ.

დღევანდელი თემაა: გადახდის პირობები, რას უნდა მიაქციოთ ყურადღება სამშენებლო კომპანიასთან ანგარიშწორებისას და მისთვის დამახასიათებელი რა თავისებურებებია გასათვალისწინებელი, რათა გამოუცდელობითა და აჩქარებით გამოწვეული შეცდომები თავიდან აიცილოთ და თქვენივე არჩევანით უკმაყოფილო არ დარჩეთ.

ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი ყველაზე მსხვილ კაპიტალს, სავარაუდოდ, უძრავ ქონებაში აბანდებს. ამ თვალსაზრისით, სახლის, ბინის ან აგარაკის შეძენა შესაძლებელია ცხოვრების ყველაზე მსხვილი ფინანსური გარიგება აღმოჩნდეს. უძრავი ქონების შეძენა საშვილიშვლო საქმეა და ასეთ დროს ყველა გონიერი ადამიანი უნდა მოქმედებდეს პრინციპით „ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი“, ამასთან გაითვალისწინეთ, რომ ერთი შეხედვით ხელსაყრელი პირობები არ ნიშნავს საუკეთესოს.

როგორ მოვახდინოთ ანგარიშწორება სამშნებლო კომპანიასთან? არსებობს გადახდის რამდენიმე პირობა, რომელსაც კომპანია გთავაზობთ ან მომხმარებელი თავად ირჩევს:

1. ღირებულების მთლიანად დაფარვა ანუ პირდაპირი შესყიდვა - ამ სახის გადახდის ფორმა მშენებარე სახლებზე იშვიათად მაგრამ მაინც გამოიყენება. ბინა ძვირადღირებული პროდუქტია, ამ თვალსაზრისით, მთლიანი თანხის გადახდის საშუალება მომხმარებელს, ხშირ შემთხვევაში, არ გააჩნია. ამის გარდა მშენებარე ბინაში მთლიანი თანხის გადახდა ფულადი რესურსის გარკვეული პერიოდის მანძილზე მოცდენას ნიშნავს, რადგან ბინაში არ შედიხართ და მშენებლობა შესაძლოა 2-3 წლის განმავლობაში გაგრძელდეს. სჯობს აღნიშნული თანხა სხვა მიმართულებით გამოიყენოთ, უკეთეს შემთხვევაში ბიზნესში დააბნდოთ და ასე შემდეგ. ამასთან, თანხის ეტაპობრივი გადახდისას შეგიძლიათ თავისუფალი თანხა საბანკო ანგარიშზე დადოთ, რაც უფრო მომგებიანია.

შესაბამისად გასათვალისიწნებელია, როდესაც მთლიან თანხას ერთბაშად იხდით სასურველია კომპანიისაგან გარკვეული შეღავათებიც მიიღოთ.

2. პროცენტიანი განვადება - ამ ეტაპზე ძალიან ცოტა მენაშენე კომპანია იყენებს პროცენტიან განვადებას. პროცენტიანი განვადების უპირატესობას მისი ეტაპობრივად გადახდა განაპირობებს, თანხას იხდით თანდათანობით, მშენებლობის დასრულებამდე, სამშენებლო კომპანიასთან შეთანხმებით და თქვენი ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე. გადახდის ამ ფორმის ნაკლი კი იმაში მდგომარეობს, რომ ბინა საბოლოო ჯამში უფრო ძვირი გიჯდებათ. ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთ დროს უკეთესია საბანკო რესურსების გამოყენება, რადგან ბანკი სესხს უფრო ხანგრძლივ პერიოდზე (5-10 წელიწადზე) იძლევა, ვიდრე ნებისმიერი მენაშენე და შესაბამისად, სესხი უფრო ხელმისაწვდომია. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ აქ პირობები საკმაოდ შეზღუდულია, როგორც წესი ბანკი კლიენტისგან შემოსავალის ოფიციალურად დადასტურებას და სახლის უზრუნველყოფაში ჩადებას ითხოვს, რაც მენაშენესთან ურთიერთობისას ბევრად გამარტივებულია.

3. უპროცენტო განვადება - დღესდღეობით გადახდის ყველაზე გავრცელებული ფორმაა. ამასთან ყველაზე მოსახერხებელი და მომგებიანიც. განვადების დროს სამშენებლო კომპანია, ბანკისგან განსახვავებით მომხმარებლის მიმართ გაცილებით ლოიალურია და ოფიციალური შემოსავლის დამადასტურებელ საბუთებსაც არ ითხოვს. გადახდის გრაფიკი როგორც წესი მორგებულია კლიენტზე, მაგრამ გარკვეული შეზღუდვები ყველა სამშენებლო კომპანიას გააჩნია. კერძოდ, მთლიანი თანხის დაფარვის პერიოდი 2-3 წლამდეა გათვლილი. პირველ ეტაპზე კლიენტი ვალდებულია მთლიანი ღირებულების 20-30 პროცენტი ან რაიმე ფიქსირებული თანხა, ვთქვათ 5000 ან 8000 დოლარი გადაიხადოს, პირველი ერთი წლის განმავლობაში დარჩენილი თანხის 50 პროცენტი დაფაროს და ასე შემდეგ. რაც უფრო ნაკლებია პირველადი შენატანი და რაც უფრო ხანგრძლივ პერიოდზეა გათვლილი თანხის გადახდა, მით უფრო ხელმისაწვდომია ბინა.

მაგრამ გასათვალისიწნებელია, თუ კომპანია უპროცენტო განვადებას გთავაზობთ ის ყოველთვის უპროცენტოს არ ნიშნავს. მაგალითად, კომპანია მთლიანი თანხის გადახდის შემთხვევაში 1 კვადრატულ მეტრს 400 დოლარად გთავაზობთ, მაგრამ თუ თანხა 12 თვის განმავლობაში დაიფარება მისი ღირებულება 450 დოლარს აღწევს, ხოლო 24 თვის განმავლობაში დაფარვისას 480 დოლარს. როგორც ირკვევა, გადახდის ეს ფორმა პროცენტიანი განვადების იდენტურია და პროცენტი მენაშენეს ფასის ნამატში აქვს შეტანილი.

უპროცენტო განვადების მთავარი უარყოფითი მხარე ისაა, რომ განვადების პერიოდი მოკლეა და ამ მხრივ ბანკის იპოთეკური სესხი უკეთესია, რადგან ბანკი თანხის 5-10 წლის განმავლობაში დაფარვის შესაძლებლობას იძლევა, თუმცა ბანკის სესხისაც გააჩნია უარყოფითი მხარე, დარჩენილ თანხას ყოველწლიურად პროცენტი ერიცხება. ამიტომ კარგია კომბინირებული სქემის გამოყენება, ასეთ დროს თავიდან ბინას უპროცენტო განვადებით ყიდულობთ და გარკვეული პერიოდი, ერთი ან ორი წელიწადი კომპანიაში აკეთებთ შენატენებს, ვიდრე ეს თქვენთვის ხელმისაწვდომი და შესაძლებელია, ხოლო შემდეგ იღებთ ბანკიდან სესხს. რაც იმის საშუალებას გაძლევთ რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში სესხის აღება თავიდან აიცილოთ და სესხი უკვე მშენებლობის დასრულებისას აიღოთ. თუმცა გადახდის ამ ფორმის არჩევისას, დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ ბანკი სესხს მოგცემთ, სხვაგვარად იძულებული გახდებით მშენებარე ბინა გაყიდოთ.

და ბოლოს, როგორც ირკვევა მხოლოდ სახლის გარშემო შექმნილი კომფორტული გარემო, ინფრასტრუქტურა და ტრანსპორტაბელურობა არ განსაზღვრას შერჩეული ბინის ღირებულებას. ის ყველა ფაქტორის გათვალისწინებით უნდა იყოს სასურველი, ეფექტური, უნიკალური და რაც უმთავრესია ხარისხიანი. სასრუველი ბინის შერჩევა არც ისე იოლია, უფრო მეტიც, დიდი პასუხიმგებლობა და სერიოზულობა გმართებთ. მითუმეტეს ბოლო ასპექტში, როცა საქმე უკვე ფინანსურ ანგარიშწორებას ეხება.

ალბათ ეს ინფორმაცია დაგეხმარებათ რა უნდა გავითავსუსიწნოთ სამშენებლო კომპანიასთან ფინანსური ანგარიშწორებისას და განსაზღვრო გადახდის რომელი ფორმაა თქვენთვის მისაღები და შესაძლებელი, რაც უსიამოვნო შემთხვევებს თავიდან აგაცილებთ. ამ თემაზე დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, შეგიძლიათ მოგვმართოთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

მომავალ ორშაბათს რეზუმირებას გავუკეთებთ ამ ორი თვის მანძილზე გაკეთებულ სტატიებს და კიდევ ერთხელ შეგახსენებთ ძირითად წესებს რომელთა დაცვა დაგეხმარებათ ბინის სწორად შერჩევაში.

გემშვიდობებით მომავალ ორშაბათამდე,
„არსის“ აღმასრულებელი დირექტორი თორნიკე აგულაძე

დაგვიკავშირდით: არქიტექტურისა და სამშენებლო მენეჯმენტის კომპანია ‘„არსი“

ტელ: 25-19-04
info@arci.ge, www.arci.ge

კომპანია „არსი“ ატარებს უფასო კონსულტაციებს უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. დაინტერესებულ პირების შეგიძლიათ მობრძანდეთ ყოველ შაბათ-კვირას, 11.00-დან 16.00 საათამდე, კომპანია „არსის“ ოფისში თ.აბულაძის 21 (ვაკის ეკლესიის უკან)

მითების დრო დამთავრდა

თამარ ფხაკაძე: "ბაზარს ცრემლების არ სჯერა"

შეიქმნა ანალიზისა და კონსულტაციის სამსახური, სახელწოდებით „ფრაიმ-თაიმი“, რომელიც რამდენიმე მიმართულებით მუშაობს - მისი საქმიანობის სფერო სოციოლოგიურ კვლევებს, მედია მონიტორინგსა და ანალიზს, პოლიტიკურ და ბიზნესფიარს, პრესისა და სატელევიზიო სივრცის ანალიზს, პროდუსირებას, თრეინინგებსა და რეკლამის დაგეგმვას მოიცავს. შემოდგომაზე „ფრაიმ-თაიმი“ ჟურნალისტების კონკურსის ჩატარებას აპირებს. დაახლოებით, ერთი წლის შემდეგ კი მაღალმთიან აჭარაში ბიენალეს გეგმავს, რომელშიც მონაწილეობის მისაღებად იწვევს კერამიკოსებს კონფლიქტის ზონის ქვეყნებიდან - აფხაზ, ოს, პალესტინელ, ებრაელ, სომეხ, აზერბაიჯანელ მხატვრებს. არც აჭარა და არც თიხა შემთხვევითი არჩევანი არაა და ამ არჩევანს მყარი საფუძველი აქვს.
ცოტა ხნის წინ ჯგუფმა საპრეზენტაციოდ სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის კვლევა ჩაატარა და ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში, პროგრამა „რეაქციაში“ კვლევის შედეგების წარდგენით, საზოგადოებას თავი გააცნო. გვესაუბრება „ფრაიმ-თაიმის“ გენერალური დირექტორი თამარ ფხაკაძე:

„ჩვენს უკან დგას ჩვენი პროფესიონალიზმი“

ნანა იაშვილი

- რას წარმოადგენს თქვენი კომპანია და რა სიახლეს სთავაზობს მომხმარებელს?

- „ფრაიმ-თაიმი“ ანალიტიკური საკონსულტაციო სამსახურის ჯგუფია, რომლის ძირითადი კაპიტალი, ვფიქრობ, ისაა, რომ აქ მუშაობენ მაღალი კლასის პროფესიონალები - ადამიანები, რომლებსაც ძალიან დიდი გამოცდილება აქვთ თავიანთ სფეროებში.

პრაქტიკულად, ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა ფიარი, რაც საქართველოში პრესსამსახურების მუშაობასთანაა გაიგივებული. თანაც, თვითონ დარგი ახალი შემოსულია და ადამიანებმა, რომლებიც ამ სპეციალობას ამთავრებენ, საქმე თეორიულად იციან და მათი მინუსია, რომ არ მოსდევთ პრაქტიკული ცოდნა, რაც აუცილებელია. სწორედ ასეთი ცოდნაა ჩვენს კომპანიაში ძალიან დიდი რაოდენობით, თითოეულ ჩვენგანს აქვს ძალიან დიდი გამოცდილება საინფორმაციო, მედია მონიტორინგის, პროდუსირების და სხვა სფეროებში. მოკლედ რომ ვთქვა, ჩვენს თვალწინ იქმნებოდა თანამედროვე პოლიტიკა და იქმნებოდნენ პოლიტიკოსები, ბიზნესი და ბიზნესსამყარო და ჩვენს თვალწინ, მოყოლებული, დაახლოებით, 2000 წლიდან, პატარა მონიტორინგი ხდებოდა.

ჩავთვალე, რომ კომპანიის წარდგინება უფრო საინტერესო იქნებოდა საპრეზენტაციო ნამუშევრის გაკეთების ფორმით. რამდენადაც ჩვენს სამსახურში არის სოციოლოგიური კვლევისა და მარკეტინგის განყოფილება, საქართველოს დიდ ქალაქებში ჩავატარეთ სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის 3000-კაციანი სოციოლოგიური კვლევა, საიდანაც, ასე ვთქვათ, გარკვეული განწყობები, მიმართულებები, დამოკიდებულებები, დავადგინეთ.

კვლევის პირველი შედეგების ერთგვარი პრეზენტაცია ტელეკომპანია „იმედზე“ გვქონდა პროგრამა „რეაქციაში“. რა თქმა უნდა, ამ კვლევას, როგორც ხდება ხოლმე (თუ I-II-III „საპრიზო“ ადგილზე არ გადის ვინმე), მოჰყვა საუბარი, რომ კვლევა სამართლიანი არ იყო და ა. შ.

- სამართლიანი და მიუკერძოებელი სოციოლოგიური კვლევა, სამწუხაროდ, ძალიან იშვიათია დღევანდელ ქართულ რეალობაში.

- ჩვენთვის, თავისთავად, ცნება „სანდოობა“ არც ერთ კონტექსტში არც განიხილება, ვინაიდან ჩვენი საქმიანობა ჩვენთვის, პირველ რიგში, არის ბიზნესი და თუ ბიზნესში რაღაც ტიპის უნდობლობის მომენტს დაუშვებ, ვფიქრობ, ბიზნესს იქვე კლავ. რამდენადაც ჩვენ გვინდა, რომ ბაზარზე დავმკვიდრდეთ და წარმატებით ვიმუშაოთ, უსამართლობა და მიკერძოება აბსოლუტურად გამორიცხულია. ბაზარი ძალიან მკაცრია, „ბაზარს ცრემლების არ სჯერა“ და იმის მიხედვით ვლინდება რეიტინგი (თუ, რა თქმა უნდა, კვლევა ობიექტურია), რა მოთხოვნები არსებობს ბაზარზე და არა იმის მიხედვით, ვის რომელ ადგილზე სურს ყოფნა.

- რა მნიშვნელობას ანიჭებთ ამგვარ კვლევებს?

- ვფიქრობ, სოციოლოგიისთვის მთავარი რეიტინგები და იმის დადგენა კი არ არის, რომელი პოლიტიკოსი რომელ ადგილზეა, არამედ ჩვენთვის, როგორც ფიარ კომპანიისთვის ძალიან მნიშვნელოვანია თვითონ განწყობების კვლევა.

მაშინ, როდესაც ჩვენ ვქმნით რაღაცა ტიპის პროდუქტს, უნდა ვიცოდეთ, რას ითხოვენ ადამიანები პოლიტიკოსისგან, ბიზნესისგან, რა განწყობაა ხალხში, სადაა ნიშა დარჩენილი, სად არის ლუფტი. თუ ეს არ შეისწავლე, პრაქტიკულად, მუშაობა ზედაპირული იქნება, ეს კი ნიშნავს, რომ არაკეთილსინდისიერი ურთიერთობა გაქვს დამკვეთთან.

საქართველოში ფიარი ბურუსით მოცულად, გასაიდუმლოებულად ითვლება და მის უკან რაღაც განსაკუთრებული ძალები მოიაზრება. მიმაჩნია, რომ მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში და, განსაკუთრებით, საქართველოში, დადგა დრო, როდესაც რაღაც გამჭვირვალე ფარდის მიღმა უნდა ხდებოდეს, რადგან ეს საკმაოდ პრესტიჟული, ძალიან შრომატევადი საქმეა, ეყრდნობა ძალიან სერიოზულ ანალიზს. მე მგონი, ძალიან მარტივია იმის მიხვედრა, ვის უკან ვინ დგას. ჩვენს უკან დგას ჩვენი პროფესიონალიზმი. იმისთვის, რომ გააკეთო სწორი „მესიჯები“ და სწორი აქცენტები, უზარმაზარ ინფორმაციას უნდა ფლობდე და ვფიქრობ, რომ თუ დამკვეთის განსაკუთრებული მოთხოვნა არაა, არ მოხდეს აფიშირება, დასამალი არაფერია. სხვა შემთხვევაში, ყველაფერი აბსოლუტურად ღიად, გამჭვირვალედ, ტრანსპარანტულად უნდა ხდებოდეს. მითების დრო დამთავრდა.

- რას გულისხმობთ?

- მაგალითად, იყო დრო, როდესაც საინფორმაციო სივრცეში ვრცელდებოდა ასეთი ტიპის ფიარი, რომ საქართველო გახდებოდა მეორე კუვეიტი, რადგან საქართველოში არის ტარიბანა. ფიარის ეს ელემენტი, ეს მითი იქვე მკვდარი იყო, არა თუ დროსა და სივრცეში გაჭიმული და გახანგრძლივებული. შეიძლება, პროდუქტი ლამაზად შეფუთო, მაგრამ შინაარსს ვერ შეუცვლი.

საზოგადოება საკმაოდ ინფორმირებულია, საკმაოდ განწონასწორებულია და პრაგმატულად და რეალურად უყურებს მთელ რიგ საკითხებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არსებობს ეთიკის ნორმები და იქ, სადაც რაღაც არ უნდა დაირღვეს, ეს რაღაც არც უნდა დაირღვეს.

- რომელია თქვენი საქმიანობის სხვა სფეროები?

- კიდევ ერთი მიმართულება - ესაა მედია მონიტორინგი. ჩვენ გვაქვს ძალიან საინტერესო არქივები და ძალიან დიდი ინფორმაცია. მედია მონიტორინგს ბევრი კომპანია აკეთებს, მაგრამ ჩვენი ახალი პროდუქტია იმის კვლევა, თუ ესა თუ ის პერსონა, ვთქვათ, ხელისუფლებისა თუ ოპოზიციის ესა თუ ის პირველი 10 თუ 15 ცნობადი სახე სხვადასხვა მედია საშუალებაში რამდენჯერაა დაფიქსირებული. შემდეგ ეს ანალიზის საფუძველს გვაძლევს, რაზეც ექსპერტებმა თავიანთი დასკვნა უნდა გააკეთონ, რომ, ვთქვათ, მედია პრეზიდენტს ბევრჯერ იმატომ ახსენებს, რომ კარგი პრეზიდენტია თუ იმიტომ, რომ მედიაზე ზეწოლაა, ოპოზიცია კი იმიტომაა ნაკლებად წარმოდგენილი, რომ აქაც ზეწოლაა თუ იმიტომ, რომ ოპოზიციაა სუსტი.

„ფრაიმ-თაიმის“ ძალიან სერიოზული კაპიტალია ის, თუ ბოლო ექვსი წლის განმავლობაში როგორ პოზიციონირებს, ვთქვათ, კონკრეტული ლიდერი პარტია მთელ პოლიტიკურ სპექტრთან მიმართებაში. როდესაც ამა თუ იმ მიმართულებით ანალიზის გაკეთება დაგვჭირდება, შეგვიძლია ეს სურათი მთლიანად წარმოვადგინოთ.

ჩვენს საპრეზენტაციო კვლევას ის მნიშვნელობაც ჰქონდა, რომ რეალურად ვიცოდეთ, რა ხდება პოლიტიკურ ბაზარზე და თუ რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან თანამშრომლობას გადავწყვეტთ, აბსოლუტურად გახსნილად ვიცით მისი მდგომარეობა თუ რეიტინგი.

კიდევ ერთი სფერო, რომელშიც ვსაქმიანობთ, თრეინინგებია. ეს ერთ-ერთი აქტუალური, ძალიან საინტერესო თემაა. დღეს ყველაფერი ახალი სტანდარტებით, ახალი მიმართულებით იწყება და ახალ ჩარჩოებში მუშაობს. აქედან გამომდინარე, ნებისმიერ მსურველს, ლიდერით დაწყებული და სთაფის გათრეინინგებით დამთავრებული, ეს მომსახურებაც შეგვიძლია გავუწიოთ. როდესაც ადამიანს რაღაცას სთავაზობ, ისიც უნდა ასწავლო, როგორ უნდა განახორციელოს ეს შეთავაზება. არის ძალიან ბევრი მიმართულება და ნიშა, ბიზნესისთვისაც და პოლიტიკისთვისაც, რომელიც ჰგონიათ, რომ ათვისებადია, მაგრამ, სინამდვილეში, როდესაც ამას სპეციალისტი უყურებს, ზუსტად იცის, რომ აუთვისებადია. ელექტორატი კი ქვეცნობიერად ხვდება, რომ პოლიტიკოსი თუ ბიზნესმენი რაღაცას არასწორად აკეთებს და სწორედ ესაა, რაც საარჩევნო ყუთთან თუ პროდუქტთან სერიოზულ გადაწყვეტილებას აღებინებს ადამიანს.

ასევე, ჩვენი მიმართულებაა ფიარ სტრატეგიების შემუშავება, ანალიზის საფუძველზე, გარკვეული სტრატეგიების შექმნა და დაგეგმარება როგორც ბიზნესში, ასევე, პოლიტიკაში.

- ალბათ, დაკვეთები პოლიტიკოსებისგან წინასაარჩევნო პერიოდში მოიმატებს. რა სახის დახმარებას უწევთ ბიზნესს?

- პოლიტიკური დაკვეთები შეიძლება არჩევნების პერიოდში მართლა გაიზარდოს, მაგრამ ბიზნესში, ვფიქრობ, დროს მნიშვნელობა არა აქვს. ამ მიმართულებით, ესაა ბაზრის კვლევა, ამის მიხედვით, პროდუქტისა თუ პერსონის პოზიციონირება, შემდეგ ნებისმიერ აქტივობაზე დაკვირვება, თუ როგორ იმუშავა ამან ბაზარზე, დადებითად თუ უარყოფითად, ჩვენს მიერ შექმნილი სტრატეგიის თვალყურის დევნება - რაიმე წინაღობას ხომ არ გადაეყარა, აქტიურია, პასიურია, გააქტიურება სჭირდება თუ არა და ა.შ.

ანუ, ჩვენი ამოცანაა ნებისმიერი ტიპის სურათის შექმნა და დახატვა; ახალი პროდუქციის ბრენდების შექმნა; მათთვის იმიჯის შექმნა და ამ იმიჯის პოზიციონირების შესნავლა. ესაა გეგმაში, ერთ სიბრტყეში და ერთ სივრცეში, კონტროლქვეშ მოქცეული თემა, რომელიც ისეთივე ნაწილია ბიზნესისა თუ პოლიტიკის, როგორც ურთიერთობის ჩვეულებრივი, მარტივი, ყოველდღიური ცხოვრების წესი, როგორც, ვთქვათ, მისალმება შეხვედრისას.

ამასთან, ჩვენი სამსახური არ აპირებს მხოლოდ ბიზნესისა თუ პოლიტიკასთან დაკავშირებული პროექტებით შემოიფარგლოს. ამ სტრატეგიის ნაწილია, ერთი ძალიან საინტერესო პროექტი, რომელიც, რა თქმა უნდა, სპონსორების გარეშე ვერ განხორციელდება.

გადავწყვიტეთ, გავაკეთოთ კერამიკოსების ბიენალე, რომელშიც ქართველების გარდა, მონაწილეობის მისაღებად ვიწვევთ შემოქმედებს კონფლიქტის ზონის ქვეყნებიდან - აფხაზ, ოს, პალესტინელ, ებრაელ, სომეხ, აზერბაიჯანელ მხატვრებს. ჩავთვალეთ, რომ კარგი იქნება, მათი შეხვედრა მოეწყოს აჭარაში, რომელიც კულტურებისა და რელიგიების თანაცხოვრების საუკეთესო ნიმუშია, მის მაღალმთიან რეგიონში, სადაც ისინი ერთად იმუშავებენ. ვფიქრობ, ეს ყველაფერი ძალიან საინტერესო იქნება. ჩვენ ვთხოვთ, რომ თითოეულმა მონაწილემ თავისი ქვეყნის თიხა წამოიღოს - რომელიც, თავისთავად, სიმბოლოს მატარებელია, და თუ სურვილი ექნებათ, ერთი ნამუშევარი ყველამ ერთად გააკეთოს. ამ პროექტს მომავალი ზაფხულისთვის ვგეგმავთ - მას სერიოზული მომზადება სჭირდება და ამის თაობაზე განაცხადს თქვენთან საუბარში პირველად ვაკეთებ.

მანამდე კი, სავარაუდოდ, სექტემბერში, გვინდა ჩავატაროთ კონკურსი ჟურნალისტებისთვის, რომლის ნომინაციებზე ახლა ვყალიბდებით. კონკურსი ყოველწლიური იქნება და მასზე ფიარის ტრანსპარანტულობის თემა კიდევ ერთხელ გახმოვანდება.

ნიუმანის პორტრეტები

ცნობილი ამერიკელი ფოტოგრაფი არნოლდ ნიუმანი რამდენიმე დღის წინ ნიუ იორკში გარდაიცვალა. 88 წლის ნიუმანს, რომელიც კლინიკაში ინსულტის შემდგომ რეაბილიტაციას გადიოდა, უეცრად გული გაუჩერდა.

არნოლდ ნიუმანი 1918 წელს დაიბადა. 1930 წლიდან ფლორიდის უნივერსიტეტში ხელოვნებას სწავლობდა. რვა წლის შემდეგ იგი ფილადელფიის ერთ-ერთი სტუდიისთვის იღებდა, სადაც მისივე თქმით, ისწავლა ადამიანებთან კამერის მეშვეობით ურთიერთობა. სამი წლის შემდეგ იგი ნიუ იორკის თანამედროვე ხელოვნების კურატორს, ფოტოგრაფიის ისტორიკოსს ბომონ ნიუჰოლს შეხვდა, სწორედ ამ უკანასკნელმა წარადგინა ნიუმანი ცნობილი ფოტოხელოვანის ალფრედ სტიგლიცის წინაშე. ძალიან მალე ახალგაზრდა ფოტოგრაფის პირველი პერსონალური გამოფენაც გაიხსნა.

1946 წლიდან ნიუმანს საკუთარი სტუდია აქვს და ცნობილ ჟურნალებში (Harper's Bazaar, Time, Life, Look, Fortune) ბეჭდავს ნამუშევრებს. არნოლდ ნიუმანმა განსაკუთრებულ დონეზე აიყვანა ფოტოპორტრეტის ჟანრი, რომელსაც „პორტრეტი გარემოში“, ანდა „ჟანრული პორტრეტი“ შეიძლება დავარქვათ. იგი თავის მოდელებს ისეთ გარემოში ათავსებდა, რომელიც მათთვის იყო დამახასიათებელი და ახლობელი. მონდრიანი მოლბერტთან, კენედი თეთრი სახლის წინ, სტრავინსკი როიალთან. . .

ფოტოხელოვანმა სახელი 40-იან წლებში გაითქვა. ძირითადად იგი ცნობილ ადამიანებს - მხატვრებს, მსახიობებს და პოლიტიკოსებ იღებდა. ნიუმანის ნამუშევრებიდან აღსანიშნავია მერლინ მონროსა და პაბლო პიკასოს ფოტოები. თუმცა ყველაზე საინტერესო და პოპულარული მისი ფოტოებიდან როიალთან მჯდომი იგორ სტრავინსკისა და საკუთარი ქარხნის წინ მდგომი ცნობილი გერმანელი მეწარმის, ალფრედ კრუპის პორტრეტებია.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო აცხადებს ორეტაპიან ღია ტენდერს ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვაზე. თემა - **კულტურული მემკვიდრეობის ანალიტიკურ-საინფორმაციო სივრცის შექმნა**

ლოტი 1.

კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლ(ებ)ზე მუდმივად განახლებადი კომპლექსური მონაცემთა ბაზის შექმნა - ზარზმის და უბისის სამონასტრო კომპლექსების მაგალითზე

ლოტი 2.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს, კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტში უძრავ ძეგლებზე არსებული საინფორმაციო ნაკადების მონაცემთა ბაზის შექმნა და ციფრულ ფორმატში გადაყვანა

ლოტი 3.

საქართველოსა და თბილისის მუზეუმების ვებ-გვერდების შექმნა

ზემოაღნიშნული სამუშაოები უნდა შესრულდეს გის ტექნოლოგიების ამოყენებით.

ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოს დასრულებისა და ჩაბარების საბოლოო ვადაა:

ლოტი 1 - **2007 წლის 30 იანვარი**
ლოტი 2 - **2007 წლის 30 იანვარი**
ლოტი 3 - **2006 წლის 30 ნოემბერი**

შესრულებული სამუშაო (საბოლოო პროდუქცია) დამკვეთს წარედგინება:

ლოტი 1.

სამინისტროს კომპიუტერულ ქსელში დაინსტალირებული მონაცემთა ბაზა;

მონაცემთა ბაზის 3 ასლი;

მონაცემთა ბაზის შემადგენელი ყველა გაფართოების ფაილი - სათანადოდ დასათაურებული DVD დისკის სახით.

ლოტი 2.

სამინისტროს კომპიუტერულ ქსელში დაინსტალირებული მონაცემთა ბაზა;

მონაცემთა ბაზის 3 ასლი;

მონაცემთა ბაზის შემადგენელი ყველა გაფართოების ფაილი - სათანადოდ დასათაურებული DVD დისკის სახით.

ლოტი 3.

ხუთ ეზგემპლარად - ელექტრონული ვერსია კომპაქტური დისკების (CD) სახით (3) და მყარი ასლების სახით (2), რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე.

ტენდერის შედეგად ყოველ ცალკეულ ლოტზე გამოვლინდება გამარჯვებული, რომელთანაც დაიდება ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

სამუშაოების ცალკეული ნაწილების შესრულება შესაძლებელია მოხდეს სუბკონტრაქტორთა მიერ. მათი მონაწილეობის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს სუბკონტრაქტორთა საკვალიფიკაციო მონაცემები.

ტენდერში მონაწილეობის მსურველმა პირებმა უნდა წარმოადგინონ სატენდერო წინადადება, საკვალიფიკაციო მონაცემები და ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

იურიდიული პირებისათვის

- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან პრეტენდენტის ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ;

- ცნობა სასამართლოდან, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ პრეტენდენტის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების და სანაციის საქმის წარმოება;

დამატებითი მოთხოვნები და ინფორმაცია როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირებისათვის:

უნდა გააჩნდეს:

- სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება (ინფორმაცია ყველა მონაწილის, მათ შორის ძირითად თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ);

- გამოცდილება მსგავსი სამუშაოს შესრულებაზე უკანასკნელი 3 წლის მანძილზე;

- პრეტენდენტის ტექნიკური აღჭურვილობა.

საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა იყოს წარმოდგენილი პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების მითითების გარეშე, რომელშიც აღნიშნული იქნება:

- მომსახურების ზოგადი აღწერილობა,

- სამუშაოთა შესრულების კალენდარული გეგმა-გრაფიკი (შემსყიდველი ორგანიზაციის წინაშე საშუალედო ანგარიშებისთვის შესრულებული სამუშაოს წარმოდგენით);

- ინფორმაცია პროექტის განხორციელების მიმდინარეობაზე ხარისხის კონტროლის შიდა სისტემის შესახებ;

- მეთოდიკა სამუშაოების ჩატარების უზრუნველსაყოფად (მოთხოვნილი პროდუქციის მიხედვით);

ასევე, სხვა ინფორმაცია, რომელსაც საჭიროდ ჩათვლის წარმომდგენი.

სატენდერო მოსაკრებლის გადახდა შესაძლებელია განცხადების გამოქვეყნების დღიდან საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სატენდერო წინადადებების მიღების ვადის დასრულებამდე, შემდეგ ანგარიშზე: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220 101 107 ანგარიშის ნომერზე N200122900. სახაზინო კოდი 30 200 3000.

საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და პირველადი სატენდერო წინადადებების მიღება იწარმოებს 2006 წლის 3 ივლისიდან 7 ივლისის 17 საათამდე სატენდერო მოსაკრებლის - 200 ლარის - გადახდის შემდეგ.

განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და პირველადი სატენდერო წინადადება უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი ერთად, ერთ დახურულ კონვერტში სამ ეგზემპლარად (ერთი დედანის და ორი - ქსეროასლის სახით) 2006 წლის 3 ივლისიდან 7 ივლისის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, სანაპიროს ქ. N4, IV სართული, ოთახი 405.

დაგვიანებით შემოსული განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და პირველადი სატენდერო წინადადებები არ განიხილება და დაუბრუნდება წარმომდგენ პირებს.

საკვალიფიკაციო პერიოდში მოხდება წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების ზემოაღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა. პირველადი სატენდერო წინადადებების განხილვა და სატენდერო დოკუმენტაციის საბოლოო დაზუსტება.

დაზუსტებული სატენდერო დოკუმენტაცია გადაეცემა შერჩეულ პრეტენდენტებს 2006 წლის 17 ივლისიდან 19 ივლისის 17 საათამდე.

სატენდერო წინადადების წარდგენა უნდა მოხდეს 2006 წლის 25 ივლისიდან 28 ივლისის 17 საათამდე ერთ დახურულ კონვერტში სამ ეგზემპლარად (ერთი დედანის და ორი ქსეროასლის სახით). პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს ორივე ლოტზე ერთი სატენდერო წინადადება. სატენდერო წინადადების ვადა განსაზღვრული უნდა იყოს მინიმუმ 2006 წლის 5 სექტემბრამდე.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო აპარატში, აგრეთვე, გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდე.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: **ლელა დაღელაშვილი, თენგიზ კოდუა, ინგა ქარაია ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.**

ტელეფონები: 995 006. 999 196, 932 188

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ.N15ა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და 2006 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად, აცხადებს ღია ტენდერს ტალონური სისტემით შემდეგი სახის საწვავის შესყიდვაზე:

ლოტი I

ბენზინი „პრემიუმი“ ოქტანური რიცხვით არანაკლებ 95 - 145000 ლიტრი:

ლოტი II

დიზელი - 5000 ლიტრი.

და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. მოწოდებული საქონელი უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო სტანდარტებსა (ისო) და ევროპულ ნორმებს (ენ).

2. საქონლის (ტალონების) მიწოდება უნდა განხორციელდეს **DDP** პირობით, მიმწოდებელთან ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა, მის: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ.N15ა, მე-3 სართული, ხოლო მომსახურება გაწული უნდა იქნეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მიმწოდებლის კუთვნილ ბენზინგასამართ სადგურებზე მოწოდებული ტალონების სრულ განაღდებამდე;

3. დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქული კონვერტებით, შესაბამისი აღნიშვნებით) უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 5 ივლისის 14 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, მის: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ.N15ა.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) მონაწილე პირის რეკვიზიტებს (მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება ტენდერში მონაწილე პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ ტენდერში მონაწილე პირის (უძრავ-მოძრავ) ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

დ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ

5. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის, თუ პრეტენდენტები დადგენილ ვადაში არ წარმოადგენენ მე-4 პუნქტში მითითებულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას და/ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი.

6. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ **200 (ორასი)** ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 3 ივლისის 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ.N15ა.

7. პრეტენდენტების მიერ სატენდერო წინადადების წარმოდგენა შესაძლებელია მისთვის სასურველ ერთ ან ორივე ლოტზე, ხოლო გამარჯვებული გამოვლინდება თითოეულ ლოტზე ცალ-ცალკე.

8. პრეტენდენტის მიერ სატენდერო მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107, ანგარიშის N200122900, სახაზინო კოდი: 302003000, ინფორმაცია: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება „სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური“, ს/კ: 205142200.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში, მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ.N15ა, მე-3 სართული, ტელ: (893) 33 46 90, (899) 55 61 52, (995 032) 39 74 98.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის სატენდერო კომისია

პროექტი „ილია ჭავჭავაძე“
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი
აცხდებს კონკურსს ვაკანსიაზე

ექსპერტი საერთაშორისო გამოცდილებით მასწავლებელთა სერტიფიცირებისა და რესერტიფიცირების საკითხებში

შესავალი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტის ფარგლებში ახორციელებს პროექტს „ილია ჭავჭავაძე“. საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი დახმარებას უწევს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის ზოგადი მართვის პროცესში, კერძოდ, კი პროექტის კოორდინაციაში, ადმინისტრირებაში, ანგარიშგებაში, შესყიდვებსა და ფინანსებში.

განათლების რეფორმის შესახებ

2005 წლიდან საქართველოს მთავრობა შეუდგა ქვეყანაში მასწავლებელთა პირობების გაუმჯობესებას. 2005 წლის სექტემბრიდან გაიზარდა მასწავლებელთა ხელფასები, მაგრამ დღესდღეობით არ არსებობს მასწავლებლების საქმიანობისა და კვალიფიკაციის შეფასების სანდო და სამართლიანი მექანიზმები. რეფორმირებას საჭიროებს მასწავლებელთა დაფინანსების, მომზადებისა და პროფესიული განვითარების და შეფასების სისტემები. მასწავლებელთა მართვის არსებული ცენტრალიზებული, სუბიექტური სისტემა უნდა შეიცვალოს უფრო ობიექტურ, თანამშრომლობაზე ორიენტირებულ სისტემად. მნიშვნელოვანია მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტების შემუშავება, მასწავლებელთა რეგისტრაციისა და სერტიფიცირების მექანიზმების ჩამოყალიბება, მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაცია.

დღესდღეობით არ არსებობს რეგისტრაციის ისეთი სისტემა, რომელიც საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ დამწყები მასწავლებლები და ვმართოთ მოქმედი მასწავლებლების ხარისხი. ზემოაღნიშნულ სფეროში საერთაშორისო გამოცდილების მქონე მოკლევადიანმა კონსულტანტმა დახმარება უნდა გაუწიოს ახლად ჩამოყალიბებულ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრს მასწავლებელთა სერტიფიცირებისა და რესერტიფიცირების ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებაში მასწავლებელთა ხარისხის მართვისა და მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების უზრუნველსაყოფად.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის შესახებ

2006 წლის თებერვალში, საქართველოს მთავრობის მიერ მასწავლებელთაA პროფესიული მომზადებისა და განვითარების კონცეფციის მიღებისა და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნის შედეგად ჩამოყალიბდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. ცენტრი წარმოადგენს დამოუკიდებელ იურიდიულ პირს, რომელიც მომავალში თანდათანობით გადავა თვითდაფინანსებაზე. ცენტრი შეიმუშავებს მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტებს და უზრუნველყოფს მასწავლებლების რეგისტრაციას, სერტიფიცირებასა და დისციპლინური პროცედურების შექმნასა და განხორციელებას. იგი ასევე განახორციელებს მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციას.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის შეიმუშავებს რეკომენდაციებს მასწავლებელთა პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ცენტრის მიზანია საქართველოში შეიქმნას ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს მასწავლებლებს, სკოლის დირექტორებს, სკოლებსა და მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების პროგრამებს მიაღწიონ საერთაშორისო დონეზე აღიარებულ სტანდარტებს.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ექვსი პრიორიტეტული მიზანი მოყვანილია ქვემოთ. **ცენტრის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს მასწავლებელთა სერტიფიცირებისა და რესერტიფიცირების სისტემის ჩამოყალიბება.**

1. მასწავლებლების პროფესიის სტატუსის ამაღლება. საქართველოს განათლების სისტემის მოდერნიზაციის ხელშეწყობა და მოსწავლეების სწავლის პროცესის გაუმჯობესება;

2. პროფესიული განვითარების ჩარჩოს შემუშავება; მასწავლებლის, სკოლის დირექტორის პროფესიული სტანდარტების, ეთიკური ქცევისა და დისციპლინარული პროცედურების, წარმატებული სკოლის მახასიათებლების შემუშავება და მუდმივი განახლება;

3. მასწავლებლების, სკოლაში არებული ვაკანსიებისა და მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების პროგრამების რეგისტრაციის სისტემის ჩამოყალიბება და ამოქმედება;

4. მასწავლებლების სერტიფიცირებისა და რესერტიფიცირების სისტემის ჩამოყალიბება და უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის შესაბამისი კრედიტების დაგროვების სისტემის შემუშავება;

5. მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების პროგრამებისა და კურსებისათვის აკრედიტაციის სისტემის შემუშავება და ამოქმედება.

6. ფართო საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაცია და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის რეკომენდაციების შესამუშავებლად მასწავლებლის პროფესიის საკითხებთან დაკავშირებული კვლევების ჩატარების უზრუნველყოფა.

დავალების ძირითადი მიზნები

1. სერტიფიცირების ინსტრუქციების შემუშავება არსებული დოკუმენტებისა და სამოქმედო გეგმის საფუძველზე;

2. მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების მომზადებასა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავებაში დახმარების გაწევა;

3. მასწავლებელთა რესერტიფიცირების საკითხებში ინსტრუქციების შემუშავება

ამოცანები და პასუხისმგებლობები

ცენტრის დირექტორისა და სერტიფიცირების სპეციალისტის ხელშეწყობა:

1. მასწავლებელთა სერტიფიცირების სისტემის ჩამოყალიბებასა და სერტიფიცირების სამოქმედო სახელმძღვანელოს შემუშავებაში;

2. დამწყები და მოქმედი მასწავლებლებისათვის სასერტიფიკაციო გამოცდების დიზაინისა და სამოქმედო სახელძღვანელოს შემუშავებაში;

3. მასწავლებელთა რესერტიფიცირების პროცესის დიზაინისა და კრედიტების დაგროვების სისტემის შემუშავებაში;

4. შუალედური და საბოლოო ანგარიშების მომზადება ცენტრის დირექტორისთვის.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები

- უმაღლესი განათლება შესაბამის სფეროში;
- მინიმუმ 5 წლის სამუშაო გამოცდილება შესაბამის სფეროში;
- გამოცდილება მასწავლებელთა სერტიფიცირებაში, სასერტიფიკაციო გამოცდების დიზაინისა და სერტიფიცირების სისტემის ფუნქციონირების სფეროში;
- საუკეთესო საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები და ჯგუფური მუშაობის გამოცდილება;
- ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

მისაღწევი მიზნები

- სერტიფიცირების სამოქმედო სახელმძღვანელო, კერძოდ, წესები, გეგმა, პროცედურები სერტიფიცირების სისტემისათვის;

- სამოქმედო სახელმძღვანელო სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის;

- რესერტიფიცირების სამოქმედო სახელმძღვანელო, რესერტიფიცირების წესებისა და პროცედურების და კრედიტების დაგროვების პროცედურების გათვალისწინებით;

- შუალედური და საბოლოო ანგარიშები.

დავალების ხანგრძლივობა

10 (ათი) კვირა.

თქვენთვის საინტერესო ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გთხოვთ წარმოადგინოთ განაცხადები ქართულ და ინგლისურ ენებზე შემდეგ მისამართზე:

საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი

0102 თბილისი, უზნაძის ქ. N52, ოთახი N102.

ტელეფონები: 91-14-53 F

ელ-ფოსტა: MarinaZhvania@mes.gov.ge

საკონტაქტო პირი: ქ-ნი **მარინა ჟვანია**

წარმოსადგენი განაცხადების ფორმების ელექტრონული ვერსიები განთავსებულია პროექტ „ილია ჭავჭავაძის“ ინტერნეტ გვერდზე:

www.reform.edu.ge

ვაკანსიები და განცხადებები

განაცხადის ფორმა

განაცხადების წარმოდგენის საბოლოო ვადაა 2006 წლის 1 ივლისი.

პროექტი „ილია ჭავჭავაძე“
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი
აცხდებს კონკურსს ვაკანსიაზე

ექსპერტი საერთაშორისო გამოცდილებით მასწავლებელთა რეგისტრაციის საკითხებში

შესავალი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტის ფარგლებში ახორციელებს პროექტს „ილია ჭავჭავაძე“. საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი დახმარებას უწევს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის ზოგადი მართვის პროცესში, კერძოდ, კი პროექტის კოორდინაციაში, ადმინისტრირებაში, ანგარიშგებაში, შესყიდვებსა და ფინანსებში.

განათლების რეფორმის შესახებ

2005 წლიდან საქართველოს მთავრობა შეუდგა ქვეყანაში მასწავლებელთა პირობების გაუმჯობესებას. 2005 წლის სექტემბრიდან გაიზარდა მასწავლებელთა ხელფასები, მაგრამ დღესდღეობით არ არსებობს მასწავლებლების საქმიანობისა და კვალიფიკაციის შეფასების სანდო და სამართლიანი მექანიზმები. რეფორმირებას საჭიროებს მასწავლებელთა დაფინანსების, მომზადების, პროფესიული განვითარების და შეფასების სისტემები. მასწავლებელთა მართვის არსებული ცენტრალიზებული, სუბიექტური სისტემა უნდა შეიცვალოს უფრო ობიექტურ, თანამშრომლობაზე ორიენტირებულ სისტემად. მნიშვნელოვანია მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტების შემუშავება, მასწავლებელთა რეგისტრაციისა და სერტიფიცირების მექანიზმების ჩამოყალიბება, მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაცია.

დღესდღეობით არ არსებობს რეგისტრაციის ისეთი სისტემა, რომელიც საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ დამწყები მასწავლებლები და ვმართოთ მოქმედი მასწავლებლების ხარისხი. ზემოაღნიშნულ სფეროში საერთაშორისო გამოცდილების მქონე მოკლევადიანმა კონსულტანტმა დახმარება უნდა გაუწიოს ახლად ჩამოყალიბებულ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრს ეფექტური რეგისტრაციის სისტემის ჩამოყალიბებაში მასწავლებელთა ხარისხის მართვისა და მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების უზრუნველსაყოფად.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის შესახებ

2006 წლის თებერვალში, საქართველოს მთავრობის მიერ მასწავლებელთა პროფესიული მომზადებისა და განვითარების კონცეფციის მიღებისა და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნის შედეგად ჩამოყალიბდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. ცენტრი წარმოადგენს დამოუკიდებელ იურიდიულ პირს, რომელიც მომავალში თანდათანობით გადავა თვითდაფინანსებაზე. ცენტრი შეიმუშავებს მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტებს და უზრუნველყოფს მასწავლებლების რეგისტრაციას, სერტიფიცირებასა შექმნასა და განხორციელებას. იგი ასევე განახორციელებს მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციას. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის შეიმუშავებს რეკომენდაციებს მასწავლებელთა პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ცენტრის მიზანია საქართველოში შეიქმნას ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს მასწავლებლებს, სკოლის დირექტორებს, სკოლებსა და მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების პროგრამებს მიაღწიონ საერთაშორისო დონეზე აღიარებულ სტანდარტებს.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ექვსი პრიორიტეტული მიზანი მოყვანილია ქვემოთ. **ცენტრის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს მასწავლებელთა რეგისტრაცია.**

1. მასწავლებლის პროფესიის სტატუსის ამაღლება. საქართველოს განათლების სისტემის მოდერნიზაციის ხელშეწყობა და მოსწავლეების სწავლის პროცესის გაუმჯობესება;

2. პროფესიული განვითარების ჩარჩოს შემუშავება; მასწავლებლის, სკოლის დირექტორის პროფესიული სტანდარტების, ეთიკური ნორმების, წარმატებული სკოლის მახასიათებლების შემუშავება და მუდმივი განახლება;

3. მასწავლებლების, სკოლაში არებული ვაკანსიებისა და მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების პროგრამების რეგისტრაციის სისტემის ჩამოყალიბება და ამოქმედება;

4. მასწავლებლების სერტიფიცირებისა და რესერტიფიცირების სისტემის ჩამოყალიბება და პროფესიული განვითარებისათვის შესაბამისი კრედიტების დაგროვების სისტემის შემუშავება;

5. მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების პროგრამებისა და კურსებისათვის აკრედიტაციის სისტემის შემუშავება და ამოქმედება;

6. ფართო საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაცია და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის რეკომენდაციების შესამუშავებლად მასწავლებლის პროფესიის საკითხებთან დაკავშირებული კვლევების ჩატარების უზრუნველყოფა.

დავალების მიზნები

1. მასწავლებელთა რეგისტრაციის წესებისა და პროცედურების, რეგისტრაციის ინსტრუქციების, საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და დისციპლინარული პროცედურების შემუშავება;

2. მასწავლებელთა, სკოლაში არსებული ვაკანსიების, მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების აკრედიტირებული პროგრამების რეგისტრაციისათვის ეფექტური და მომხმარებელზე ორიენტირებული მონაცემთა ბაზის შექმნა და შესაბამისი სამოქმედო სახელმძღვანელოს შემუშავება;

3. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის რეგისტრაციის სამსახურის თანამშრომლებისა და შესაბამისი ტექნიკური პერსონალის ტრენინგი.

ამოცანები და პასუხისმგებლობები

ცენტრის დირექტორისა და რეგისტრაციის სამსახურის უფროსის ხელშეწყობა:

1. არსებული დოკუმენტების საფუძველზე, რეგისტრაციის პროცედურებისა და წესების შემუშავება:

- დამწყები და მოქმედი მასწავლებლებისათვის;
- სკოლაში არსებული ვაკანსიებისათვის;
- მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების პროგრამებისათვის.

2. მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენა და არაპროფესიული და არაეთიკური ქმედების დისციპლინური პროცედურებისა და წესების შემუშავება;

3. რეგისტრაციის მონაცემთა ბაზის სპეციფიკაციის შემუშავება;

4. არსებული წესებისა და პროცედურების შესაბამისად რეგისტრაციის სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

5. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის თანამშრომლების ტრენინგი რეგისტრაციის საკითხებში;

6. შუალედური და საბოლოო ანგარიშის მომზადება ცენტრის დირექტორისთვის.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები

- უმაღლესი განათლება შესაბამის სფეროში;
- მინიმუმ 5 წლის სამუშაო გამოცდილება შესაბამის სფეროში;
- მონაცემთა ბაზების შექმნის გამოცდილება, სასურველია მასწავლებელთა რეგისტრაციის სფეროში;
- საუკეთესო საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები და ჯგუფური მუშაობის გამოცდილება;
- ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობისა და მონაცემთა ბაზების შემუშავების გამოცდილება;
- გამოცდილება წვრთნაში.

მისაღწევი მიზნები

- მასწავლებელთა, სკოლაში არსებულ ვაკანსიათა, მასწავლებელთაA მომზადებისა და პროფესიული განვითარების პროგრამების რეგისტრაციის წესები და პროცედურები, სახელმძღვანელო ინსტრუქციები;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნები მომავალი მასწავლებლებისათვის;
- დისციპლინური პროცედურები და წესები მასწავლებლებისათვის;
- ტექნიკური დავალება მონაცემთა ბაზის შემუშავებისათვის;
- სამოქმედო სახელმძღვანელო რეგისტრაციის პროცედურებისა და მონაცემთა ბაზისათვის;
- მოქმედი ელექტრონული მონაცემთა ბაზა მასწავლებლებისათვის, სკოლაში არსებული ვაკანსიებისათვის, მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების პროგრამებისათვის;
- ცენტრის თანამშრომლების ტრენინგი;
- შუალედური და საბოლოო ანგარიშები.

დავალების ხანგრძლივობა

10 (ათი) კვირა.

თქვენთვის საინტერესო ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გთხოვთ წარმოადგინოთ განაცხადები ქართულ და ინგლისურ ენებზე შემდეგ მისამართზე:

საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი

0102 თბილისი, უზნაძის ქ. N52, ოთახი N102.

ტელეფონი: 91-14-53 F

ელ-ფოსტა: MarinaZhvania@mes.gov.ge

საკონტაქტო პირი: ქ-ნი **მარინა ჟვანია**

წარმოსადგენი განაცხადების ფორმების ელექტრონული ვერსიები განთავსებულია პროექტ „ილია ჭავჭავაძის“ ინტერნეტ გვერდზე:

www.reform.edu.ge

ვაკანსიები და განცხადებები

განაცხადის ფორმა

განაცხადების წარმოდგენის საბოლოო ვადაა 2006 წლის 1 ივლისი.

ცელულოიდის ენები პლასტიკური ოპერაცია არ გეგონოთ

18 ივნისს 18 საათზე პირველი სკოლის შენობაში შეგიძლიათ მეტი შეიტყოთ იმ ენების კურსების შესახებ, სადაც კინოფილმებით ასწავლიან იტალიურს, ესპანურს, ფრანგულს და რუსულს (14-დან 75 წლამდე დაინტერესებულებს).

ენების სწავლების მრავალი მეთოდი არსებობს, მოგეხსენებათ, მაგრამ ეს - ახლა რომელზეც გვინდა გამობთ - მართლა ყველასაგან გამორჩეულია: კინოფილმებით ენების სწავლება. ვთაქვათ, ფედერიკო ფელინის „ტკბილი ცხოვრებით“, რომელიც არა მხოლოდ 60-იანი წლების კულტი იყო, არამედ, ზოგადად, კინოს ისტორიაში უმნიშნელოვანესი მოვლენა გახლდათ, თქვენ შეგიძლიათ ისწავლოთ იტალიურად კითხვაც, გაერკვეთ გრამატიკაშიც, გამოთქმაც აითვისოთ და ნელ-ნელა ლაპარაკიც დაიწყოთ. ამაში კი დაგეხმარებიან მარჩელო მასტროიანი, ანიბალე ნინჩი, ანუკ ემე, პაპარაცები, თვით ფელინი და მისი თანაავტორი სცენარისტები და, რაც მთავარია, თქვენი მასწავლებელი, რომელმაც ფილმის მთელი დიალოგები დაგიწერათ, გრამატიკულად დაგილაგათ და გაგირჩიათ, ლექსიკურად განგიმარტათ და მოგიმზადათ, მოგიწესრიგათ და მოგანოდათ ეს ფილმი ანუ იზრუნა იმაზე, რომ ენობრივად მარტივიდან რთულისკენ პრინციპით განვითარებულიყო თქვენთვის ფილმი, სახალისო ყოფილიყო ენის სწავლის პროცესი და ცოტათი მსახიობებადაც გეგრძნოთ თავი. ამის შემდეგ ნუ გაგიკვირდებათ, თუ მარჩელოსავით ჩაუჩურჩულებთ ქალს: „Tu sei tutto, sei la donna del primo giorno sulla terra, sei Eva, sei la madre, sei l amante, la femmina, sei un angelo, il diavolo, la terra, la casa”*, ან ფილმიდან „პური და შოკოლადი“ ნინო მანფრედის „მეგობარი“ მეწარმესავით დაიყვირებთ გაბრაზებულები: „Non me ne frega un cazzo!”** ან ალბერტო სორდივით (ფილმიდან „კომპლექსები“) გაიკრიჭებით და იტყვით „Meglio cos , dice il vangelo: gli ultimi saranno i primi!”*** ან ვიტორიო გასმანივით წაიმღერებთ ხოლმე: “Guarda, come dondolo,/ Con le gambe ad angolo...”**** (ფილმიდან „გადასწრება“) და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ამიტომაც დაარქვეს ამ კურსებს ცელულოიდის ენები ანუ ცელულოიდის კინოფირებიდან მოლაპარაკე კინოგმირების დახმარებით შესწავლილი ენებიო. კურსების იდეა კი რეჟისორ ლელა ბერიძეს ეკუთვნის.

- ლელა, მაინც რა გამოარჩევს ამ მეთოდს სხვებისგან?

- ამ მეთოდის ყველაზე დიდი სიკეთე ის გახლავთ, რომ იგი შემსწავლელს უქმნის ენობრივ გარემოს - ძალიან ბევრი ვიცი, ვისაც წარმოდგენა არა აქვს იმაზე, თუ რა არის, ვთქვათ, არსებითი სახელი, რომ აღარაფერი ვთქვათ ქვეწყობილ წინადადებაზე, მაგრამ ენა ამ ენობრივ გარემოში ცხოვრებით უსწავლია; ამ მეთოდით ენასთან ერთად ადამიანი იმ ქვეყნის კულტურასაც ეზიარება და იმ ქვეყანაში ლამის მოგზაურობს, რომლის ენის სწავლაც გადაუწყვეტია, ვიზუალურ-აკუსტიკურ-კულტურულად ითვისებს ყველაფერს, ერთბაშად აღმოჩნდება ამ ენით და ქვეყნით გარემოცული და ერთბაშადვე იწყებს ლაპარაკს, მართალია, თავიდან ბევრი შეცდომით, მაგრამ ლაპარაკობს, შეცდომების კომპლექსი არა აქვს და საკუთარ შეცდომებზე სწავლობს კიდეც. გარდა ამისა, ერთია, როცა მე გასწავლით ენას, და მეორეა, როცა ჩემს გვერდით არიან დიდი მსახიობები და დიდი რეჟისორები თავიანთი უკვდავი ფილმებით და „ასისტენტობას“ მიწევენ თქვენს სასიკეთოდ.

- ეს მეთოდი არსებობდა თუ თქვენ მოიგონეთ?

- ამ მეთოდზე ენების ყველა თანამედროვე სახელმძღვანელოშია მინიშნებული, იგი ევროპაში უკვე აპრობირებულია, მეც მისწავლებია კინოფილმებით, მაგრამ, სამწუხაროდ, მეთოდი მე არ მომიგონია. ისე კი ძალიან მეწყინა, რომ დამასწრეს! მეწყინა, რომ ვიღაცამ ჩემზე ადრე ჩამოაყალიბა მეთოდად სწავლების ეს ეფექტური, ხალისიანი ფორმა. გამოცდილება აშკარად მაძლევდა საშუალებას, თვითონ მივსულიყავი ამ მეთოდამდე.

- კინორეჟისორი რომ ხართ, იმიტომ?

- კინორეჟისორი ვარ, მაგრამ კინოსთან იტალიური ენის სიყვარულმა მიმიყვანა: იტალიურით უკვე მეხუთე კლასიდან ვიყავი გატაცებული, და მოგვიანებით, როცა ფედერიკო ფელინის „ტკბილი ცხოვრების“ სცენარი ჩამივარდა ხელში (ჩვენს სამშობლოში 80-იანი წლების დასაწყისში მსგავსი ლიტერატურის ორიგინალში შოვნა არ იყო იოლი), დავრწმუნდი, უფრო მეტად მართლა არაფერი მაინტერესებდა. „La dolce vita“ს სცენარი, ენის შესწავლის თვალსაზრისით, იყო იოლიც (მეტ-ნაკლებად მარტივი დიალოგებით) და საინტერესოც, რადგან ფილმს უკვე ვიცნობდი და რაც ვერბალურად არ მესმოდა, იმას ფილმის ვიზუალური მასალის დახმარებით ვხვდებოდი. ეს მაქეზებდა, მახალისებდა და უფრო მეტს მასწავლიდა. მერე და მერე, როცა იტალიაში მომიწია ცხოვრებამ და სწავლამ (1991-1995 ვსწავლობდი ვერონის უნივერსიტეტის ლიტერატურისა და ფილოსოფიის ფაკულტეტზე), ენის ცოდნის სრულყოფაში ცოცხალი ურთიერთობების და წიგნების გარდა ძალიან მეხმარებოდა ტელევიზორი და კინო.

- და გერმანული ენა რატომ არა გაქვთ კურსებზე, თქვენ ხომ ბერლინის კინოაკადემია დაამთავრეთ?

- სხვათა შორის, გერმანული ენაც კინოს საშუალებით ვისწავლე: 1996 წლის ბერლინალეზე 43 (!) ფილმი ვნახე და ფესტივალის დახურვის დღეს, პრაქტიკულად, უკვე ვლაპარაკობდი გერმანულად.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ არა გვაქვს გერმანული ენა ჩვენს კურსებზე: ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, ენების შესწავლის მსურველებისთვის შემეთავაზებინა კარგი კინო. კინო, მოგეხსენებათ, ფრანგებმა მოიგონეს, დღემდე ყველაზე კარგ კინოს ეგენი აკეთებენ კინემატოგრაფიულად უკვე ძალიან დაკნინებულ ევროპაში, ამიტომ აუცილებელი იყო ფრანგული ენის ქონა, რომელიც ძალიან მიყვარს; რუსულ კინოზე კარგი კინო (ოღონდ არ ვგულისხმობ თანამედროვე რუსულ კინოს) მე არსად მეგულება - ამიტომ რუსულიც გარდაუვალი იყო; ესპანური კი, ჩემი აზრით, ინგლისურის რეალური ალტერნატივაა მსოფლიო მასშტაბით, ამიტომ ესპანური გვჭირდებოდა, თუმცა ბუნუელიც საკმარისი მიზეზი იქნებოდა ესპანურის ასარჩევად. ანუ გერმანული კინო, თავისთავად, ასეთ კონკურენციას ვერ უძლებს თავისი ერთნახევარი თუ ორი რეჟისორით, რომელიც მისცა კინოისტორიას. გარდა ამისა, როცა ფილმს ამზადებ ამ მეთოდით, მას 30-50-ჯერ ნახულობ, თქვენ ეხუმრებით რომელიც გნებავთ გერმანული ფილმის ამდენჯერ ნახვას?

- და მასწავლებლები ვინ არიან „ცელულოიდის ენებში“?

- იტალიურს მე ვასწავლი, ფრანგულს ასწავლის ნინო ციმაკურიძე, ფრანგული ენის გამოცდილი და დაფასებული სპეციალისტი, რუსულის პედაგოგია ნანა სტეფანიანი, რომელიც ლიტვაში 12 წელი ასწავლიდა რუსულს უცხოელ სტუდენტებს, ესპანურს კი ქეთი ხუსკივაძე და ირინა ჭელიძე შეგასწავლიან, რომლებიც თავიანთი საქმის ნამდვილი პროფესიონალები არიან. მეც სიამოვნებით ვისწავლი ფრანგულს ჩვენს კურსებზე, რადგან ვიცი, რომ ნინო გოდარით იწყებს, თანაც „უკანასკნელ ამოსუნთქვაზე“ იქნება პირველი ფილმიო, ამაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს, ასეთი ფილმით რომ ისწავლი ენას! რუსული კი ვიცი, მაგრამ, დამეთანხმებით, რომ „მივდივარ, მივაბიჯებ მოსკოვში“ ყველა დროს სასიამოვნო სანახავია, ნანას პირველ ფილმად ეს ფილმი აქვს. ესპანელები კი გამოუსწორებლად არიან შეყვარებულები ამ ალმოდოვარზე, რომელიც მე კი არ მიყვარს, მაგრამ საქმისთვის ზედგამოჭრილია.

- წარმატებებს გისურვებთ ამ ნოვატორულ საქმიანობაში.

- დიდი მადლობა, გახდით ჩვენი კურსების მსმენელები, ჩვენთან თქვენ დარწმუნდებით, რომ ენების სწავლა შესაძლებელია კომფორტულად, სიამოვნებით, უმტკივნეულოდ.

- ანუ ეს პლასტიკური ოპერაცია კი არაა, გემოვნებისა და ცოდნის ჰორიზონტის გაფართოების ოპერაციაა, არა?

- სწორედ ასეა!

ესაუბრა გიორგი ჟღენტი

**შენ ყველაფერი ხარ, დედამიწაზე პირველი (დღის) ქალი ხარ, ევა ხარ, დედა, საყვარელი, მდედრი, ანგელოზი ხარ, ეშმაკი, მიწა ხარ, სახლი.*

***ფეხებზე მკიდია!*

****ასე სჯობს, სახარება ამბობს: წინანი იქნებიან უკან!*

*****ნახე, როგორ ვქანაობ,/ კუთხეებს მიბჯენილი ფეხებით.*

"დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

2006 წლის 16 მაისიდან 23 მაისამდე ქ. თბილისში, გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:

- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06, 893 65 38 39

გამაჯანსაღებელი ცენტრი ნაუტილუსი

გთავაზობთ:
- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26, 23 56 26
E-mail: info@nautilus.ge, reception@nautilus.ge

ავიაკომპანია "არკია ისრაელის ავიახაზები"

აბრძელებს რეგულარულ რეისს 23 ივნისიდან, ყოველ პარასკევს

თბილისი - თელ-ავივი

თელ-ავივი - თბილისი - IZ 417 04.55-08.40
თბილისი - თელ-ავივი - IZ 418 10.25-12.25
განრიგი ძალაშია 23 ივნისიდან 20 ოქტომბრამდე.
გაფრენისა და მოფრენის დროები ადგილობრივია.

ბილეთის ფასია:
275 აშშ დოლარი (ერთი გზა)
349 აშშ დოლარი (ორი გზა)
თანამედროვე საჰაერო ხომალდი ბოინგ 757-200/300 (191/253 სავარძელი), უმაღლესი კლასის სერვისი, კვების რეჟიმი - მგზავრის სურვილისამებრ.

გადახდა კურსის შესაბამისად ეროვნული ვალუტით. ავიაბილეთის ტარიფი არ შეიცავს აეროპორტის მოსაკრებლებს.
ჩვენთან შეგიძლიათ შეიძინოთ ბილეთები ა/კ "საქართველოს ავიახაზების" თელ-ავივის რეისზე.
აგრეთვე ბილეთები ნებისმიერი მიმართულებით.

ქ. თბილისი. კარგარეთელის ქ. N 7, ტელ: 91-04-99, 91-06-16. ფაქსი: 91-04-99
e-mail: mail@arkia.ge

მეტი კომფორტი, მეტი სისწრაფე, ნაკლები ფასი

საქართველოს სახალხო დამცველი აცხადებს კონკურსს სახალხო დამცველის ლოგოს შესაქმნელად

მითითება ლოგოს შემქმნელთათვის

საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს ტერიტორიაზე ავლენს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტებს და ხელს უწყობს დარღვეული უფლებების აღდგენას. ერთის დარღვეული უფლება ყველას დარღვეული უფლებაა.

სახალხო დამცველის და მისი აპარატის საქმიანობის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციისათვის იხილეთ სახალხო დამცველის და მისი აპარატის ვებ-გვერდი www.ombudsman.ge

დაინტერესებულმა ლოგოს დიზაინერებმა გთხოვთ წარმოადგინოთ:

- საქართველოს სახალხო დამცველის შავთეთრი და ფერადი ლოგო, დაბეჭდილი და ელექტრონული სახით (ვექტორული გრაფიკული ფორმატით)
- ლოგოსთან თანდართული წერილობითი განმარტებები - ლოგოს სიტყვიერი აღწერილობა, მისი სიმბოლოების ახსნა

კონკურსის გამარჯვებული დაჯილდოვდება 750 ლარით

წარმოდგენილი ლოგო (4 ეგზემპლარი ფერადი, 4 ეგზემპლარი შავთეთრი. ელექტრონული ვერსიები კომპაქტ-დისკით) უნდა მოგვაწოდოთ შემდეგ მისამართზე:
ი.მაჩაბლის ქუჩა N 11,
თბილისი, 0105, საქართველო

საკონტაქტო პირები: ეკატერინე მაჭავარიანი, ნინო ერემაშვილი
ტელეფონი: (995 32) 922479; 922470
ელექტრონული ფოსტა: info@ombudsman.ge

ნამუშევრების ჩაბარების ბოლო ვადა 15 ივლისი, 2006.

განცხადება

1. ორგანიზაციას სარეალიზაციოდ გამოაქვს გზების, ბაღების, ქუჩების სანათების მაღალი ხარისხის, 2006 წლის აპრილის თვეში იმპორტირებული სარანსკის (რუსეთის) წარმოების ნათურები:
- ДРЛ 250 ვატი
- ДРЛ 400 ვატი
- ДРЛ 700 ვატი
- ДРЛ 1000 ვატი
- ვარვარა 200X500 ვატი
- ლუმინისცირებული ლე 40-1

2. ორგანიზაცია მიიღებს მონაწილეობას ტენდერში კვოტირების მეთოდით შემდეგი ნაწარმის შესყიდვისათვის:
- ნათურები სხვადასხვა
- ელექტრო და კავშირის სადენები, კაბელები
- ელძრავის დასახვევი ემალსადენი
- სხვადასხვა სანათები

საკონტაქტო ტელ.: 22-15-93
შპს „ნეონი“ ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 74 ა IV სართული



სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:
ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.
გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:
ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78
ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26
ელ. ფოსტა: info@nautilus.ge

(24) საათი B

© გაზეთი 24 საათი

ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:

ინგლისმა Peugeot-ის საწინააღმდეგო კამპანია წამოიწო

მინისტრებს ნავთობის ეშინიათ

მორდაშოვი Arcelor-ს არ დათმობს

ბოლივიამ "გაზპრომს" უხმო

B3

Gaz de france და Suez-ის გაერთიანება წლის ბოლოსთვის დასრულდება

ჰეკინმა Google-ს მოუგო

ჰონკონგში აზიური ავიაგიგანტი შეიქმნა

B4

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

1 ავსტრალიური დოლარი	AUD	1,3284
1 აზერბაიჯანული მანათი	AZN	1,9891
1 არაბული დირხამი	AED	0,4860
1 აშშ დოლარი	USD	1,7850
1000 ბელორუსიული მანათი	BYR	0,8324
1 ბულგალური ლევი	BGL	1,1547
1 დანიური კრონი	DKK	0,3028
1 ეგვიპტური გირვანქა	EGP	0,3102
1 ევრო	EUR	2,2575
100ესტონური კრონი	EEK	1,4432
1000 თურქმენული მანათი	TMM	0,3433
1 თურქული ლირა	TRY	1,1561
10 იაპონური იენი	JPY	0,1566
1 ინგლისური გირვანქა ს	GBP	3,2885
1000 ირანული რიალი	IRR	0,1950
100ისლანდიური კრონი	ISK	0,2418
1 ისრაელის სეკელი	ILS	0,3988
1 კანადური დოლარი	CAD	1,5930
1 ლატვური ლატი	LVL	3,2455
100ლიტვური ლიტი	LTL	6,6040
10 მოლდოვური ლეი	MDL	1,3391
1 ნორვეგიული კრონი	NOK	0,2883
1 პოლონური ზლოტი	PLZ	0,5719
10000 რუმინული ლეი	ROL	0,5997
1 რუსული რუბლი	RUB	0,0661
1 სინგაპურული დოლარი	SGD	1,1214
100 სომხური დრამი	AMD	0,4261
1 ტაჯიკური რუბლი	TJR	0,5519
1000 უზბეკური სუმი	UZS	1,4607
100აქრაინული გრივნა	UAG	3,5674
100 უნგრული ფორინტი	HUF	0,8564
1 ქუვეითური დოლარი	KWD	6,1748
10 ყაზახური ტენგე	KZT	0,1485
100ყირგიზული სომი	KGS	0,4405
1 შვედური კრონი	SEK	0,2445
1 შვეიცარული ფრანკი	CHF	1,4486
1 ჩეხური კრონი	CZK	0,0799
1 ჩინური იუანი	CNY	0,2227
1 ჰონ-კონგური დოლარი	HKD	0,2300



ზესახელმწიფო და ალიანსები

თორნიკე შარაშენიძე
ნატო-ს საინფორმაციო ცენტრის დირექტორი

გაძვირებული საწვავი "ფორდსაც" ღუპავს

გასულ კვირას საკრედიტო უწყებამ "ფიჩ რეიტინგსმა" რეიტინგში კიდევ ერთი საფეხურით ჩამოაქვეითა ამერიკული ავტოგიგანტი "ფორდი." ლეგენდარული კომპანია, უკვე რამდენიმე თვეა, "ჯანქის" (ინგლ. ნაგავი, ხარახურა) მიდამოებში იმყოფება და აქაც სულ უფრო და უფრო ქვემოთ იწევს.
კომპანიისათვის საკრედიტო რეიტინგის დაწევა ნიშნავს, რომ მას (კომპანიას) კრედიტის აღება გაუჭირდება. ანუ, კრედიტს მისცემენ, მაგრამ საკმაოდ დიდია რისკი, რომ ვალი გადაუხდელი დარჩება ან მისი გადახდა დროულად არ მოხდება და, ამიტომ, კრედიტს იგი მძიმე პირობებით მიიღებს.
მხოლოდ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში "ფორდ მოტორსმა" 1,19 მილიარდი დოლარი იზარალა. ამ კატასტროფული მდგომარეობიდან თავის დასაღწევად კომპანიას ხარჯების შემცირების გეგმა აქვს შემუშავებული: 2012 წლისათვის უნდა დაიხუროს 14 ქარხანა და გათავისუფლდეს 30 ათასი თანამშრომელი. ეს მტკივნეული რეფორმები "ფორდის" ხელმძღვანელობაში ახლად დაწინაურებულმა მარკ ფილდსმა უნდა განახორციელოს, რომელმაც აქამდე თავი იმით ისახელა, რომ კრიზისიდან გამოიყვანა და მოგებაზე აამუშავა "ფორდის" კუთვნილი იაპონური ავტომწარმოებელი "მაზდა." აქვე უნდა ითქვას, რომ "მაზდას" გარდა, "ფორდი" ფლობს "იაგუარის," "ასტონ მარტინის," "ვოლვოსა" და "ლენდ როვერის" მარკებსაც, მაგრამ არცთუ ისე ეფექტური მენეჯმენტის გამო, აქედან მხოლოდ "ვოლვო" მუშაობს კარგად.

B4

"ფორდ მოტორსი" მარკ ფილდსის (მარცხნივ) იმედზეა.

ენერგოპრივატიზაცია ახლოვდება

16 ივნისს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ქვეყნის ცხრა ენერგოობიექტზე საპრივატიზაციო განაცხადების მიღება მთავრდება. იმავე დღეს ცხრავე ენერგოობიექტი კონკურსის წესით გაიყიდება.

ჰიდროელექტროსადგურების ქონების პრივატიზებისას უპირატესობა სადისტრიბუციო კომპანიების აქტივების რეალიზაციის თაობაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულს მიენიჭება.

B2

ავტომწარმოებლებს სანკტ-პეტერბურგი იზიდავს

მერაბ ლორთქიფანიძე

ბოლო სამი წელია, არნახული ტემპებით ვითარდება რუსეთის საავტომობილო ბაზარი. იქ უცხოური ავტომობილების გაყიდვები თითქმის ყოველწლიურად ორმაგდება. სწორედ ეს გარემოებაა იმის უპირველესი მიზეზი, რომ უცხოური ავტოკომპანიები ინტენსიურად იწყებენ რუსეთშივე ავტომობილების წარმოებას.
უნდა ითქვას, რომ უცხოური კომპანიების სურვილი, რუსეთში აწარმოონ ავტომობილები, გააძლიერა ჩვენი მეზობლების მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ, რომლის წყალობითაც, ავტომობილების წარმოებისთვის საჭირო მაკომპლექტებელ ნაწილებზე საბაჟო გადასახადი მინიმალურ ზღვარზე ჩამოდის.
რამდენიმე კომპანია (რენო, ფორდი, ბეემვე, ჰამერი) რუსეთში უკვე აწარმოებს ავტომობილებს, რამდენიმე კი ახლა იწყებს იქ თავისი ქარხნების მშენებლობას. ამ რამდენიმეში შედის "ფოლკსვაგენი", "ნისანი" და "ჯენერალ მოტორსი".

- **"ფოლკსვაგენი" კალუგას ირჩევს.**
- **"ნისანი" სანკტ-პეტერბურგში.**
- **"გენერლებსაც" სანკტ-პეტერბურგში უნდათ.**
- **"PSA პეჟო/სიტროენის" რუსული გეგმები.**

B3

"ფოლკსვაგენის" შეფი ბერნდტ პიშეტსრიდერი რუსეთში ქარხნის აშენებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

7 მილიონი დოლარი ფრინველის გრიპის პრევენციისათვის

შაბათს, მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა საქართველოში როი საუტვორთსა და საქართველოს ფინანსთა მინისტრს ალექსი ალექსიშვილს შორის ხელი მოეწერა საფინანსო ხელშეკრულებას "ფრინველის გრიპის კონტროლის, პანდემიისათვის მზადყოფნისა და მასზე რეაგირების შესახებ." ხელშეკრულებით გათვალისწინებული 7 მილიონი აშშ დოლარიდან საქართველო ნახევარს - გრანტის, ხოლო დანარჩენს კრედიტის სახით მიიღებს.

გარდა ამისა, ქვეყნის მიერ ფრინველის გრიპის საშიშროების დასაძლევად მოსამზადებელი ღონისძიებების შემუშავების პროცესში ძირითადი ტექნიკური დახმარების აღმოჩენის მიზნით, იაპონიის მთავრობამ 1.4 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის გრანტი გამოყო. როგორც ფინანსთა სამინისტროში განაცხადეს, შეიქმნება საკომპენსაციო ფონდი, რომლის მეშვეობითაც შინაური ფრინველების განადგურების აუცილებლობის შემთხვევაში მოსახლეობას მიყენებული ზარალი აუნაზღაურდება.

აღნიშნული პროექტი მსოფლიო ბანკის დირექტორთა საბჭომ 2006 წლის 31 მაისს დაამტკიცა. "2006 წლის იანვარში საქართველოს მთავრობამ ფრინველის გრიპის პრობლემაზე სამუშაოდ სპეციალური კომისია ჩამოაყალიბა და "ქვეყნის მზადყოფნის გეგმის" პროექტი შეიმუშავა. ამის შედეგად, თებერვალში ფრინველის გრიპის პირველი შემთხვევები წარმატებით იქნა დაძლეული, - განაცხადა საქართველოში მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა როი საუტვორთმა, - ეს პროექტი შემდგომი მოსამზადებელი სამუშაოებისათვის მყარ საფუძველს შექმნის, რის შედეგადაც დაავადების გამოვლენის, კონტროლის, პროფილაქტიკის, შეჩერებისა და აღმოფხვრის რეკომენდირებული ღონისძიებების ერთიანი და ეფექტური განხორციელებისათვის საჭირო საკანონმდებლო ბაზა ჩამოყალიბდება. ამ მნიშვნელოვან პროექტთან დაკავშირებით იაპონიის მთავრობასთან თანამშრომლობა ჩვენთვის განსაკუთრებით სასიხარულოა."

პროექტი სამი კომპონენტისგან შედგება: ცხოველთა ჯანმრთელობა, ადამიანთა ჯანმრთელობა და საზოგადოების გათვითცნობიერება და ინფორმირება.

კერძოდ, პირველი კომპონენტი: შეფასების მიხედვით, ამ კომპონენტის მთლიანი ღირებულება 5.18 მილიონი აშშ დოლარია. ეს კომპონენტი სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის სამართლებრივ, მარეგულირებელ და ინსტიტუციონალურ საკითხებში ტექნიკური დახმარების აღმოჩენას ითვალისწინებს. გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში განხორციელდება ტექნიკური დახმარება და ტრენინგი სათადარიგო გეგმების შემუშავებაში ხელშეწყობის მიზნით. ამ დროს დეტალურად დამუშავდება ყველა დონის ღონისძიება. შეიქმნება მათ განსახორციელებლად საჭირო ინსტრუქციები და სახელმძღვანელოები, რომლითაც ყველა სათანადო უწყება და სამსახური იხელმძღვანელებს. მუშაობის პროცესში ძირითადი ყურადღება დაავადების აფეთქების შემთხვევისათვის გათვალისწინებული სამოქმედო გეგმის შემუშავებას და რეაგირების ღონისძიებების მენეჯმენტს, მათ შორის, შერჩევის პროგრამების ორგანიზაციას, აფეთქების უბნების იზოლაციას, ვირუსის გავრცელების დასადგენად ჩასატარებელი ტესტირების პროცედურებს დაეთმობა.

სხვადასხვა რაიონებიდან ცხოველთა ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მიღების პროცესის და სათანადო ორგანოებს შორის ინფორმაციის გაცვლის გაუმჯობესების მიზნით გათვალისწინებულია აპარატურის, კომპიუტერული პროგრამების, ტრენინგის და ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა. განსაკუთრებული ყურადღება დაავადების შესახებ ეფექტური საინფორმაციო სისტემის შექმნას დაეთმობა.

მეორე კომპონენტი: შეფასების მიხედვით, ამ კომპონენტის მთლიანი ღირებულება 4.32 მილიონი აშშ დოლარია. ამ კომპონენტის ფარგლებში დაგეგმილია ვირუსის კონტროლის ზოგიერთი ისეთი ელემენტის ამოქმედება, რომლებიც გლობალური სტრატეგიული გეგმის ნაწილადაა მიჩნეული და რეაგირების ღონისძიებების სწრაფ გაფართოებასა და ინტენსიფიკაციას გულისხმობს. განსაკუთრებული ყურადღება შესაძლო პანდემიის უარყოფითი შედეგების შემცირებას დაეთმობა.

მესამე კომპონენტი: შეფასების მიხედვით, ამ კომპონენტის მთლიანი ღირებულება 0.90 მილიონი აშშ დოლარია და მისი მიზანია, ხელი შეუწყოს საზოგადოების ინფორმირებას და გააუმჯობესოს "ფრინველის გრიპის საშიშროებისადმი მზადყოფნის ერთიანი გეგმის", აგრეთვე, სოფლის მეურნეობისა და ჯანდაცვის სამინისტროების სათანადო სათადარიგო გეგმების კოორდინაცია და შესრულება. **24 საათი**

მოსახლეობას წყლის მიწოდების პრობლემა არ შეექმნება

სარწყავი არხების გაწმენდითი სამუშაოების გამო მოსახლეობას წყლის მიწოდების პრობლემა არ შეექმნება. ამის შესახებ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით გუბელაძემ განაცხადა. მისი თქმით, სამუშაოების ჩატარების პარალელურად მოსახლეობას ეტაპობრივად მიეწოდება წყალი და ამ სამუშაოების გამო არ დაზარალდებიან - მოსავლისთვის საჭირო წყალს ისინი მიიღებენ. მისივე თქმით, გაწმენდითი სამუშაოების დროში გაჭიანურება გამოიწვია სამელიორაციო სისტემების გაწმენდით სამუშაოებზე გამოცხადებულმა ტენდერმა. ამ ტენდერის გამო დროში გაიწელა ფირმის გამოვლენა, რომელიც ჩაატარებდა ამ გაწმენდით სამუშაოებს. დღეისთვის ორი ფირმაა გამოვლენილი, ერთია - შპს "მშენებელი-80", მეორე - შპს "ნოდო", რომლებიც უკვე მომავალი კვირიდან არხების გაწმენდის პროცესში ჩაერთვებიან. დავით გუბელაძის განცხადებით, მოსახლეობისთვის წყლის შეუფერხებლად მიწოდების პარალელურად, დადგება საკითხი მოსახლეობის მხრიდან გადასახადის გადახდის შესახებ. დღეისთვის 1000 კუბ.მ-ზე გადასახადი შეადგენს 6 ლარს. გუბელაძის განცხადებით, ეს არის ერთჯერადი სეზონური გადასახადი, რაც მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომია. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და "ნაციონალურმა მოძრაობამ" დღეს დუშეთის რაიონში ბულაჩაურის სარწყავი სისტემის მეორადი არხის გაწმენდა დაიწყეს. მეორადი არხის სიგრძე 11 კილომეტრია და ის წყლით ამარაგებს დაახლოებით სამას ჰექტარ ტერიტორიას. **ინტერპრესნიუსი**

თბილისში რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატა ფუძნდება

რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატის დამფუძნებელი კრება გუშინ გაიმართა. როგორც სავაჭრო პალატის ხელმძღვანელი ავთანდილ გორგაჯანიძე აცხადებს, მას პალატის დაფუძნება ჯერ კიდევ აპრილში ჰქონდა გადაწყვეტილი, თუმცა, მაშინ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ ამის საშუალება არ მისცა. როგორც თბილისის რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატის ხელმძღვანელობა აცხადებს, ახალდაფუძნებული პალატის მიზანია თბილისის ტერიტორიაზე მოქმედი მეწარმე სუბიექტების საქმიანობისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, თბილისში მდებარე და უცხოეთის ქვეყნებში არსებულ საწარმოებს შორის სავაჭრო, სამრეწველო და სამეცნიერო-ტექნიკური კავშირების გამყარება-განვითარება. **ინტერპრესნიუსი**

ენერგოპრივატიზაცია ახლოვდება

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

პირველი მათგანი - სააქციო საზოგადოება "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩა N16 ა-ში მდებარეობს და 30 მილიონ დოლარად არის შეფასებული. ეს არის საქართველოს რეგიონების მთავარი ელექტრომომარაგებელი, რომლის საწესდებო კაპიტალი 59 მილიონ 032 782 ლარს შეადგენს. სახელმწიფო კომპანიის 100-პროცენტიანი მეწილეა. ამასთან, კომპანიას დღეს 600 მილიონ ლარამდე დავალიანება აქვს და გაკოტრების რეჟიმში იმყოფება. იყიდება სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ბალანსზე რიცხული ქონება. კონკურსზე განაცხადის წარდგენამდე გადახდილი უნდა იყოს "ბე" - 3 მილიონი აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში. საკონკურსო პირობები: სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" სამოქმედო ტერიტორიაზე არ უნდა მოხდეს მომსახურების არეალის შემცირება; მომსახურების არეალში აბონენტთა შუფერხებელი მომსახურება; ასევე ქონების შესაძენი თანხის 50 პროცენტის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან 1 თვის ვადაში, ხოლო დანარჩენი თანხის 2006 წლის 1 დეკემბრამდე გადახდა. კონკურსში საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმი მაქსიმალური გასაყიდი ფასის დასახელებაა.

ცნობისათვის, "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" 2002 წელს რეგიონული ელექტრომომარაგებელი კომპანიების შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა. კომპანიას დაახლოებით 650 000 მომხმარებელი ჰყავს. მისი მომსახურების არეალი საქართველოს ტერიტორიის 70 პროცენტს ფარავს. 2003 წლის გაზაფხულიდან "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" USAID-ის დაფინანსებით ამერიკული "PA consulting"-ი მართავს, რომელსაც სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულება 2006 წლის ნოემბერში ეწურება.

მეორე ობიექტი - შპს "აჭარის ენერგოკომპანია" ბათუმში, ბაგრატიონის ქუჩა N103-ში მდებარეობს. მისი საწყისი გასაყიდი ფასი 5 მილიონი დოლარია, საწესდებო კაპიტალი - 27 809 464 ლარი. სახელმწიფო დღემდე ამ კომპანიის 100-პროცენტიან აქციათა პაკეტს ფლობს. იყიდება შპს "აჭარის ენერგოკომპანიის" ბალანსზე რიცხული ქონება. კონკურსზე განაცხადის წარდგენამდე გადახდილი უნდა იყოს "ბე" - 500 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში. საკონკურსო პირობები: შპს "აჭარის ენერგოკომპანიის" სამოქმედო ტერიტორიაზე არ უნდა მოხდეს მომსახურების არეალის შემცირება; მომსახურების არეალში აბონენტთა შეუფერხებელი მომსახურება და ქონების შესაძენი თანხის ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 თვის ვადაში გადახდა. კონკურსში საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმი მაქსიმალური გასაყიდი ფასის დასახელებაა.

აჭარის ენერგოკომპანია თავის დროზე აბაშიძის გავლენის ქვეშ ფუნქციონირებდა და ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ იგი "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია"-ში ვერ გაერთიანდა. აჭარაში ყოველთვის დეკლარირებული იყო, რომ ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებელი 90-მდე პროცენტს შეადგენდა. თუმცა, ექსპერტების შეფასებით, პოსტაბაშიძისეულმა პერიოდმა აჩვენა, რომ დეკლარირებული მონაცემები ერთგვარად "გადაჭარბებული" იყო.

საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაშია სააქციო საზოგადოება "კახეთის ენერგოდისტრიბუციაც", რომელიც თელავში მდებარეობს. მისი საწყისი გასაყიდი ფასი 2 მილიონ დოლარს შეადგენს. იყიდება სს "კახეთის ენერგოდისტრიბუციის" საწესდებო კაპიტალიდან ამოღებული, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება. კონკურსზე განაცხადის წარდგენამდე გადახდილი უნდა იყოს "ბე" - 200 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში. საკონკურსო პირობები: სს "კახეთის ენერგოდისტრიბუციის" სამოქმედო ტერიტორიაზე არ მოხდეს მომსახურების არეალის შემცირება; მომსახურების არეალში აბონენტთა შუფერხებელი მომსახურების და ქონების შესაძენი თანხის ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 თვის ვადაში. კონკურსში საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმი მაქსიმალური გასაყიდი ფასის დასახელებაა, რომელიც გამოცხადებულ საწყის ფასს უნდა აღემატებოდეს.

"კახეთის ენერგოდისტრიბუციას" ამ დროისთვის 20 მილიონი ლარის ვალდებულება გააჩნია და მას გაკოტრების მმართველი ყიდის. კერძოდ, "კახეთის ენერგოდისტრიბუციას" 5 858 800 ლარის საგადასახადო დავალიანება გააჩნია, 15 მილიონი ლარი კი ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მიმართ მართებს.

სხვათა შორის, "კახეთის ენერგოდისტრიბუცია" ერთადერთი სამხარეო ენერგოკომპანია იყო, რომელიც რამდენიმე წლის წინ გამოცხადებული საყოველთაო პრივატიზაციის დროს გაიყიდა. მაშინდელმა მეპატრონეებმა კომპანიის შესაძენად საჭირო თანხები "საქართველოს საფოსტო ბანკიდან" ისესხეს. სესხის დაფარვა ვერ მოხერხდა, ამიტომ კომპანია ბანკის დებიტორი გახდა. "საფოსტო ბანკის" ლიკვიდაციის პერიოდში ბანკის ერთერთმა დამფუძნებელმა, უკრაინაში მოღვაწე ქართველმა ბიზნესმენმა ტარიელ ვასაძემ გადაწყვიტა, ბანკის დებიტორი კომპანია საკუთრებაში დაეტოვებინა. "კახეთის ენერგოდისტრიბუციის" გაკოტრების პროცესი 2005 წლის 22 აგვისტოს დაიწყო. ამის საფუძველი თელავის საგადასახადო ინსპექციის მიერ რაიონულ სასამართლოში ენერგოკომპანიის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი გახდა.

ამავე საპრივატიზაციო სიაშია ქედის რაიონის სოფელ მახუნცეთში არსებული ჰიდროელექტროსადგური "აწჰესი". იგი 4 მილიონ დოლარად არის შეფასებული. პრივატიზაცია შეეხება თერჯოლის რაიონის სოფელ ძევრში მდებარე ჰიდროელექტროსადგურ "ძევრულჰესს". მისი საწყისი გასაყიდი ფასია 14 მილიონი დოლარი. ასევე გაიყიდება ტყიბულში მდებარე ჰიდროელექტროსადგური "შაორჰესი". მისი საწყისი გასაყიდი ფასია 12 მილიონი დოლარი. საპრივატიზაციო ნუსხაში მოხვდა ჰიდროელექტროსადგური "გუმათჰესების კასკადი". იგი ქუთაისში, გუმათის მარცხენა დასახლებაში მდებარეობს და 12 მილიონ დოლარად არის შეფასებული. იყიდება ცაგერის რაიონის სოფელ ალპანაში მდებარე ჰიდროელექტროსადგური "ლაჯანურჰესიც". მისი საწყისი გასაყიდი ფასი 26 მილიონი დოლარი. საპრივატიზაციოდ არის გამოტანილი ასევე ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირის N5-ში მდებარე ჰიდროელექტროსადგური "რიონჰესი". მისი საწყისი გასაყიდი ფასია 14 მილიონი დოლარი.

ყველა საპრივატიზაციო ჰესის საკონკურსო პირობები ასე გამოიყურება: 1) მუშა სიმძლავრის შენარჩუნება, დადგმული სიმძლავრის არანაკლებ 85 პროცენტისა, თუ ეს ენერგეტიკული ბალანსითაა გათვალისწინებული, რომელსაც საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო ადგენს. 2) საპრივატიზაციო ქონების საბოლოო შესასყიდი თანხის 50 პროცენტის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო დანარჩენი თანხის - 2006 წლის პირველ დეკემბრამდე გადახდა. საყურადღებო შენიშვნა: სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის" მიერ აქტივების რეალიზაციაზე გამოცხადებული კონკურსის წარუმატებლად ჩატარების შემთხვევაში ეკონომიკური განვითარების სამინისტრო უფლებას იტოვებს, წინამდებარე ბრძანებით გამოცემული კონკურსი გააუქმოს. თუმცა ერთი პირობით: კონკურსში მონაწილეებს, დამატებითი ვალდებულებების გარეშე, "ბე"-ს სახით შემოტანილი თანხა უკან დაუბრუნდებათ. და კიდევ ერთი: ჰიდროელექტროსადგურების ქონების პრივატიზებისას უპირატესობა სადისტრიბუციო კომპანიების აქტივების რეალიზაციის თაობაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულს მიენიჭება. **24 საათი**

სიღარიბის ოფიციალური დონე 2004-2006 წლებში

სტატისტიკის დეპარტამენტმა მსოფლიო ბანკის ექსპერტების დახმარებით, არსებული კანონმდებლობის ფარგლებში, 2004-2005 წლების და 2006 წლის I კვარტლისათვის სიღარიბის მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდოლოგია გადასინჯა და დახვეწა. დეპარტამენტის განცხადებით, აღმოჩენილი სერიოზული უზუსტობების გათვალისწინებით საქართველოში სიღარიბის ოფიციალური დონის შესახებ განსხვავებული სურათი მიიღეს.

ოფიციალური საარსებო მინიმუმის გაანგარიშებისას სტატისტიკის დეპარტამენტი შრომისუნარიანი მამაკაცის მინიმალური სასურსათო კალათის შემადგენლობით ხელმძღვანელობს, რომელსაც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ადგენს. 2003 წლის 8 მაისის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N 111/ნ ბრძანებით დადგინდა "მინიმალური სასურსათო კალათის რეკომენდებული შემადგენლობა შრომისუნარიანი მამაკაცისათვის". სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ კი, 2004 წლის საარსებო მინიმუმის კვლავ ძველი, 10 წლის წინანდელი სასურსათო კალათის მიხედვით გაანგარიშდა. აღნიშნული უზუსტობის გამოსწორების მიზნით, სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ გადაანგარიშდა 2004 წლის სიღარიბის დონე, ხოლო 2005 წლის და 2006 წლის I კვარტლის შესაბამისი მაჩვენებლები გაანგარიშებული იქნა სიღარიბის განახლებული ზღვრის (ანუ საარსებო მინიმუმის) მიმართ.

ამასთან, მსოფლიო ბანკის აქტიური მეთოდოლოგიური მხარდაჭერითა და რეკომენდაციებით სტატისტიკის დეპარტამენტი 2007 წლის 1 იანვრიდან სიღარიბის მაჩვენებლების გაანგარიშების თანამედროვე მეთოდოლოგიაზე გადასვლას გეგმავს, რომელიც საქართველოში ამჟამად მოქმედი მეთოდოლოგიისაგან პრინციპულად განსხვავდება. ახალი მეთოდოლოგიით სიღარიბის გაანგარიშების პროცესი საერთოდ არ იქნება დამოკიდებული საარსებო მინიმუმის განსაზღვრისათვის საჭირო სასურსათო კალათის შემადგენლობის ნორმებსა და ნორმატივებზე.

სტატისტიკის დეპარტამენტის განცხადებით, ისეთ სერიოზულ სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელთა გადაანგარიშება, როგორიც მინიმალური სასურსათო კალათა, სიღარიბის ზღვარი და სხვა მსგავსი პარამეტრებია, სოციალური პოლიტიკის გამტარებელი უწყებებისა და ამ სფეროში მომუშავე სხვა სპეციალისტებისათვის ძალზედ უარყოფითი მომენტია. მიუხედავად ამისა, მათივე განცხადებით, დეპარტამენტის უშუალო მოვალეობას წარმოადგენს, რომ მსგავსი უზუსტობების შესახებ ინფორმაციის მომხმარებლები დროულად ჩააყენოს საქმის კურსში.

ცენტრალურ მაგისტრალებზე გარევაჭრობის ფარდულების მოწესრიგება დაიწყო

თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა, ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად, გუშინ ცენტრალურ მაგისტრალებზე გარევაჭრობის ფარდულების მოწესრიგება დაიწყო. ყველა იმ გარევაჭრობის ფარდულის დემონტაჟი განხორციელდება, რომლიც სტანდარტს არ შეესაბამება და მოსაწესრიგებელი იქნება. **ინტერპრესნიუსი**

გურიაში გზების მასშტაბური მშენებლობის მეორე ეტაპი დაიწყო

როგორც გურიის სამხარეო ადმინისტრაციაში განაცხადეს, გზების მშენებლობის მეორე ეტაპი ერთდროულად ოზურგეთი-ურეკისა და საჯავახო-ჩოხატაურის მიმართულებით პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს. სამუშაოებს მსოფლიო ბანკი აფინანსებს და მისი ღირებულება 9 მილიონი ლარია.

"გურიაში გზების ასეთი მასშტაბური მშენებლობა არასდროს დაწყებულა და, აქედან გამომდინარე, დღევანდელი დღე ისტორიულია. ერთ წელიწადში, ერთხელ და სამუდამოდ, გურიაში გზების პრობლემა წარსულს ჩაბარდება," - განაცხადა გურიაში პრეზიდენტის რწმუნებულმა ალეკო ცინცაძემ.

ურეკი-ოზურგეთისა და საჯავახო-ჩოხატაურის გზების საერთო სიგრძე 50 კილომეტრს აღემატება. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული ფირმა "შემატომი" ახორციელებს, რომლის ხელმძღვანელთა განცხადებით, ამ გზებზე ასფალტის დაგების მეორე ეტაპი წელს დასრულდება.

ალეკო ცინცაძის განცხადებით, ამჟამად მიმდინარეობს ტენდერი ჩოხატაური-ოზურგეთის საავტომობილო გზის მოასფალტებაზე, ხოლო ოზურგეთი-ქობულეთის მიმართულებით გზის დაგება მიმდინარე წელს დაიწყება. **ინტერპრესნიუსი**

"ლუკოილი" როტერდამში ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის შესყიდვას გეგმავს

ნავთობკომპანია "ლუკოილი" ჰოლანდიის ქალაქ როტერდამში მდებარე ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის შესყიდვას გეგმავს. ქარხანა კუვეიტს ეკუთვნის და მას ყოველდღიურად 80 ათასი ბარელის გადამუშავება შეუძლია კუვეიტის სახელმწიფო კომპანია KPI-მ აღნიშნული ქარხნის გაყიდვასთან დაკავშირებით 15 წინადადება მიიღო, როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო კომპანიებისაგან. გამარჯვებულის გამოვლენას 6-9 თვე დასჭირდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

მსოფლიო ენერგეტიკაში ჩადებული ინვესტიციები 17 მილიარდ დოლარს მიაღწევს

მსოფლიო ენერგეტიკაში ინვესტირებული თანხების რაოდენობა 2030 წლისთვის 17 მილიარდ დოლარს მიაღწევს. ეს განცხადება საფრანგეთის ფინანსთა მინისტრმა ტერი ბრეტონმა დიდი რვიანის ქვეყნების ფინანსთა მინისტრების შეხვედრის შემდეგ გააკეთა. საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ინვესტიციები ენერგორესურსების მწარმოებელი ქვეყნების მხრიდან უნდა განხორციელდეს. მინისტრის თქმით, ნავთობის მოპოვების სფეროში ჩადებულ ინვესტიციათა მოცულობა ამ დროითვის 6 მილიარდ დოლარს მიაღწევს. **ჯი-ეიჩ-ენი**

აშშ-ს სურს, რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში იხილოს

აშშ-ს ფინანსთა მინისტრის, ჯონ სტოუს პროგნოზით, რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება ივლისში დაგეგმილ დიდი რვიანის სამიტამდე განხორციელდება. "გვსურს, რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში ვიხილოთ. ვფიქრობ, ამ რეალობას ვუახლოვდებით და ერთ თვეში, დიდი რვიანის ლიდერების შეხვედრამდე, რუსეთს ამ ორგანიზაციაში ვიხილავთ," - განაცხადა სტოუმ. მისი თქმით, აღნიშნული თემა დღეს რუსეთის ფინანსთა მინისტრთან ალექსეი კუდრინთან ერთად განიხილა. **ჯი-ეიჩ-ენი**

ძვირფასი ლითონები საბრძნობლად გაიაფდა

გასული კვირის განმავლობაში დაფიქსირებული, ძვირფასი ლითონების გაიაფების ტენდენცია პარასკევსაც გაგრძელდა, როცა ნიუ იორკის სასაქონლო ბირჟაზე ძვირფასი ლითონების ფიუჩერსებზე კვლავ ფასების კლება დაფიქსირდა. კერძოდ, 1 უნცია ოქრო 3 პროცენტით, 613,8 დოლარამდე გაიაფდა, რაც უკანასკნელი რვა კვირის მინიმალური მაჩვენებელია. 1 უნცია ვერცხლის ფასმა კი 7 პროცენტით, 11,075 დოლარამდე მოიკლო, რაც ბოლო ათნახევარი კვირის განმავლობაში დაფიქსირებული მინიმალური ღირებულებაა.

ძვირფასი ლითონების ეგზომ მნიშვნელოვანი გაიაფება ნავთობის ფასების კლებამ და ფედერალური სარეზერვო ფონდის მიერ ძირითადი საპროცენტო განაკვეთის მოსალოდნელი გაზრდის წინ უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში დოლარის კურსის გამყარებამ განაპირობა.

მინისტრებს ნავთობის ეშინიათ

“დიდი რვიანის” მონაწილე ქვეყნების ფინანსთა მინისტრები აღნიშნავენ, რომ ნავთობის მაღალი ფასები მსოფლიო ეკონომიკას ადრინდელზე დიდ ზიანს მიაყენებს. ენერგეტიკული უსაფრთხოების პრობლემებს მაღალი რანგის, პრაქტიკულად, ყველა შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. მოცემულ მომენტში, ამსტერდამის ბუნებრივი აირის 23-ე საერთაშორისო კონფერენციაზე არაერთხელ გაჟღერდა წინადადებები ენერგომატარებლების გაიაფებასთან დაკავშირებით.

ენერგეტიკული უსაფრთხოების პრობლემებს განიხილავენ მინისტრები პეტერბურგში შაბათს დაგეგმილ შეხვედრაზეც. გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, იაპონიის, გერმანიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და რუსეთის ფინანსთა მინისტრები ხელს მოაწერენ განცხადებას, რომელიც მსოფლიო ეკონომიკის გაზრდას უკავშირდება.

ცნობილია, რომ განცხადების წინასწარ ვარიანტში მინისტრები ნავთობის იმპორტიორებსა და ექსპორტიორებს, ინვესტიციების მოზიდვისა და ბაზრის გამჭვირვალობის თვალსაზრისით, ბევრად უფრო ხელსაყრელი პირობების შექმნისკენ მოუწოდებენ.

ამასთან ერთად, მინისტრები საერთაშორისო ენერგეტიკულ სააგენტოს განვითარებად ქვეყნებში ენერგეტიკული პოლიტიკური პრობლემების მოგვარების თხოვნით მიმართავენ. ისინი მსოფლიო ბანკისგან მომხმარებელი და მიმწოდებელი ქვეყნებისთვის ენერგეტიკული პოლიტიკის ახალი პრინციპების შემუშავებასაც მოითხოვენ.

კომპანია Chevron-ის წარმომადგენელი დევიდ ორეილი მიიჩნევს, რომ უახლოესი 20 წლის მანძილზე, მოსახლეობის რაოდენობა დედამიწაზე 1,4 მილიარდით გაიზრდება, რის ფონზეც მათი ენერგორესურსებით მომარაგების საკითხზე ზრუნვაც ახლავე უნდა დადგეს დღის წესრიგში. აღნიშნული საკითხის გადასაჭრელად კი ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების ჩადება ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. მისი ვარაუდით, აღნიშნული საინვესტიციო თანხა 17 ტრილიონ დოლარს შეადგენს.

“იმისათვის, რომ ინვესტორებისთვის მიმზიდველი გარემო შეექმნათ, საჭიროა ბაზრის გახსნილობა, გამჭვირვალობა, დეტალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მოთხოვნაზე, სწორი პოლიტიკა და, რაც ყველაზე მთავარია, მომწოდებელი და მომხმარებელი ქვეყნების ინტეგრაცია. გამჭვირვალობა, პირველ რიგში, გლობალურ საინვესტიციო კლიმატს განსაზღვრავს, თუკი ჩვენთვის მთავარი პრიორიტეტი ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხია,” - აცხადებს ამერიკული Chevron-ის ხელმძღვანელი დევიდ ორეილი.

“დიდი რვიანის” ფინანსთა მინისტრების შეშფოთებას ენერგომატარებლებზე ფასების უპრეცედენტო მატება იწვევს. მათი თქმით, ენერგეტიკული უსაფრთხოების პროგრამის მთავარი საქმიანობა აღნიშნული ფასების დაწევასა და დარეგულირებაში მდგომარეობს.

უნდა აღინიშნოს, რომ “დიდი რვიანის” შეხვედრების გახსნას ნიუ-იორკი დამაკმაყოფილებლად შეხვდა. 9 ივნისს ნავთობის ფასი ბოლო სამი კვირის განმავლობაში მინიმალურ მაჩვენებლამდე დაეშვა. მიუხედავად ამისა, მსხვილ ბიზნესმენებსა და ფინანსთა მინისტრებს ჯერ კიდევ არ ჯერათ, რომ ნავთობის გაიაფება დიდი ხნით შენარჩუნდება.

უცხოელ ავტომწარმოებლებს სანკტ-პეტერბურგი იზიდავს

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

“ფოლკსვაგენი” კალუგას ირჩევს

მათგან პირველს თავისი ქარხნისთვის ადგილი კალუგის ოლქში აქვს შერჩეული, დანარჩენმა ორმა კი არჩევანი სანკტ პეტერბურგზე შეაჩერა.

ევროპის უდიდესი ავტომწარმოებელი (ფოლკსვაგენი) უკვე დიდი ხანია, ფიქრობს რუსეთში წარმოების გაშლაზე, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება ცოტა ხნის წინ მიიღო. ადრე ვოლფსბურგელებს ქარხნისთვის მოსკოვის გარეუბანი სტუპინო ჰქონდათ შერჩეული, მაგრამ საბოლოდ ქალაქი კალუგა ამჯობინეს.

უნდა ითქვას, რომ “ფოლკსვაგენს” გადაწყვეტილების მიღება კიდევ ერთი ფაქტის გამო დაუგვიანდა. კერძოდ, მისი ხელმძღვანელობა დაძაბულ მოლაპარაკებას აწარმოებდა გერმანიის საავტომობილო პროფკავშირებთან, რომელიც კონცერნისგან ქარხნების გერმანიაში შენარჩუნებას მოითხოვს. ამ მოლაპარაკებათა კონსენსუსით დასრულების შემდეგ კი ვოლფსბურგელებმა რუსული გეგმისთვისაც მოიცალეს.

“ფოლკსვაგენის” რუსული ქარხნის მშენებლობა აგვისტოში დაიწყება, მერმის კი ის “შკოდა ოქტავიას” გამოშვებით დაიწყებს მუშაობას. წინასწარი მონაცემებით, თავიდან ეს ქარხანა წლიურად მხოლოდ 20 ათას ავტომობილს გამოუშვებს. პარალელურად, გაგრძელდება შესადუღებელი და სამღებრო საამქროების მშენებლობა და აღჭურვა. 2009 წელს ქარხნის სიმძლავრე 115 ათას ავტომობილს მიაღწევს. ქარხანაში სულ 3500 ადამიანი დასაქმდება და იქ, “ოქტავიას” გარდა, ასევე გამოუშვებენ “ფოლკსვაგენის” მოდელებს - “პოლოს”, “პასატს” და, ალბათ, უგზოობის “ტუარეგსაც”.

ჯერჯერობით უცნობია, დამზადდება თუ არა ამავე ქარხანაში ვოლფსბურგელთა ბესტსელერი “გოლფი” და მისი სედანისძარიანი ვარიანტი “ჯეტა”. სამაგიეროდ, უკვე თითქმის გადაწყვეტილია, რომ კალუგაში მდებარე ქარხანა სპეციალურად რუსეთის ბაზრისთვის შექმნილი ახალი მოდელის წარმოებას აითვისებს. ეს მოდელი კომპაქტური “პოლოს” პლატფორმაზე, სედანის ძარით დამზადდება და მისი ფასი არ ასცდება 10 ათას ევროს.

ქარხნის მშენებლობის პირველი ეტაპის საინვესტიციო პაკეტი 270 ათას ევროს შეადგენს. მეორე ეტაპზე “ფოლკსვაგენი” სატვიფრი წარმოების დაწყებას გეგმავს. ამ საქმისთვის გათვალისწინებულია 100 მილიონი ევროს ინვესტირება.

კალუგის ქარხანა ძრავებს, გადაცემათა კოლოფებს და ტრანსმისიას მიიღებს გერმანული ქარხნებიდან. თუმცა, მომავალში მაკომპლექტებელი ნაწილების მთლიანად რუსეთის ტერიტორიაზე წარმოებაც არაა გამორიცხული.

“ნისანი” სანკტ-პეტერბურგში

იაპონურმა კომპანიამ თავისი ქარხნის სანკტ-პეტერბურგში აშენება ამჯობინა. “ნისანს” ამ საქმისთვის 200 მილიონი დოლარი აქვს გამოყოფილი. მისი რუსული ქარხანა კი, “ფოლკსვაგენის” ქარხნის მსგავსად, 2009 წელს ამოქმედდება.

პირველ ეტაპზე, საწარმოს წლიური სიმძლავრე მხოლოდ 50 ათასი ავტომობილი იქნება. რუსული ქარხანა თავიდან ორი მოდელის გამოშვებას დაიწყებს, თუმცა მომავალში, შეიძლება, მოდელების რიცხვი გაიზარდოს კიდეც. “ნისანი” ჯერჯერობით არ აკონკრეტებს, თუ რომელ მოდელებს გამოუშვებს რუსულ ქარხანაში. თუმცა, კომპანიის რუსულ ბაზარზე მოღვაწეობის სტატისტიკის მიხედვით, ვარაუდის გაკეთება რთული არ უნდა იყოს - “ნისანის” მოდელებიდან რუსეთში ყველაზე კარგად იყიდება მოდელები “პრიმერა” და “ალმერა”, ასევე უგზოობის “X-ტრეილი”.

კომპანიის წარმომადგენელთა განცხადებით, “ნისანის” ხელმძღვანელობა ამჟამად მოლაპარაკებას აწარმოებს რუსეთის ეკონომიკის განვითარების სამინისტროსთან. იაპონელები თავიანთ ქარხანას “საწარმოო ამწყობის” სტატუსს ანიჭებენ და იმედოვნებენ, რომ რუსეთის მთავრობასთან მოლაპარაკებისას, ეს გარემოება გადამწყვეტ როლს ითამაშებს. რუსული მხარის ვარაუდით, “ნისანთან” ხელშეკრულება ივნისში გაფორმდება.

ცნობისათვის, შარშან “ნისანმა” რუსეთში 46485 ავტომობილი გაყიდა.

“გენერლებსაც” სანკტ-პეტერბურგში უნდათ

“ნისანის” მსგავსად, “ჯენერალ მოტორსმაც” თავისი ქარხნის ასაშენებლად სანკტ-პეტერბურგი შეარჩია. კომპანიამ ადგილობრივ და რუსეთის მთავრობასთან უკვე დაასრულა მოლაპარაკების პირველი ეტაპი, რომლის შედეგადაც გარკვეულ შეღავათებზე გარანტიები მიიღო.

“გენერლებმა” შარშანდელი ფინანსური წელი არნახულად დიდი ზარალით (10.6 მილიარდი დოლარი) დაასრულეს. ამასთან, შარშანვე შეწყვიტეს თანამშრომლობა რუს ავტომწარმოებელ “ავტოვაზთან”, თუმცა ამის მიუხედავად, რუსეთში ავტომობილების წარმოებისგან თავის შეკავება მაინც არ ისურვეს.

ამას კი ბევრი მიზეზი აქვს. ამ მიზეზთაგან ერთ-ერთი ისაა, რომ რუსეთის ავტობაზარი დიდი ტემპებით ვითარდება და უკვე დადგა დრო, როცა იქ ავტომობილების წარმოებას აზრი აქვს. მეორეც, ევროპაში გამოიკვეთა ახალი ტენდენცია - თავიანთი პროდუქციის ღირებულების შესამცირებლად, ავტომწარმოებლებს წარმოება დასავლეთ ევროპიდან აღმოსავლეთისკენ გადააქვთ, სადაც მუშა ხელი გაცილებით იაფია.

“გენერლებმა” უკვე ჩამოაყალიბეს თავიანთი რუსული დივიზიონი სახელწოდებით “ჯენერალ მოტორს ავტო”, რომელიც კონცერნის რუსეთის ბაზარზე მოღვაწეობაზე იქნება პასუხისმგებელი. ამერიკულ ავტოგიგანტსა და სანკტ-პეტერბურგის მთავრობას შორის კი გაფორმდა კონტრაქტი, რომლის მიხედვით, “გენერლები” ქალაქის გარეუბან შუშარში 94 ჰექტარ ტერიტორიაზე ააშენებენ საავტომობილო ქარხანას, რომელიც 115 მილიონი დოლარი დაჯდება.

ქარხნის მშენებლობის დაწყების თარიღად 13 ივნისი დაითქვა. კონტრაქტიგე ითვალისწინებს, რომ ქარხანა საპროექტო სიმძლავრეზე სამ წელიწადში გავა. საპროექტო სიმძლავრე კი პირველ ეტაპზე წლიურად 25 ათასი ავტომობილია. რაც შეეხება შეღავათებს, “ჯენერალ მოტორს ავტოს” მიენიჭა ქალაქის სტრატეგიული ინვესტორის სტატუსი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქარხანა არ დაიბეგრება ქონების გადასახადით, მისთვის მოგების გადასახადი კი 20-დან 4 პროცენტამდე შემცირდება!

სხვათა შორის, შუშარის შორიახლოს უკვე აშენებს საავტომობილო ქარხანას “ჯენერალ მოტორსის” უმთავრესი კონკურენტი “ტოიოტა”. გარდა ამისა, საქარხნო ადგილი უკვე შერჩეული აქვს “დაიმლერკრაისლერსაც”.

“PSA პეჟო/სიტროენის” რუსული გეგმები

რუსეთში წარმოების დაწყების სურვილი ახლახან გამოთქვა ფრანგულმა საავტომობილო გიგანტმა “PSA პეჟო/სიტროენმაც”, რომლის დელეგაცია უკვე აწარმოებს მოლაპარაკებას რუსეთის ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან.

ამ ეტაპზე PSA განიხილავს ორ ვარიანტს. ერთის მიხედვით, რუსეთში ნულიდან აშენდება სრულიად ახალი ქარხანა. მეორე კი გულისხმობს იქ უკვე არსებული, განვითარებული ინფრასტრუქტურის მქონე საწარმოს გამოყენებას. წარმოების დაწყების საწყის ეტაპზე, PSA-ს რუსული ქარხნის საწარმოო სიმძლავრე წლიურად 50 000 ავტომობილი იქნება.

ქარხანა თავიდანვე კონცერნის ორივე მარკის მოდელებს გამოუშვებს. სავარაუდოდ, “სიტროენის” მოდელებიდან მთავარი პროდუქტი გახდება “სიტროენ C4”. ფრანგების არჩევანი გასაკვირი არაა, რადგან “სიტროენის” სამოდელო გამიდან, ეს მოდელი რუსეთის ბაზარზე ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს. კერძოდ, შარშან “სიტროენის” მიერ რუსეთში რეალიზებული ავტომობილების (6.9 ათასი) დაახლოებით 44 პროცენტი სწორედ C4-ზე მოდის. რუსეთში მოდელ C4-ის საბაზო მოდიფიკაციის ღირებულება 16,9 ათასი დოლარია. ადგილობრივ ქარხანაში წარმოების გაშლა კი ამ ფასს დაახლოებით 10-15 პროცენტით შეამცირებს.

რაც შეეხება “პეჟოს” მოდელებს, ისინი რუსეთში მზარდი პოპულარობით სარგებლობს. PSA რუსეთში არჩევანს, ალბათ, გ და ჟ კლასის ავტომობილების წარმოებაზე შეაჩერებს. როგორც ჩანს, ეს იქნება ორი პოპულარული მოდელი - შესაბამისად, “პეჟო 307” და “პეჟო 206” ან უახლესი “პეჟო 207”.

P.S. და ბოლოს, იმ მიზეზის შესახებ, რომლის გამოც მსოფლიოს წამყვანი ავტომწარმოებლები რუსეთში წარმოების დაწყებას ეშურებიან: მიმდინარე წლის პირველ ოთხ თვეში რუსეთში უცხოეთიდან უკვე 250 100 მსუბუქი ავტომობილია შეტანილი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ავტომობილების იმპორტი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 21.82 პროცენტით გაიზარდა. სულ კი რუსეთში უკვე შეტანილი ავტომობილების საერთო ღირებულებამ 2.936 მილიარდი დოლარი შეადგინა.

გასულ კვირაში აშშ-ს ბირჟაზე მნიშვნელოვანი კლება დაფიქსირდა







პარასკევის ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე მთელი კვირის განმავლობაში დაფიქსირებული ძირითად ინდექსთა კლების ტენდენცია გაგრძელდა. ინვესტორთა განწყობაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა ძირითადი განაკვეთის გაზრდის მოსალოდნელმა საფრთხემ და ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირებამ.

საბოლოოდ, Dow Jones Index 0,43 პროცენტით, 10.891,92 პუნქტამდე შემცირდა. 0,48 პროცენტით შემცირებულმა Nasdaq Index-მა 2.135,06 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,45 პროცენტით, 1.252,3 პუნქტამდე მოიკლო.

აღსანიშნავია, რომ სულ, გასული კვირის განმავლობაში Dow Jones Index 3,2 პროცენტით, Nasdaq Index 3,8 პროცენტით, S&P 500 Index კი 2,8 პროცენტით შემცირდა.

ნავთობის ფასმა მოიმატა

გასულ კვირაში დაფიქსირებული, ნავთობის გაიაფების ტენდენცია, რომელიც ირანის ბირთვული პროგრამის ირგვლივ შექმნილ კრიზისულ სიტუაციაში პოზიტიურმა ძვრებმა და ერაყელ აჯანყებულთა ერთ-ერთი ლიდერის აბუ მუსაბა ზარქავის სიკვდილმა განაპირობა, პარასკევს შეიცვალა და “შავი ოქრო” კვლავ გაძვირდა.

ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე “შავი ოქროს” ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასებმა საგრძნობლად მოიმატა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 70,48 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 71,63 დოლარი/ბარელამდე გაძვირდა.

ამის მიზეზი ნავთობის გაიაფების შემდეგ ინვესტორთა მიერ მოგების ფიქსაციამ განაპირობა. ამასთან, ფასების კლების შემდეგ “შავი ოქროს” შესაძენად მიმზიდველი სიტუაცია შეიქმნა, გაყიდვისადმი კი პირიქით, ინტერესმა იკლო.

მორდაშოვი Arcelor-ს არ დათმობს

რუსული “სევერსტალის” მეპატრონემ ალექსეი მორდაშოვმა განაცხადა, რომ ევროპული მეტალურგიული კონცერნის Arcelor-ის აქციების პაკეტისათვის იმ შემთხვევაშიც იბრძოლებს, თუ ამ უკანასკნელის აქციების ძირითად პაკეტს ინდური გიგანტი Mittal Steel-ი შეიძენს.

Arcelor-ის და “სევერსტალის” შერწყმა მხოლოდ იმ შემთხვევაში არ განხორციელდება, თუ Mittal Steel-ი ევროპული კომპანიის აქციონერებს აქციების 50 პროცენტზე მეტის მიყიდვაში დაარწმუნებს. ბოლო დროს ორ მეტალურგიულ გიგანტს შორის ურთიერთობა თანდათან დათბა - Arcelor-ის ხელმძღვანელობამ პირველად განაცხადა თანხმობა Mittal Steel-ის წარმომადგენლებთან ბიზნეს-გეგმის განსახილველად შეხვედრაზე.

ინდური გიგანტის ხელმძღვანელობამ Arcelor-ის ეს ნაბიჯი მეტად პოზიტიურად შეაფასა. Mittall Steel-ის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბიზნეს-გეგმის განხილვის შემდეგ Arcelor-ის ხელმძღვანელობა მათ წინადადებას დათანხმდება და “სევერსტალთან” შერწყმაზე უარს იტყვის.

შეგახსენებთ, რომ Arcelor-ის ხელმძღვანელობამ ინდური Mittal Steel-ის წინადადების განხილვა მას შემდეგ დაიწყო, რაც ინდური კონცერნის კონსულტანტმა Goldman Sachs-მა ევროპული კომპანიის აქციონერთა 30 პროცენტის ხელმოწერის შეგროვება შეძლო, რომლებმაც “სევერსტალთან” შერწყმის გადაწყვეტილების გადახედვა მოითხოვეს. იქამდე Arcelor-ის ხელმძღვანელობა Mittal Steel-ის წინადადებას მტრული შთანთქმისაკენ გადადგმულ ნაბიჯს უწოდებდა.

ბოლივიამ “გაზპრომს” უხმო

ბოლივიის სახელმწიფო ენერგეტიკული კომპანიის Yacimientos Petroliferos Fiscalis Bolivianos (YPFB) პრეზიდენტმა ხორხე ალვარადომ განაცხადა, რომ რუსულმა მონოპოლისტმა “გაზპრომმა” მათი წინადადება მიიღო და ბოლივიის გაზის ინდუსტრიაში 2 მილიარდი დოლარის ინვესტირებას აპირებს. ალვარადოს თქმით, “გაზპრომი” გაზსადენებს ააშენებს, მიტოვებულ საბადოებს აამოქმედებს და ახლებს დაზვერავს.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლივია სამხრეთ ამერიკის ერთერთი ყველაზე ღატაკი ქვეყანაა, ბუნებრივი აირის მარაგით იგი კონტინენტზე მხოლოდ ვენესუელას ჩამორჩება. გასული საუკუნის 90-იან წლებში განხორციელებული პრივატიზაციისას, ბოლივიური გაზის საბადოები მთლიანად კერძო, ძირითადად, უცხოური კომპანიების საკუთრებაში გადავიდა. იმ პერიოდში განხორციელებულმა უცხოურმა კაპიტალდაბანდებამ 3,5 მილიარდი დოლარი შეადგინა.

მაგრამ ახლო წარსულში არჩეულმა პრეზიდენტმა ევო მორალესმა ბუნებრივი აირის სახელმწიფო საკუთრებაში დაბრუნება გადაწყვიტა. მისი თქმით, მიღებული მოგება ქვეყნის ეკონომიკის სხვა სფეროების აღორძინებას უნდა მოხმარებოდა. სწორედ ენერგეტიკის ნაციონალიზაციის იდეამ გაამარჯვებინა მას არჩევნებში, რის შემდეგაც მორალესი თავისი გეგმების განხორციელებას შეუდგა და

მიმდინარე წლის 1 მაისს, მისი ბრძანებით YPFB-მ ენერგეტიკასთან დაკავშირებული ყველა ოპერაციის გაკონტროლება დაიწყო, საბადოები ბოლივიურმა არმიამ დაიკავა და უცხოურ კომპანიებს კონტაქტების გადახედვა და შემოსავლის დიდი ნაწილის დაბეგვრა შესთავაზეს.

ამან უცხოური კომპანიები დააფრთხო, YPFB-ს, ანუ ბოლივიის ხელისუფლებას კი გაზმოპოვების გაფართოებისათვის საჭირო სახსრები არ გააჩნია. ამიტომაც გადაწყვიტეს, “გაზპრომისათვის” მიემართათ.

ინგლისმა Peugeot -ის საწინააღმდეგო კამპანია წამოიწო

ინგლისის ორი პროფესიული კავშირი ფრანგული კომპანია Peugeot-ის საწინააღმდეგო საპროტესტო აქციების დაწყების შესახებ ალაპარაკდა. ფრანგულმა კომპანიამ, ცოტა ხნით ადრე, დიდ ბრიტანეთში თავისი ქარხანა დახურა და წარმოება სლოვენიაში გადაიტანა. პროფკავშირებმა კი, თავის მხრივ, ბრიტანულ ჟურნალებსა და გაზეთებში სარეკლამო არეალები შეისყიდეს და ფრანგული საავტომობილო კომპანიის საწინააღმდეგო აგიტაციას შეუდგნენ. მედიის საშუალებით პროფკავშირები მყიდველებს Peugeot-ის მარკის ავტომობილების შეძენას უკრძალავენ. პროფკავშირები Peugeot-ს ინგლისში სამუშაო ადგილების გაუქმებასა და უმუშევრობის აგიტაციაში ადანაშაულებენ.

პროფესიული კავშირების ლიდერები დარწმუნებულები არიან, რომ მათ მიერ წამოწყებული აქციები შედეგს გამოიღებს. “მართალია, კომპანია Peugeot-ი სლოვენიაში თავისი ბიზნესის გადატანას არ გადაიფიქრებს, თუმცა ეს სხვა საავტომობილო კომპანიებისთვის კარგი მაგალითი იქნება,” - აცხადებენ პროფკავშირების წარმომადგენლები.

ზესახელმწიფო და ალიანსები

პირველი გვერდიდან

ფილდსის ხელმძღვანელობით მიმდინარე რეფორმები, უპირველესად, იქითკენ იქნება მიმართული, რომ "ფორდმა" აღარ იზარალოს. კომპანიის ხელმძღვანელობა, ალბათ, აღარ იმედოვნებს, რომ უახლოეს წლებში ბაზარზე დაკარგულ პოზიციებს დაიბრუნებს. ჯერ კიდევ 10 წლის წინ აშშ-ს ბაზარზე გაყიდული ყოველი 4 მანქანიდან ერთზე მეტი "ფორდისა" იყო და კომპანია ღირსეულ კონკურენციას უწევდა მსოფლიოს უდიდეს ავტოგიგანტს "ჯენერალ მოტორსს." "ფორდს" მტკიცედ ეჭირა მეორე პოზიცია მსოფლიოს ავტოწარმოებაში.

დღეს "ფორდი" მესამეზეა ჩამოქვეითებული. მეორე პოზიცია მან "ტოიოტას" დაუთმო. გამორიცხული არაა, მესამე პოზიციაც დათმოს. ეს უკვე იმაზეა დამოკიდებული, მისი უახლოესი მდევრებიდან ("დაიმლერკრაისლერი," "რენო," "ფოლკსვაგენი," "ჰონდა") რომელი იმარჯვებს.

ამ სამარცხვინო ვითარებას რამდენიმე მიზეზი აქვს. თავის დროზე "ფორდს" დიდი ზარალი მიადგა "ფაიარსტოუნის" საბურავების გამო, რომლებითაც "ფორდ ექსპლორერები" იყო აღჭურვილი. საბურავების დიდი პარტია უვარგისი გამოდგა, რამაც კომპანიას დიდი ფინანსური ზარალი მიაყენა, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ზარალი მის რეპუტაციას მიადგა.

მაგრამ ყველაზე დიდი წვლილი "ფორდის" წარუმატებლობაში, სავარაუდოდ, ნავთობის გაძვირებამ შეიტანა. თუმცა ცხადია, ნავთობი მხოლოდ "ფორდისათვის" არ გაძვირებულა და თუკი ამ გარემოებამ ყველაზე მეტად ეს კომპანია დააზარალა, ამაში ისევ და ისევ კომპანიის მენეჯმენტია დამნაშავე.

რამდენიმე წლის წინ "ფორდმა" ძირითადი აქცენტი ჯიპებზე გადაიტანა. ახალი მოდელები, ძირითადად, ამ ტიპის მანქანებისათვის მუშავდებოდა და, პრაქტიკულად, "ფორდის" მთელი შემოქმედებითი პოტენციალი აქეთ იყო მიმართული. ეს სტრატეგია იმით მართლდებოდა, რომ აშშ-ში - ავტომანქანების უდიდეს ბაზარზე - ჯიპებზე მოთხოვნილება დიდი იყო.

მაგრამ ეს მოთხოვნილება მალე მკვეთრად დაეცა, რისი მიზეზიც აშკარაა: ჯიპი დიდი რაოდენობით საწვავს მოიხმარს, საწვავი კი ბოლო დროს მნიშვნელოვნად გაძვირდა. ამ პრობლემისათვის გვერდის ასავლელად "ფორდმა" ერთი შეხედვით კარგ ხერხს მიაგნო - ყოველი მყიდველი, რომელიც "ფორდის" მანქანას შეიძენს, ათასი დოლარის ღირებულების საწვავით დასაჩუქრდება. მაგრამ როგორც კი ეს გაკეთდა, მომხმარებლებისათვის იგივე შეღავათი დააწესა "ჯენერალ მოტორსმაც."

სრული კრახისაგან "ფორდი" აქამდე იმანაც იხსნა, რომ კომპანიას ფინანსური განყოფილებაც გააჩნია - "ფორდ კრედიტი." ამ ფირმამ შარშან 2,5 მილიარდი დოლარი მოიგო, რითაც "ფორდ მოტორსის" ზარალი გააბათილა. მაგრამ, "ფორდ კრედიტის" ბიზნესი, მნიშვნელოვანწილად, "ფორდის" მანქანების გაყიდვაზეა დამოკიდებული და თუკი ამ მხრივ ვითარება კიდევ უფრო გაუარესდა, კომპანიას ეს საყრდენიც გამოეცლება. ახლა, როცა საკრედიტო რეიტინგი "ჯანქის" მიდამოებშია, ხოლო "ფორდის" ვალი 142 მილიარდ დოლარს შეადგენს, ამ საყრდენის გამოცლა კატასტროფის ტოლფასი იქნება.

აშშ-ს ბაზარზე გამოთავისუფლებულ "ფორდის" ნიშას, ძირითადად, იაპონური მანქანები იკავებენ. ვაშინგტონი, რომელიც თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებს ქადაგებს, შექმნილი ვითარების გამო ძნელად თუ ჩაერევა საქმეში, რათა ამერიკული წარმოების მანქანების გაყიდვას შეუწყოს ხელი. "ფორდი" კრიზისიდან თავად უნდა გამოვიდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში დეტროიტის "დიდი სამეული" ("ჯენერალ მოტორსი," "ფორდი" და "კრაისლერი"), პრაქტიკულად, ერთეულამდე დავა, რადგან "კრაისლერი", უკვე დიდი ხანია, "დაიმლერ-ბენცს" შეუერთდა. "ფორდის" კრახი დამატებით არგუმენტებს მისცემს იმ მიმომხილველებს, რომლებიც აშშ-ში ინდუსტრიული პოტენციალის შემცირებასა და, პერსპექტივაში, აშშ-ს ეკონომიკის დაკნინებაზე საუბრობენ. მათი არგუმენტები ეყრდნობა ისეთ ფაქტებს, როგორიცაა აშშ-ს დიდი ვალი ან, თუნდაც, ამერიკაში ინჟინრების ნაკლებობა სხვა დიდ სახელმწიფოებთან შედარებით (მაგალითად, ჩინეთი წელიწადში 950 ათას ინჟინერს ამზადებს, აშშ კი - 70 ათასს).


ნოამ ჩომსკი.

აშშ-სათვის "ყველაფერი დასრულებულია?"

აშშ-ს შესაძლო კრახზე საუბარი დღეს არ დაწყებულა. განგაშის ზარი ჯერ კიდევ 50-იან წლებში ჩამოკრეს, როცა საბჭოთა კავშირმა კოსმოსში პირველი თანამგზავრი გაუშვა. მეორედ ამერიკის კრახზე 70-იან წლებში ალაპარაკდნენ, როცა ქვეყანამ ვიეტნამიდან გამოიყვანა ჯარები და მალე, ნავთობზე მაღალი ფასების გამო, აშშ-ს ეკონომიკას საგრძნობი პრობლემები გაუჩნდა. კრახის სასარგებლოდ ეკონომიკური ხასიათის არგუმენტებს სხვადასხვა მიმომხილველები მორალური ხასიათის არგუმენტებითაც ამყარებენ ხოლმე. ამ მხრივ, 1980-იანი წლებიდან მოყოლებული, უპირობოდ ლიდერობს მემარცხენე იდეალისტთა საყვარელი ავტორი ნოამ ჩომსკი, რომელიც ამერიკის დემოკრატიას უკიდურესად არასრულყოფილს, ხოლო საგარეო პოლიტიკას უკიდურესად იმპერიალისტურს უწოდებს. გასულ კვირას ჩომსკიმ აშშ-ს საბოლოო განაჩენი გამოუტანა თავისი სტატიით "რატომ არის ამერიკისათვის ყველაფერი დასრულებული." ბუნებრივია, სტატიას მრავალი მიმომხილველი გამოეხმაურა. ერთ-ერთმა მათგანმა აშშ-ს უმთავრეს მეტოქედ 2001 წელს შექმნილი, შანხაის განვითარების ორგანიზაცია დაასახელა. ამ ორგანიზაციის წევრები არიან ჩინეთი, რუსეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი და ტაჯიკეთი. დამკვირვებლის სტატუსით სარგებლობენ ინდოეთი, ირანი და პაკისტანი.

მიმომხილველი შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციას ოპეკის ტიპის დაჯგუფებად გადაქცევას უწინასწარმეტყველებს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ ქვეყნებს ატომური იარაღიც ექნებათ და მათი ეკონომიკა მხოლოდ ნავთობის წარმოებით არ იქნება შემოფარგლული. მოკლედ, შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია ლამის დასავლეთის მესაფლავედ გამოცხადდა, რაც, ალბათ, გაზვიადებულია. არ უნდა დავივიწყოთ, რომ უკვე საუკუნეზე მეტია, აშშ მსოფლიოს წამყვან ეკონომიკად რჩება და მისი წილი მსოფლიო ეკონომიკაში სტაბილურად ტრიალებს 25-პროცენტიანი მაჩვენებლის გარშემო. ეს მაჩვენებელი 1913 წელს 32 პროცენტს შეადგენდა, 1980 წელს წილი 20 პროცენტამდეც კი იყო ჩამოსული, მაგრამ 2000 წელს კი 27 პროცენტს უტოლდებოდა. ამ სტაბილურობისა და წარმატების საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ აშშ ყველაზე სწრაფად ითვისებს და ნერგავს ინოვაციებს და ანვითარებს ახალ დარგებს. მისი ბაზარი ღიაა და მოქნილი, აქ სუსტების ადგილი არაა. ყოველივე ეს ანეიტრალებს ისეთ ნაკლოვანებას, როგორიცაა ინჟინრების სიმცირე თუ ძვირი მუშახელი.

Gaz de france და Suez-ის გაერთიანება წლის ბოლოსთვის დასრულდება

ორი ენერგეტიკული კომპანია gaz de france და Suez-ი წლის ბოლოსთვის გაერთიანდება. მათი გაერთიანების ჩაშლის ერთ-ერთ მიზეზად პოლიტიკური მიზეზები სახელდებოდა, თუმცა კომპანიების წარმომადგენლებმა გაერთიანების შესახებ ინფორმაცია თავად გაავრცელეს.

Gaz de France-ს აღმასრულებელი დირექტორი ჟან ფრანსუა სირელი და Suez-ის ხელმძღვანელი ჟერარ მესტრალე ფრანგულ გაზეთ Le Journal du Dimanche-სთვის მიცემულ ინტერვიუში აცხადებენ, რომ კომპანიებს შორის გარიგება 2006 წლის ბოლოსთვის დასრულდება. "ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის," - აცხადებს მესტრალე.

ანალიტიკოსების უმეტესობა ფიქრობს, რომ გარიგებას, რომელიც 70 მილიარდ ევროდ არის შეფასებული, მხარდამჭერები საფრანგეთის ხელისუფლებაში ჰყავს. მათ სურდათ, რომ Suez-ის იტალიურ ენერგოკომპანია ENEl-თან არ გაერთიანებულიყო. Suez-ის ხელმძღვანელი აცხადებს, რომ კომპანია Enel-თან გაერთიანება მის გეგმებში ისედაც არ შედიოდა.

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი დომინიკ დე ვილპენი Gaz de France-ს პრივატიზაციის შესახებ კანონის მიღებას უჭერს მხარს, რომლის მიხედვითაც გარიგებასთან დაკავშირებული ყოველგვარი შეზღუდვა ანულირდება. მმართველი პარტიის სხვა წევრები კანონის მიღებას არ ჩქარობენ. ამის მიზეზად ისინი ქვეყანაში 2007 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს ასახელებენ.

პეკინმა Google-ს მოუგო

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ ჩინეთი უცხოური ინტერნეტ-კომპანიების მოღვაწეობას მიესალმება, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ მათი საქმიანობა ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობას არ ეწინააღმდეგება.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი წარმომადგენლის, ლუ ცზიანცაოს თქმით, ბოლო პერიოდში, ინტერნეტ-კომპანიებსა და ჩინეთის ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის პოზიტიური ტენდენციები იკვეთება, მაგრამ ეს ყველაფერი კანონის ფარგლებში უნდა დარჩეს. ეს განცხადება კი, პირველ რიგში, კომპანია Google-ს ეხება. სამინისტროს წარმომადგენლის მიერ გაკეთებული ეს განცხადება კომპანია Google-ის ტექნიკური დირექტორის სერგეი ბრინის გამოსვლას მოჰყვა, რომლის მიხედვითაც, აღნიშნული საძიებო სისტემა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოთხოვნილებებს ცენზურის გათვალისწინებით დააკმაყოფილებს. კომპანია Google ჩინეთის ცენზურის გათვალისწინებას მას შემდეგ დათანხმდა, რაც ხელისუფლებამ ქვეყნის ტერიტორიაზე საძიებო სისტემა დაბლოკა. კომპანია Google უფლებათა დამცველმა ორგანიზაციებმა სერიოზულად გააკრიტიკა.

შეგახსენებთ, რომ პეკინმა მხოლოდ ის ინფორმაცია დაბლოკა, რომელიც ხელისუფლების ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა.

ამერიკის სავაჭრო დეფიციტი იზრდება

ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო დეფიციტი გაიზარდა. აპრილში ამ მაჩვენებელმა 63,4 მილიარდი დოლარი შეადგინა, მაისში კიდევ მოიმატა, ხოლო ივნისისთვის 65 მილიარდს მიაღწევს. ამ ფაქტს ექსპერტები "შავ ოქროზე" - ნავთობზე ფასების კატასტროფულ მატებას უკავშირებენ. ერთ-ერთი უმსხვილესი ნავთობკომპანიის ხელმძღვანელის განცხადებით, ნავთობის მარაგი მსოფლიოს ეკონომიკისთვის საკმარისია, მაგრამ პრობლემაა მისი გადამუშავების სიმძლავრეების არარსებობა. "თუკი ჩვენ ამ საკითხს არ მოვაგვარებთ, ნავთობის ფასების მატება და, შესაბამისად, ამერიკის სავაჭრო დეფიციტი ჩვეულებრივი მოვლენა იქნება," -აცხადებს ნავთობმაგნატი. ამერიკელ ანალიტიკოსთა აზრით, ტერორისტი აბუ მუსაბ აზზარკაუნი არანაირად არ იყო დაკავშირებული ირანში ნავთობობიექტებზე მომხდარ აფეთქებებთან. ამიტომ, მათი აზრით, მისი ლიკვიდაცია ვერ შეცვლის სიტუაციას ნავთობის სფეროში, კონკრეტულად კი, ნავთობსადენებზე ტერორისტული აქტების შემცირების კუთხით. **ჯი-ეიჩ-ენი**

ჰონკონგში აზიური ავიაგიგანტი შეიქმნა

ჰონკონგის უმსხვილესმა ავიაკომპანიამ Cathay Pacific Airways-მა მეორე კომპანია Dragon Airlines-თან თანამშრომლობის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა. გარიგების თანხა 1,05 მილიარდ დოლარს შეადგენს.

გაერთიანება ავიაკომპანია Cathay-ის ჩინეთის ავიაბაზარზე საკუთარი პოზიციების გამყარების საუკეთესო საშუალებას მისცემს. ეს ავიაბაზარი, ექსპერტების შეფასებებით, ყველაზე სწრაფი ტემპებით იზრდება. Cathay Pacific-ის აღმასრულებელმა დირექტორმა განაცხადა, რომ ეს გარიგება, სულ მალე, მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ გარიგებად ჩაითვლება.

Cathay, ფინანსურად, გარიგების მეათედს უზრუნველყოფს, Dragon Airlines-ის დანარჩენი აქციონერები კი კომპანიის ქაღალდებს მიიღებენ. გარიგების პირობების თანახმად, ბრენდი Dragonair-ი კიდევ ექვსი წლის განმავლობაში შენარჩუნდება. აღნიშნული გარიგება ჯერ არ დასრულებულა, ამისთვის ყველა აქციონერის თანხმობაა საჭირო. კომპანიაში აცხადებენ, რომ ამ პროცესების მოგვარებას კიდევ ექვსი თვე დასჭირდება.

ასევე ცნობილი გახდა, რომ cathay ავიაკომპანია Air China-ს აქციების 10 პროცენტს 605,5 მილიონ დოლარად შეისყიდის. ამ ეტაპზე Air China-ში კომპანია Cathay-ის პოზიციები სერიოზულად გაძლიერდა.

მანამდე კი, ჰონკონგის საფონდო ბირჟამ ავიაკომპანია Swire Pacific, Citic Pacific, Air Chinaდა China Nationale Aviation-სთან და მათ აქციონერებთან აქციებით ვაჭრობა შეწყვიტა.

ამინდი

	12/06	13/06	14/06
კიევი	20	15	19
რიგა	25	27	27
ვილნიუსი	22	26	28
მოსკოვი	17	22	25
მინსკი	21	22	23
პარიზი	29	30	31
რომი	23	27	27
ლონდონი	30	27	25
მადრიდი	27	23	25
ბონი	27	31	33
ვარშავა	26	24	26
ათენა	26	24	26
ბერნი	27	30	31
ამსტერდამი	23	30	23
ოსლო	25	25	22
ანკარა	23	26	25
ვარნა	27	21	20
დელი	46	45	45
ტოკიო	24	22	27
კოპენჰაგენი	25	25	25
ბაქო	28	30	30
ერევანი	33	35	37
ასტანა	29	25	16
ჰელსინკი	22	23	23
დუბლინი	18	19	17
ლისაბონი	26	26	25
პრაღა	26	28	27
სოფია	23	17	23
ბუდაპეშტი	26	26	27
ბუხარესტი	28	28	23

24 საათი

© გაზეთი 24 საათი

სპორტი

თქვენი რეკლამა
"სპორტში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:

ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

კახა კალაძე - "24 საათის" მუნდიალის ექსპერტი

C2

რონალდოს მოტივაცია

C3

პარიზის ბელგიელი დედოფალი

C4

ნარინჯისფერი დომინაცია

ჰოლანდია გოლს ზეიმობს.

სულ მალე დაიწყება წლის მთავარი სპორტული მოვლენა - მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

საზოგადოებრივი არხი და გადაცემა "არენა" ცხრიდან თოთხმეტი წლის ჩათვლით ასაკის ბავშვებს დიდ სპორტულ ვიქტორინაში მონაწილეობის მიღებას სთავაზობს, რომელიც ჩემპიონატამდე სამი კვირით ადრე, 15 მაისს დაიწყება.

ვიქტორინაში გამარჯვებული ბავშვები ფეხბურთის ბურთებით დასაჩუქრდებიან და ასევე გამოვლინდება კვირის საუკეთესო კომენტატორი.

გამარჯვებულებს შეარჩევს კომპეტენტური ჟიური, რომელიც სპორტული ჟურნალისტებითა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებით იქნება დაკომპლექტებული.

სამი გამარჯვებული ბავშვი მსოფლიო ჩემპიონატის შემაჯამებელ გადაცემაში მიიღებს მონაწილეობას. მათ აგრეთვე საჩუქრად გადაეცემათ დვდ-პლეიერები და საზოგადოებრივი არხის პროდუქცია დვდ-დისკებზე.

პირველ ადგილზე გასული ბავშვი დასაჩუქრდება ორკაციანი საგზურით ურეკში, სასტუმრო "კოლხიდაში."

მიიღეთ მონაწილეობა ვიქტორინაში!
უყურეთ ფეხბურთს!
უყურეთ პირველს!

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება: 21 33 67

სარეკლამო სამსახური: 21 33 54, 33 23 11

სპორტული რედაქცია: 33 17 15



მუნდიალის დაწყებამდე ჰოლანდიის ნაკრებს აშკარა ფავორიტთა შორის არავინ მოიაზრებდა. ბევრი იმასაც ამბობდა, რომ ვან ბასტენს მომავლის გუნდი ჰყავს და ნარინჯისფერები მხოლოდ 2010 წლის მუნდიალზე იტყვიან თავის სიტყვას. თუმცა წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის პირველივე ჰოლანდიურმა მატჩმა დაგვანახა, რომ მარკო ვან ბასტენმა საოცრად ბრძოლისუნარიანი გუნდი ჩაიყვანა გერმანიაში და ჰოლანდიელები კიდევ ბევრს გაუშრობენ სისხლს.

ნარინჯისფერებმა კარგი თამაში აჩვენეს. ეს იყო პრაგმატიზმისა და ლამაზი ფეხბურთის ნაზავი.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მარკო ვან ბასტენმა საკმაოდ რთული რამ მოახერხა. მან გერმანიაში გამოცდილებისა და ახალგაზრდების ნაზავი გუნდი ჩაიყვანა. თანამედროვე ფეხბურთში კი ეს წარმატების ერთ-ერთი მთავარი საწინდარია.

რაც შეეხება თავად მატჩს, ვერ ვიტყვით, რომ ჰოლანდიის ნაკრებმა იოლად მოიგო, მაგრამ ვერც იმას ავუვლით გვერდს, რომ სერბეთმა, ფაქტობრივად, ვერც ერთი სახიფათო მომენტი ვერ შექმნა ვან დერ სარის კართან. ხოლო ის ფაქტი, რომ ჰოლანდიელებმა მხოლოდ ერთი გოლით გაიმარჯვეს, ძნელი ასახსნელი არ უნდა იყოს. შეგახსენებთ: სერბეთის ნაკრებმა შესარჩევი ციკლი ისე განვლო, რომ მხოლოდ ერთი გოლი გაუშვა და არც ერთი თამაში არ წაუგია. მოკლედ, ვან ბასტენის შეგირდებისთვის ერთი გოლიც დიდი მიღწევაა.

მატჩის გმირი კი არიენ რობენი იყო. "ჩელსის" ნახევარმცველმა ბრწყინვალედ ითამაშა. საერთოდ, თუ განვლილი მატჩებით შევაფასებთ, არიენი ჯერჯერობით ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიო ჩემპიონატზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჯგუფში ვითარება ოდნავ განიმუხტა. შესაძლოა ისეც მოხდეს, რომ ბოლო ტურმა საერთოდ აზრი დაკარგოს. თავად განსაჯეთ: თუ მორიგ ტურში არგენტინამ სერბეთს მოუგო, ჰოლანდიამ კი - კოტდივუარელებს, ყველაფერი გაირკვევა. სერბებისთვის ეს მარცხი კატასტროფის ტოლფასია. ილია პეტკოვიჩის გუნდს მომდევნო ტურში უკვე გამარჯვება სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სერბები ალბათ ნაადრევად დაემშვიდობებიან მუნდალს.

სერბეთი - ჰოლანდია 0:1

სერბეთი: ევროჩი, ნ.ჯორჯევიჩი (კორომანი 43), გავრანჩიჩი, კრსტაიჩი, დრაგუტინოვიჩი, სტანკოვიჩი, ნადი, დულიაი, პ.ჯორჯევიჩი, მილოშევიჩი (ზიგიჩი 46), კეჟმანი (ლუბოჟა 67)
მწვრთნელი: ილია პეტკოვიჩი
ჰოლანდია: ვან დერ სარი, ჰეიტინგა, ოიერი, მატისენი (ბულაჰრუზი 86), ვან ბრონკჰორსტი, სნეიდერი, კოკუ, ვან პერსი, ვან ნისტელროი (კუიტი 69), ვან ბომელი (ლანდზაატი 60), რობენი
მწვრთნელი: მარკო ვან ბასტენი
გოლი: 0:1 რობენი (18)
გაფრთხილება: სტანკოვიჩი, კორომანი, დრაგუტინოვიჩი, გავრანჩიჩი - ვან ბრონკჰორსტი, ჰეიტინგა
მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)
4 კარში დარტყმა 6
11 კარისკენ დარტყმა 12
15 ჯარიმა 23
6 კუთხური 4
2 თამაშგარე 3
39% ბურთის ფლობა 61%
მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: არიენ რობენი

კახა კალაძე - "24 საათის" მუნდიალის ექსპერტი

მთელი მუნდიალის მსვლელობისას "24 საათი" შემოგთავაზებთ საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და იტალიის "მილანის" მცველის კახა კალაძის კომანტარს. ვიწყებთ იმ ოთხი ფავორიტის თამაშის შეფასებით, რომლებმაც უკვე ჩაატარეს პირველი ჯგუფური შეხვედრები. მაშ ასე: გერმანია, ინგლისი, არგენტინა და ჰოლანდია.

გერმანია

"ტრადიციულად, გერმანიის ნაკრებს ამჯერადაც ყველა ფავორიტად მიიჩნევს. ამ მოსაზრებას ისიც უამგრებს საფუძველს, რომ გერმანია მასპინძლის რანგშია. პირველი თამაშით საბოლოო დასკვნების გამოტანა სწორი არ იქნება, მაგრამ ეს მატჩი გარკვეული განსჯის საფუძველს მაინც იძლევა. ყოველ შემთხვევაში, კოსტა რიკასთან მატჩმა აშკარად წარმოაჩინა გერმანელთა ძლიერი და სუსტი მხარეები. დავიწყებ სუსტი მხარით, რომელიც ზუსტად იმ რგოლს შეეხება, რომელიც ყველაზე ახლობელია ჩემთვის. როგორც ჩანს, 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფორმაციის გერმანიის ნაკრების აქილევსის ქუსლი დაცვის ხაზია. ზედიზედ მესამე თამაშია, გერმანელები საკუთარ კარში ორ გოლს უშვებენ. თუ წინა ორი შეხვედრა ამხანაგური იყო და შეიძლებოდა გევარაუდა, რომ კლინსმანი ოპტიმალური შემადგენლობისა და სტილის ძიებაშია, კარიბელებთან მატჩში გაშვებულმა გოლებმა გამოაჩინა, რომ ეს უკვე სიმპტომატურ ხასიათს იძენს. გერმანელთა ბედად, მათ ქვეჯგუფში არ ჰყავთ ისეთი მეტოქეები, რომ ჯგუფური ეტაპის გადალახვაში პრობლემები შეექმნათ. თუმცა, დაცვის ასეთი გაუმართავი მოქმედებები მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისკენ მიმავალ გზაზე შეიძლება მთავარ დაბრკოლებად იქცეს. რაც შეეხება ნახევარდაცვას და თავდასხმას, ამ მხრივ გერმანელებს ყველასფერი წესრიგში აქვთ. ოთხი გოლი გახსნით მატჩში - ეს ყველაფერზე მეტყველებს. მით უმეტეს, რომ კლინსმანის შეგირდებმა ლიდერის - ბალაკის გარეშე ითამაშეს. მისი შემატება კიდევ უფრო გააძლიერებს გერმანელებს. ვფიქრობ, მომდევნო მატჩებში გერმანული მექანიზმი უფრო გამართულად იმუშავებს.

ინგლისი

გერმანელების საპირისპიროდ, ინგლისს უძლიერესი დაცვა და ნახევარდაცვა აქვს. ამ ამპლუას თითოეული ფეხბურთელი მაღალი ინდივიდუალური ოსტატობით გამოირჩევა და ნამდვილი ვარსკვლავია. პარაგვაისთან თამაშმა დაადასტურა, რომ ინგლისს მხოლოდ თავდასხმის ხაზში აქვს პრობლემები. თავდასხმაში ერიქსონის გუნდმა ერთგვარად პრიმიტიულადაც კი ითამაშა. გრძელი გადაცემები ბრიტანულ სტილში უკვე ყველას კარგად აქვს შესწავლილი და იშვიათად იძლევა ეფექტს. სტანდარტული მდგომარეობები და საჯარიმოს გარედან შორეული დარტყმები - ამ კომპონენტებით გავიდნენ ფონს პარაგვაელებთან შეხვედრაში. თუმცა, ვფიქრობ, უეინ რუნის დაბრუნებასთან ერთად ინგლისელების თავდასხმის ხაზი საგრძნობლად გაძლიერდება. გერმანიისა არ იყოს, არც ინგლისს ექნება რაიმე პრობლემა ქვეჯგუფში. ტურნირის მსვლელობაში ინგლისი აუცილებლად მოუმატებს და პლეიოფების დაწყებისთვის პიკს მიაღწევს.

არგენტინა

ყველა თვალსაზრისით ძალიან საინტერესო თამაში იყო არგენტინასა და კოტ-დ`ვუარს შორის. სანახაობრივი მხარე, მაღალი ტემპი, ორმხრივი შეტევები და უკომპრომისო ორთაბრძოლა - ასეთ დაპირისპირებაში გაიმარჯვა გუნდმა, რომელსაც უფრო მაღალი კლასი და გამოცდილება აქვს. სხვა მხრივ, მატჩის ხასიათიდან გამომდინარე, აფრიკელებს აღიარებული ფავორიტისთვის არაფერი დაუთმიათ - არანაკლებ ბევრი საგოლე მომენტი შექმნეს, ბურთსაც კარგად აკონტროლებდნენ. ერთი სიტყვით, თითქოს არაფრით ჩამოუვარდებოდნენ არგენტინას. მაგრამ კლასში სხვაობა სწორედ ის არის, რომ არგენტინელებმა თავისი შანსები გამოიყენეს, კოტ-დ`ვუარმა - ვერა. არგენტინის ნაკრებმა ამ მატჩში დაადასტურა, რომ გერმანიაში მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ გუნდს "სიკვდილის ჯგუფად" შერაცხულ ქვეჯგუფში უწევს პლეი-ოფის საგზურისთვის ბრძოლა. მართალია, აფრიკელთა ძლევით ამ მიზნისკენ პირველი ნაბიჯი გადადგა, მაგრამ დარჩენილ ორ მეტოქესთანაც ძალების სრული მობილიზაციით მოუწევს თამაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ჰოლანდიის და სერბეთის დამარცხება ძალიან გაუჭირდება.

ჰოლანდია

ჰოლანდიის ნაკრების თამაშში მოულოდნელი არაფერი იყო. ამ გუნდმა წმინდად პრაგმატული ფეხბურთი ითამაშა მეტოქესთან, რომელიც ანგარიშგასაწევი ძალაა. ჰოლანდიის ნაკრების ღირსება ის არის, რომ ვან ბასტენმა უარი თქვა გამოცდილ, ასაკოვან ფეხბურთელებზე და ახალგაზრდებზე გააკეთა აქცენტი. ამავე დროს ეს ერთგვარი ნაკლიცაა, რადგან ამ ახალგაზრდებს უმაღლეს სანაკრებო დონეზე თამაშის გამოცდილება აკლიათ. კონკრეტულად სერბებთან მატჩში მძლავრად ითამაშა ჰოლანდიელთა ნახევარდაცვამ. ამ ხაზმა სერბების თითქმის ყველა იერიში საჯარიმო მოედნის მისადგომებამდე აღკვეთა. მატჩი საკმაოდ "ჩაკეტილი" გამოდგა და თავიდანვე ნათელი იყო, რომ ერთი გოლი, ყველაფერს თუ არა, თითქმის ყველაფერს გადაწყვეტდა. ეს ერთი გოლი სწორედ ჰოლანდიელებმა შექმნეს და შემდეგ ეს უპირატესობა დიდი ძალისხმევის გარეშე შეინარჩუნეს, რაც ამ გუნდის ტაქტიკურ განსწავლულობაზე მეტყველებს. ჰოლანდიას ჯგუფში კიდევ ორი ისეთი მეტოქე ჰყავს, რომლებთან თამაშიც ბევრ რამეს მოჰფენს ნათელს. პირველ რიგში კი იმას, თუ რამდენად რეალურია "ნარინჯისფერთა" ამბიცია ამ ჩემპიონატის თუნდაც საპრიზო ადგილებზე.

როცა მარადონა გიყურებს

მარადონას განცდებს ამაოდ არ ჩაუვლია.

ტრიბუნებიდან მატჩს დიეგო მარადონა ადევნებდა თვალს. იმედია, არგენტინის ნაკრების გულშემატკივრები არ გვიწყენენ, მაგრამ გავბედავთ და ვიტყვით: როცა მარადონა გიყურებს, ცოტა მეტი უნდა გააკეთო, ვიდრე ალბისელესტემ აფრიკელ "სპილოებთან" ჭიდილში მოახერხა.

ფავორიტთა შორის პირველ ეტაპზე ყველაზე რთული მეტოქე, რა თქმა უნდა, სწორედ არგენტინას ჰყავდა, მაგრამ პეკერმანის გუნდმა იმდენად კარგად დაიწყო თამაში, რომ რაც მეორე ტაიმში მოხდა, ალბათ ცოტა გაუგებარიცაა. არგენტინელთა თავკაცმა აშკარად ფრთხილი ტაქტიკა აირჩია, არადა, სამხრეთამერიკელები სწორედ იმიტომ გვიყვარს, რომ პრაგმატიზმი მათთვის მიუღებელია, თანაც არგენტინა-კოტ-დ'ვუარის მატჩში პეკერმანის პრაგმატიზმმა კინალამ შეიწირა კიდეც არგენტინის ნაკრები. თავად განსაჯეთ: პეკერმანმა მეორე ტაიმში გუნდი ფაქტობრივად ფორვარდის გარეშე დატოვა და მხოლოდ ანგარიშის შენარჩუნებაზე ფიქრობდა. ამით მშვენივრად ისარგებლეს "სპილოებმა" და ერთი ბურთი გაქვითეს. კოტდივუარელებს ცოტა მეტი დრო რომ ჰქონოდათ, ვინ იცის, როგორ დასრულდებოდა ეს მეტად პრინციპული მატჩი. აქვე ერთ დეტალსაც აღვნიშნავთ: ცოტა ძნელი მისახვედრია, რას ერჩის პეკერმანი ტევესს. არგენტინული ფეხბურთის იმედისთვის ალბათ რამდენიმე წუთით მაინც უნდა მიეცათ თამაშის საშუალება, თანაც, წინასწარი ვარაუდით, სწორედ ტევესს უნდა ეთამაშა ძირითადში.

მოკლედ, უნდა აღინიშნოს, რომ არგენტინის ნაკრებმა კარგი თამაში კი აჩვენა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ბეწვის ხიდზე გაიარა და თუ პეკერმანმა კოტ-დ'ვუარზე ძლიერ გუნდებთანაც ასეთ ექსპერიმენტებს მიმართა, შესაძლოა, დაისაჯოს კიდეც.

ხოსე პეკერმანი: "კმაყოფილი ვარ, რადგან გავაკეთეთ ის, რაც დაგეგმილი გვქონდა. ვეთამაშებოდით საკმაოდ ძლიერ მეტოქეს, რომელიც მუნდიალის დებიუტანტს ნამდვილად არ ჰგავს. რაც შეეხება ძირითად შემადგენლობას, მინდა ვთქვა, რომ ძირითადში ადგილი გარანტირებული არავის აქვს და, შესაძლოა, შემდეგ მატჩში გარკვეული ცვლილებებიც მოხდეს."

ანრი მიშელი: "გაბრაზებული არ ვარ, თუმცა გული დამწყდა. არაერთი საგოლე მომენტი შევქმენით, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. მიმაჩნია, რომ მარცხი გამოუცდელობის ბრალია. ჩემს ფეხბურთელებს ასეთ ტურნირებზე არ უთამაშიათ, მსოფლიო ჩემპიონატზე კი ერთ შეცდომასაც არ გაპატიებენ."

ხავიერ სავიოლა: "ეს ჩემი დებიუტი იყო მსოფლიო ჩემპიონატზე. ბედნიერი ვარ, რომ პირველივე მატჩში გოლი გავიტანე. ეს ახდენილ ოცნებას ჰგავს. მატჩის შემდეგ მაისურა არავის გავუცვალე, რადგან უნდა შევინახო. შინ რომ ჩავალ, დედას ვაჩუქებ".

ხუან რომან რიკელმე: "კმაყოფილი ვარ, რომ ორივე გოლი ჩემი პასებით გავიდა. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ ბოლომდე კარგად ვითამაშე. მატჩის მიწურულს ცოტა გაგვიჭირდა. მეტოქემ არაფრიდან გაიტანა გოლი და ამან, შესაძლოა, ოდნავ დაგვაბნია კიდეც."

დიდიე დროგბა: "ორ გუნდს შორის ერთადერთი განსხვავება იყო. არგენტინამ თავისი ყველა მომენტი გამოიყენა, ჩვენ კი - ვერა. ცხადია, კმაყოფილი ვერ ვიქნები. მართალია, კარიერაში პირველი გოლი გავიტანე მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, მაგრამ ფეხბურთი გუნდური სპორტია და როცა შენი გუნდი აგებს, გოლი სიხარულს ვერ მოგანიჭებს."

არგენტინა - კოტ-დ ვუარი 2:1

გოლები: 1:0 კრესპო (24), 2:0 სავიოლა (38), 2:1 დროგბა (82)
გაფრთხილება: სავიოლა, ჰაინცე, გონსალესი - ებუე, დროგბა
არგენტინა: აბონდანსიერი, ბურდისო, აიალა, ჰაინცე, სორინი, მაქსი, კამბიასო, რიკელმე (აიმარი 90), სავიოლა (გონსალესი 76), კრსპო (პალასიო 64)
მწვრთნელი: ხოსე პეკერმანი
კოტ-დ'ვუარი: ტიზე, ებუე, კოლო ტურე, მეიტე, ბოკა, ზოკორა, იაია ტურე, კეიტა (არუნა კონე 77), კალუ (დინდანი 56), აკალე (ბაკარი კონე 62), დროგბა
მწვრთნელი: ანრი მიშელი
მსაჯი: ფრანკ დე ბლეკერი (ბელგია)
4 კარში დარტყმა 4
9 კარისკენ დარტყმა 13
15 ჯარიმა 17
3 კუთხური 6
6 თამაშგარე 0
49% ბურთის ფლობა 51%
მატჩის საუკეთესო მოთამაშე: ხავიერ სავიოლა

კლასზე მოპოვებული გამარჯვება

ბექჰემმა გამარას გოლი მოუწონა.

ინგლისის ნაკრებმა მუნდიალის პირველ შეხვედრაში ჩვენთვის კარგად ნაცნობ პარაგვაის ეროვნულ გუნდს ხვდა. ბრიტანელებმა მოიგეს ერთადერთი გოლის წყალობით, რომელიც სამხრეთამერიკელთა ყველაზე გამოცდილმა მცველმა საკუთარ კარში გაიტანა. გამარას ავტოგოლმა მთლიანად გააფუჭა ეს შეხვედრა და გულშემატკივარმა მეტად მოსაწყენი მატჩი იხილა. გატანილი გოლის შემდეგ ინგლისელები პირველ ტაიმში ინერციით მაინც თამაშობდნენ, მეორე ნახევარში კი მთლიანად ანგარიშის შენარჩუნებაზე გადავიდნენ და საწადელსაც იოლად მიაღწიეს. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ინგლისის ნაკრებმა ძალები დაზოგა და იმის მინიმუმი გააკეთა, რაც გამარჯვებას სჭირდებოდა.

აშკარაა, რომ ბრიტანელებს მეტი შეუძლიათ. თანაც, ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს მატჩი ერიქსონის შეგირდებმა უეინ რუნის გარეშე ითამაშეს.

ინგლისელებმა აშკარად კლასის ხარჯზე დაჯაბნეს მეტოქე. უნდა ითქვას, რომ ინგლისმა ტურნირის ფავორიტის სტატუსი, ასე თუ ისე, მაინც გაამართლა. მთელი 90 წუთის განმავლობაში იგრძნობოდა, რომ ერიქსონის გუნდს მომატება შეეძლო და, თუ საჭირო გახდებოდა, გოლსაც გაიტანადა. ცალკე თემაა ინგლისის ნაკრების ნახევარდაცვა. ალბათ ამ მუნდიალზე ალბიონელებს, საუკეთესო თუ არა, ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარდაცვა ჰყავთ. ჯერარდისა და ლამპარდის დუეტი კიდევ უამრავ გუნდს შეუქმნის პრობლემას.

ინგლისელთა ყველაზე სუსტ რგოლად პირველი თამაშის შემდეგ თავდასხმა უნდა მივიჩნიოთ. ოუენმა და კრაუჩმა ერთი სახიფათო მომენტიც კი ვერ შექმნეს მეტოქის კართან.

შეხვედრის შემდეგ ორივე გუნდის წარმომადგენლებმა ისაუბრეს ჟურნალისტებთან.

სვენ გორან ერიქსონი: "მატჩის პირველი 40 წუთის განმავლობაში ყველაფერი კარგად მიდიოდა. ვითამაშეთ ის ფეხბურთი, რომელიც უნდა გვეთამაშა. პირველი ტაიმის ბოლო ხუთ წუთში და მეორე ტაიმის დიდ ნაწილში ჩვენი თამაში ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ბურთზე კონტროლი დავკარგეთ და რატომღაც მეტოქეს გადავულოცეთ უპირატესობა. დაცვის თამაშით კმაყოფილი ვარ. მთავარია, რომ სამი ქულა ავიღეთ. თუ წარმატების მიღწევა გვინდა, დარჩენილ მატჩებში ისევე უნდა ვითამაშოთ, როგორც პარაგვაისთან მატჩის პირველ 35 წუთში".

ანიბალ რუისი: "ძალიან ძლიერი მეტოქის წინააღმდეგ ვთამაშობდით. ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში რამდენიმე ბრწყინვალე ინდივიდუალისტია. შესვენებაზე ჩემს ფეხბურთელებს ვუთხარი, რომ ინგლისელები კარგად თამაშობენ, მაგრამ არა იმდენად კარგად, რომ თამაშში გარდატეხის შექტანა ვერ შევძლოთ. თანაც, ცოტა არ გაგვიმართლა, იძულებით მოგვიხდა ორი ფეხბურთელის შეცვლა. ამიტომ მეორე ტაიმში ტაქტიკის შეცვლა უკვე შეუძლებელი გახდა. მიმაჩნია, რომ დარჩენილ ორ მატჩში შეგვიძლია გამარჯვება და შემდეგ ეტაპზე გასვლა."

ფრენკ ლამპარდი: "შედეგით კმაყოფილი ვარ. პირველი მატჩი იყო და, ვფიქრობ, ურიგოდ არ გვითამაშია. საერთოდ, მსოფლიო ჩემპიონატზე პირველი მატჩი განსაკუთრებით რთულია. ამიტომ ძალიან კარგია, რომ სამი ქულა ავიღეთ".

დევიდ ბექჰემი: "პირველ ტაიმში აშკარად კარგად ვითამაშეთ, მეორეში კი გარკვეული პრობლემები გვქონდა. თუ დარჩენილ თამაშებში შევძელით ისეთივე ფეხბურთის ჩვენება, როგორიც პარაგვაისთან მატჩის პირველ წუთებში ვაჩვენეთ, წესით, კარგი შედეგით უნდა დავასრულოთ მსოფლიო ჩემპიონატი".

როკე სანტა კრუზი: "მატჩი ჩვენთვის საშინლად დაიწყო. მიმაჩნია, რომ ცუდად არ გვითამაშია, მაგრამ არ გაგვიმართლა."

ინგლისი - პარაგვაი 1:0

გოლი: 1:0 გამარა (3 ს.კ.)
გაფრთხილება: ჯერარდი, კრაუჩი - ვალდესი
ინგლისი: რობინსონი, ნევილი, ტერი, ფერდინანდი, ე.კოული, ბექჰემი, ჯერარდი, ლამპარდი, ჯ.კოული (ჰარგრივზი 82), ოუენი (დაუნინგი 56), კრაუჩი
მწვრთნელი: სვენ გორან ერიქსონი
პარაგვაი: ვილარი (ბობადილა 7), ტოლედო (ნუნიესი 82), გამარა, კასერესი, კანისა, ბონეტი (კუევასი 68), აკუნია, პარადესი, რივეროსი, სანტა კრუზი, ვალდესი
მწვრთნელი: ანიბალ რუისი
მსაჯი: მარკო როდრიგესი (მექსიკა)
5 კარში დარტყმა 2
13 კარისკენ დარტყმა 7
13 ჯარიმა 13
6 კუთხური 1
4 თამაშგარე 3
53% ბურთის ფლობა 47%
მატჩის საუკეთესო მოთამაშე: ფრენკ ლამპარდი

"რენო" "ფერარის" გაურბის

"დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზის" მასპინძლებმა, ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, გადაწყვიტეს, საფეხბურთო ციებ-ცხელებისთვის აეწყოთ ფეხი და "სილვერსტოუნზე" ჩასატარებელი მსოფლიო ჩემპიონატის მერვე ეტაპისთვის ისეთი ფანჯარა გამოენახათ, რომელიც მუნდიალს ხელს არ შეუშლიდა.

გიგა გურასაშვილი

"სილვერსტოუნზე", რომელიც ფორმულა 1-ის ერთ-ერთ უსწრაფეს ტრასადაა მიჩნეული და რომელზეც მოვლენები მეტწილად დრამატულად ვითარდება, საჯინიბოებს ადგილობრივი დროით 12:00 საათზე აუნთეს მწვანე შუქი.

სეზონის ლიდერის, ფრანგული საჯინიბოს ესპანელი მრბოლის ფერნანდო ალონსოს მიერ დამაჯერებლად მოგებულმა კვალიფიკაციამ ძირითად რბოლაშიც გამოიღო შედეგი. მსოფლიო ჩემპიონმა "დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზიც" დამაჯერებლად მოიგო. ფრანგული საჯინიბოს მრბოლს პოულიდან და, შესაბამისად, ლიდერის პოზიციიდან აღებული სტარტით მინიჭებული უპირატესობა არ გაუნიავებია - როგორც დაიწყო რბოლა, ისევე დაასრულა. ფაქტობრივად, ესპანელისთვის საფრთხე არავის შეუქმნია.

აქედან გამომდინარე, ძირითადი ბრძოლები ალონსოს ზურგს უკან განვითარდა - მეორე საფეხურიდან სტარტი აიღო მაკლარენელმა კიმი რაიკონენმა, ხოლო მას მიჰყვა ფერარელი მიხაელ შუმახერი.

სამეფო რბოლათა გულშემატკივარი უკვე პირველივე წრეზე გახდა ინციდენტის მოწმე. "ტორო როსოს" ამერიკელმა მრბოლმა სკოტ სპიდმა მსუბუქად წასცხო რალფ შუმახერის "ტოიოტას", რომელიც, თავის მხრივ, მარკ უებერის "უილიამსს" შეეჯახა. მსუბუქად დაზიანდა ხუან პაბლო მონტოიას "მაკლარენიც".

ამასობაში ალონსო სიჩქარეს უმატებდა და უახლოეს მდევრებთან უპირატესობას ზრდიდა. ესპანელის ფეხდაფეხ მდევარ კიმი რაიკონენს ისღა დარჩენოდა, ზურგს უკან მდევარ მიხაელ შუმახერს გამკლავებოდა.

ერთი სიტყვით, ფერნანდო ალონსომ კარიერის პირველი ბრიტანული ეტაპი მოიგო, ამასთან, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონ მიხაელ შუმახერთან 13,9-წამიანი უპირატესობა მოიპოვა. მესამე საფეხური ფინელ მრბოლს კიმი რაიკონენს დარჩა.

"დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი" "სილვერსტოუნი" 60 წრე. 5,141 კმ.

1. ფერნანდო ალონსო ("რენო") 1:25:51.927
2. მიხაელ შუმახერი ("ფერარი") ...+13,9
3. კიმი რაიკონენი ("მაკლარენი") .+18,6
4. ჯანკარლო ფიზიკელა ("რენო") +19,9
5. ფელიპე მასა ("ფერარი") .....+31,5
6. ხუან პაბლო მონტოია ("მაკლარენი") +64,7
7. ნიკ ჰაიდფელდი ("ზაუბერ-BMW") +71,5
8. ჟაკ ვილნევი ("ზაუბერ-BMW") .+78,2

უსწრაფესი წრე:
ფერნანდო ალონსო ("რენო") ...1:21.599

მრბოლთა საჩემპიონო დავა

ფერნანდო ალონსო	74
მიხაელ შუმახერი	51
კიმი რაიკონენი	33
ჯანკარლო ფიზიკელა	32
ხუან პაბლო მონტოია	26
ფელიპე მასა	24
ჯენსონ ბატონი	16
რუბენ ბარიკელო	13
ნიკ ჰაიდფელდი	10
რალფ შუმახერი	8
დევიდ კულჰარდი	7
ჟაკ ვილნევი	7
მარკ უებერი	6
ნიკო როსბერგი	4
კრისტიან კლინი	1

კონსტრუქტორთა ჩათვლა

"რენო"	106
"ფერარი"	75
"მაკლარენ-მერსედესი"	59
"ჰონდა"	29
"ზაუბერ-BMW"	17
"უილიამსი"	10
"ტოიოტა"	8
"რედ ბული"	8

მუნდიალის ტრინიდადული სენსაცია

მსოფლიო ჩემპიონატზე პირველი სენსაცია დაფიქსირდა. შვედეთის ნაკრებმა ვერაფერი გააწყო მუნდიალის ყველაზე სუსტ გუნდად მიჩნეულ ტრინიდადისა და ტობაგოს ნაკრების წინააღმდეგ.

სპეციალისტთა ვარაუდით, ლეო ბეენჰაკერის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატზე ყველაზე სუსტი უნდა ყოფილიყო, მაგრამ პირველივე შეხვედრამ დაგვანახა, რომ ტრინიდადელები ტაქტიკურად მებრძოლი ფეხბურთელები არიან. "სოკერ უორიორზს" - ასე მოიხსენიებენ ტრინიდადის ნაკრებს სამშობლოში. დუაიტ იორკმა და მისმა თანაგუნდელებმა მეტსახელი მთლიანად გაამართლეს. ტრინიდადელმა ფეხბურთელებმა ნამდვილი ბრძოლა გაუმართეს შვედებს და ქულაც კი აიღეს. მატჩის შემდეგ ბეენჰაკერის შეგირდები და მათი გულშემატკივრები ისე ხარობდნენ, თითქოს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოეგოთ. ტრინიდადელთა სიხარული გასაგებია: ამ გუნდის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლა უკვე მოულოდნელობად ჩაითვალა და ვერავინ იფიქრებდა, რომ ფაქტობრივად ყველასთვის უცნობი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი, რომელშიც ორი გადაბერებული ვარსკვლავი თამაშობს, გერმანიაში ქულას აიღებდა.

ტრინიდადმა პირველი სენსაცია გვაჩუქა

ამ შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ კარგი ტაქტიკითა და საოცარი ბრძოლის ჟინით შეუძლებლის გაკეთებაც კი შეიძლება. როდესაც მეორე ტაიმის დებიუტში მინდვრიდან გააძევეს აივერ ჯონი, ყველას ეგონა, რომ ტრინიდადის ნაკრები დაიშლებოდა და შვედები, ერთს კი არა, რამდენიმე გოლსაც გაიტანდნენ. მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. მეტიც: ერთ-ერთ მომენტში ტრინიდადელებსაც შეეძლოთ გოლის გატანა და, კარის ძელი რომ არა, შესაძლოა, ლაგერბეკის დამოძღვრილ გუნდს საერთოდ მარცხი განეცადა.

ფიფას ვერსიის მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დუაიტ იორკი დაასახელეს, თუმცა თავისი გუნდის გამარჯვებაში იორკზე ნაკლები წვლილი არ მიუძღვის მეკარე შაკა ჰისლოპს, რომელმაც, სულ ცოტა, სამჯერ იხსნა საკუთარი კარი აშკარა გოლისგან.

ტრინიდადი - შვედეთი 0:0

გაფრთხილება: ა.ჯონი, იორკი - ლარსონი
ტრინიდადი: ჰისლოპი, გრეი, სანჩო, ლოურენსი, ა.ჯონი, ედვარდსი, ბირჩალი, იორკი, თეობალდი (უიტლი 67), სამუელი (გლენი 53), ს.ჯონი
მწვრთნელი: ლეო ბეენჰაკერი
შვედეთი: შაბანი, ალექსანდერსონი, მელბერგი, ლუჩიჩი, ედმანი, ვილჰელმსონი (იონსონი 79), ლინდეროტი (კალსტრიომი 79), სვენსონი (ოლბაკი 62), ლიუნგბერგი, იბრაჰიმოვიჩი, ლარსონი
მწვრთნელი: ლარს ლაგერბაკი
მსაჯი: სამუელი მაიდინი (სინგაპური)
2 კარში დარტყმა 6
6 კარისკენ დარტყმა 18
10 ჯარიმა 9
1 კუთხური 8
1 თამაშგარე 2
40% ბურთის ფლობა 60%
მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: დუაიტ იორკი

ლეო ბეენჰაკერი: "დღევანდელმა თამაშმა ყველას დაანახა, რომ ფეხბურთში პატარა და უძლური ქვეყნები აღარ არსებობს. დღეს ჩემი ბიჭები ვარსკვლავებს დაუპირისპირდნენ და მათ ტოლი არაფერში არ დაუდეს. მატჩის დასაწყისში ჩემი ფეხბურთელები ოდნავ დაიბნენ, რაც გასაგებია: ასეთ ატმოსფეროში არასდროს უთამაშიათ და ეს ნერვიულობა ეპატიებათ. მიხარია და მეამაყება, რომ ქულის აღება შევძელით."

ლარს ლაგერბეკი: "ეს შეხვედრა იმ მატჩთა კატეგორიას განეკუთვნება, როდესაც სრულ უპირატესობას ფლობ და გოლი ვერ გაგაქვს. ვერც კი დავითვლი, რამდენი სახიფათო მომენტი შევქმენით, მაგრამ ფატალურად არ გვიმართლებდა. ერთსაც გეტყვით: ტრინიდადელთა თამაშმა არ გამაკვირვა. სულაც არ ვფიქრობდი, რომ ამ გუნდთან იოლი გასეირნება გველოდა. ცხადია, ახლა საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ვართ, მაგრამ ვფიქრობ, შემდეგ ეტაპზე მაინც გავალთ".

დუაიტ იორკი: "საფეხბურთო კარიერაში ბევრი ტიტული მაქვს მოგებული. მახსოვს, "მანჩესტერთან" ერთად ერთ სეზონში სამი ტიტული მოვიგე. ჩემპიონთა ლიგა, ინგლისის ჩემპიონობა და თასი. მეგონა, რომ ამ დონის წარმატებას ველარასდროს მივაღწევდი. დღევანდელი ფრე კი არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე "მანჩესტერთან" ერთად მოგებული ჩემპიონთა ლიგა."

ზლატან იბრაჰიმოვიჩი: "ერთადერთი, რაც ვერ შევძელით, გოლის გატანაა. ტრინიდადელთა მეკარე საოცრებებს ახდენდა. ფეხბურთში თუ გოლის გატანის შანსს ვერ იყენებ, ვერც მოიგებ. დღეს სწორედ ეს მოხდა."

პირველი ნაბიჯი

მექსიკა - ირანი 3:1

მექსიკა: სანჩესი, სალკიდო, მარკესი, ოსორიო, ზინია, პარდო, პინედა, მენდესი, ბორგეტი (ფონსეკა, 52`) ბრავო, პერესი (ტორადო, 46`).
მწვრთნელი: რიკარდო ლა ვოლპე.
ირანი: მირზაპური, მაჰდავიკია, გოლმოჰამედი, რეზაეი, ნეკუნამი, ჰაშემიანი, დაეი, კააბი, თეიმურიანი, ბორანი (ნოსრატი, 81`), მადანჩი (კარიმი, 63`).
მწვრთნელი: ბრანკო ივანკოვიჩი.
გოლები: 1:0 - ბრავო (28`), 1:1 - გოლმოჰამედი (36`), 2:1 - ბრავო (76`), 3:1 - ზინია (79`).
გაფრთხილება: ტორადო, ნეკუნამი, სალკიდო.
მსაჯი: რობერტო როსეტი (იტალია).
7 კარში დარტყმა 7
4 კარისკენ დარტყმა 5
25 ჯარიმა 21
6 კუთხური 5
1 თამაშგარე 2
53 ბურთის ფლობა 47
მატჩის საუკეთესო მოთამაშე: ომარ ბრავო (მექსიკა).

ბრავომ დუბლი შეასრულა.

რონალდოს მოტივაცია

ხვალ ბრაზილიის ნაკრები თავის პირველ მატჩს გამართავს მსოფლიო ჩემპიონატზე. ტურნირის მთავარი ფავორიტი ხორვატებთან მატჩისთვის ემზადება. ბრაზილიელთა ლიდერმა რონალდომ კი ჟურნალისტებთან საუბრისთვისაც მოიცალა. ფიფას ოფიციალური ვებგვერდის ჟურნალისტისთვის მიცემულ ინტერვიუში რონალდო ამბობს, რომ ჯერაც ბევრი აქვს დასამტკიცებელი.

- კორეა-იაპონიაში თქვენ 7 მატჩი გამართეთ, გახდით ჩემპიონი და 8 გოლი გაიტანეთ. როგორ გგონიათ, შეძლებთ გერმანიაში უკეთესად თამაშს?

- რა თქმა უნდა. შევძლებთ კი არა, აუცილებლად უკეთესად ვითამაშებთ. ჩვენი მიზანია მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოგება.

- კარიერაში თითქმის ყველაფერი გაქვთ მოგებული. რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის გერდ მიულერის რეკორდის მოხსნა?

- პირადად ჩემთვის, ცხადია, მნიშვნელოვანია. მაგრამ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ბრაზილიის ნაკრებმა მოიგოს ტიტული. მინდა ჩემი ღვაწლი შევიტანო ამ გამარჯვებაში. რა თქმა უნდა, კარგი იქნება, თუ ამასთან ერთად გოლების საჭირო რაოდენობასაც გავიტან და მიულერის რეკორდს მოვხსნი.

- თქვენ კარიერის იმ ეტაპზე ხართ, რომ თითქმის აღარაფერი გაქვთ დასამტკიცებელი.

- არა მგონია, რომ ვინმემ შეძლოს აქამდე მისვლა. ჩვენ ყოველდღიურად უნდა ვამტკიცოთ, რომ ფეხბურთის თამაში შეგვიძლია და ამას მსოფლიოში ყველაზე კარგად ვაკეთებთ.

- 12 წლის წინ ბრაზილიის ნაკრებს კარლოს ალბერტო პარეირა ედგა სათავეში. მაშინ თქვენ ნაკრებში იყავით. შეიცვალა თუ არა პარეირა ამ წლების განმავლობაში?

ორი ბრაზილიელი ვარსკვლავი.

- 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატი კარგად მახსოვს. ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, ბევრს ვვარჯიშობდი, მაგრამ თამაშმა მაინც არ მომიწია. რაც შეეხება პარეირას, ის ყოველთვის იყო დიდი მწვრთნელი და დღესაც ასეთად რჩება.

- ადრიანო და თქვენ თითქმის ერთი ყაიდის ფეხბურთელები ხართ. ეს პრობლემებს ხომ არ შექმნის? როგორ გგონიათ, ორივე ითამაშებთ ძირითადში?

- ერთად ყოველთვის კარგად ვთამაშობთ და რატომ უნდა შეიქმნას პრობლემები? ვერ ვხედავ მიზეზს, რომ ერთნაირი ტიპის ორმა ფეხბურთელმა ერთად ვერ ითამაშოს.

- თქვენს გარდა, ამ ტურნირზე მთავარი ყურადღება ვის უნდა მიაქციოთ?

- იმედია, რომ ესენი იქნებიან ჩემი თანაგუნდელები რონალდინიო, კაკა და ადრიანო.

- გასულ მუნდიალზე საუკეთესო ბომბარდირი გახდით და ახლაც აპირებთ ასეთივე წარმატებით თამაშს. ვინ იქნება თქვენი მთავარი კონკურენტი ბომბარდირობისთვის ბრძოლაში?

- მას შემდეგ, რაც კლოზეს თამაში ვნახე, მთავარ კონკურენტად სწორედ ის მიმაჩნია.

- რა შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე გერმანიის ნაკრებმა?

- ეს გუნდი გასულ ზაფხულსაც ვნახე კონფედერაციათა თასის გათამაშებაზე. მინდა გითხრათ, რომ კლინსმანის გუნდი საკმაოდ შეიცვალა უკეთესობისკენ. გარკვეული პრობლემები აქვთ დაცვაში, თუმცა, ვნახოთ, რა იქნება შემდეგში. პირველი მატჩით მსჯელობა ცოტა ძნელია.

- როგორ გგონიათ, გასული მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი ხომ არ გამეორდება?

- ეს მშვენიერი იქნებოდა.

- არსებობს თუ არა გუნდი, რომელთანაც არ ისურვებდით თამაშს? მაგალითად, გერმნია მასპინძელია, არგენტინა კი - თქვენი მუდმივი კონკურენტი.

- ასეთი გუნდი არ არსებობს. მინდა ფინალში გავიდეთ და, ვის ვეთამაშებით, მნიშვნელობა არა აქვს.

- თქვენი მეგობარი ზინედინ ზიდანი მუნდიალის ერთ-ერთი ვარსკვლავი იქნება. რას გვეტყვით მის შესახებ?

- ალბათ არ არსებობს ადამიანი, ვინც ზიზუს იცნობს და პატივს არ სცემს. ის უდიდესი ფეხბურთელი და ბრწყინვალე ადამიანია.

- ეს პირველი ტურნირია, რომელსაც თქვენი ვაჟი რონალდიც დაესწრება. თქვენი ოჯახის სხვა წევრები თუ გიგულშემატკივრებენ და ესმის თუ არა რონალდს, რადენ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ტურნირს თქვენთვის?

- მთელი ჩემი ოჯახი მიუნხენშია. რაც შეეხება რონალდს, ის ჯერ ესპანეთშია, სკოლაში დადის, ცოტა ხანში კი ჩემთან ჩამოვა. ძალიან უყვარს ფეხბურთი და მშვენივრად იცის, თუ რა ნიშნავს ჩემთვის მსოფლიო ჩემპიონატი.

- როგორ ახერხებთ მოტივაციის შენარჩუნებას?

- ეს ძალიან ადვილია. ჩემი მთავარი მოტივაცია ბრაზილიელი ხალხის სიხარულია. მსოფლიო ჩემპიონატის მოგება კი ბრაზილიელებს დიდ სიხარულს მოუტანს.

- რა ეტყოდით ბრაზილიელებს?

- გჯეროდეთ ჩვენი და მხარი დაგვიჭირეთ.

ნესტამ ტრავმა მოიშუშა

"გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, "სკუადრა აძურას" ცენტრალურმა მცველმა ალესანდრო ნესტამ სათამაშო ფორმა აღიდინა. შესაბამისად, იტალიელი ფეხბურთელი გუნდს განასთან დღევანდელ მატჩში დაეხმარება.

"ნესტა საუკეთესო ფორმაშია და შემიძლია მისი იმედი მქონდეს", - განაცხადა იტალიელთა თავკაცმა.

მალუდა გაურკვეველია

ფრანგული "ეკიპის" ცნობით, საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველი ფლორიან მალუდა შვეიცარიასთან სასტარტო შეხვედრას ვერ ითამაშებს.

"დღეს და ხვალ ძნელია იმის თქმა, ითამაშებს თუ არა მალუდა შვეიცარიასთან. თუმცა, იმედი მაქვს, მალუდა ხვალისთვის ფორმის აღდგენას მოასწრებს", - განაცხადა "სამფეროვანთა" დამრიგებელმა რაიმონ დომენიკმა.

ბოევიკებმა სომალიში ფეხბურთი აკრძალეს

ისლამისტმა ბოევიკებმა სომალის დედაქალაქ მოგადიშოში ცეცხლი გაუხსნეს ქალაქის მცხოვრებლებს, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატის თამაშებს ადევნებდნენ თვალს.

სომალელები ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე შეიკრიბნენ და ჩვეულებრივ ტელევიზორში უყურებდნენ საფეხბურთო მატჩებს. თუმცა, ისლამისტებმა, რომელთაც სომალის ჩრდილოეთი თითქმის მთლიანად დაიპყრეს, ხალხს აღმოსავლური და ინდური ფილმების ყურება აუკრძალა. მსოფლიო ჩემპიონატის მიმდინარეობისას კი ბოევიკთა აკრძალვები ფეხბურთზეც გავრცელდა.

თუმცა, ამან სომალის მოსახლეობაზე არ გაჭრა და მოგადიშოში ახალგაზრდებმა პროტესტის ნიშნად დემონსტრაცია მოაწყვეს.

სკოლარი კიდევ ორი წლით

პორტუგალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ გუნდთან კონტრაქტი კიდევ ორი წლით გაახანგრძლივა.

პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ჟილბერტუ მადაილის თქმით, კონტრაქტის ყველა პირობა უკვე შეთანხმებულია, თუმცა დეტალების გამჟღავნებისგან მან თავი შეიკავა.

57 წლის ბრაზილიელი სპეციალისტი მანამდე ინგლისის ნაკრებში შვედი სვენ-გორან ერიქსონის შემცვლელად სახელდებოდა.

დროგბა "ჩელსიში" რჩება

ლონდონის "ჩელსისა" და კოტ`დივუარის თავდამსხმელის დიდიე დროგბას აგენტის განცხადებით, ფეხბურთელი უახლოეს მომავალში ლონდონურ კლუბთან კონტრაქტს გაახანგრძლივებს.

"დროგბას მომავალთან დაკავშირებით მოლაპარაკებას ვაწარმოებთ კლუბის ხელმძღვანელობასთან. ჟოზე მოურინიომ სურვილი გამოთქვა, რომ დიდიე კვლავაც მის კლუბში დარჩეს", - განაცხადა დროგბას აგენტმა.

შეგახსენებთ, რომ დროგბას "არისტოკრატებიდან" წასვლის შესახებ ხმები გუნდში უკრაინელი ფორვარდის ანდრეი შევჩენკოს მისვლის შემდეგ გავრცელდა. კოტდივუარელი თავდამსხმელით საფრანგეთის ჩემპიონი "ლიონიც" იყო დაინტერესებული.

კოვაჩმა "ჰერტა" დატოვა

ხორვატიის ნაკრებისა და ბერლინის "ჰერტას" ფეხბურთელი ნიკო კოვაჩი ავსტრიის "რედ ბულსში" გადავიდა.

პრესაში გავრცელებული ეს ინფორმაცია ხორვატთა კაპიტანმა თავადაც დაადასტურა ნაკრების ვარჯიშზე.

"ჰერტას" გარდა, ნიკო კოვაჩი მიუნხენის "ბაიერნისა" და ლევერკუზენის "ბაიერის" ღირსებას იცავდა. ბუნდესლიგაში ჩატარებულ 241 მატჩში კოვაჩის ანგარიშზე 41 გოლია.

შევჩენკო 25 დღე დაისვენებს

მილანის სამედიცინო პერსონალის განცხადებით, უკრაინელი თავდამსხმელი ანდრეი შევჩენო გერმანიაში გასამართი მსოფლიო ჩემპიონატისთვის სათამაშო ფორმას აღიდგენს.

უკრაინელ გოლეადორს იტალიის სერია ა-ს ბოლო ტურში, "პარმასთან" მატჩში, მუხლის მყესები დაუზიანდა, რის გამოც სეზონის უკანასკნელ მატჩს გამოტოვებს.

"სამედიცინო გამოკვლევებმა აჩვენა, რომ მას აუცილებლად სჭირდება თამაშისგან თავის შეკავება, რაც დაახლოებით 25 დღეს გასტანს. აქედან 15 დღე ბურთს საერთოდ არ უნდა გაეკაროს, ბოლო ათ დღეში კი მსუბუქად ივარჯიშოს", - განაცხადა "მილანის" მთავარმა ექიმმა პიერ მერსემანმა.

პაპადოპულო რჩება

ჯუზეპე პაპადოპულო მზადაა მომავალ სეზონშიც დარჩეს "პალერმოს" მთავარი მწვრთნელის პოსტზე.

მიუხედავად ამისა, იტალიური პრესის ცნობით, სიცილიური კლუბის პრეზიდენტი მაურისიო ძამპარინი უკვე ახალი სპეციალისტის ძიებაშია.

"ამ გაურკვეველ მდგომარეობაში კომენტარის გაკეთება არ მინდა. თუმცა, "პალერმოში" მუშობის გაგრძელება მომავალ სეზონშიც ძალიან მინდა. ძამპარინიმ კლუბში მაშინ მომიწვია, როცა სერია ა-დან გავარდნის საშიშროება გვემუქრებოდა. ბედნიერი ვარ, რომ იტალიის უმაღლეს ლიგაში ადგილი შევინარჩუნეთ. "მესინასთან" სეზონის ბოლო მატჩში აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ, რათა ინტერტოტოს თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება მოვიპოვოთ", - განაცხადა "პარმას" თავკაცმა.

ნესტა "ლაციოზე" ოცნებობს

იტალიის ეროვნული ნაკრებისა და "მილანის" მცველს ალესანდრო ნესტას დიდი სურვილი აქვს საფეხბურთო კარიერა მშობლიურ კლუბში - რომის "ლაციოში" დაასრულოს.

"ალესანდრო დედაქალაქურ კლუბში ორი წლის შემდეგ ან მომავალი სეზონის ბოლოს გადაბარგდება. ეს ხელს შეუწყობს მას, რომ კარიერა სწორედ "ლაციოში" დაასრულოს, რაც მისი დიდი ხნის ოცნებაა", - განაცხადა "მილანის" ფეხბურთელის აგენტმა.

შეგახსენებთ, რომ ალესანდრო ნესტამ კარიერა დაიწყო რომაულ კლუბში 1993-94 წლების სეზონში, სადაც რვა სეზონი გაატარა და 2002 წელს "მილანში" აღმოჩნდა. პირველად სერია ა-ს ჩემპიონი იტალიელი ფეხბურთელი სწორედ "ლაციოსთან" ერთად გახდა 2000 წელს.

კოსტა-რიკას ნახევარმცველი გამოაკლდა

კოსტა-რიკის ნაკრების ნახევარმცველი ჟილბერტო მარტინესი მუხლის ტრავმის გამო გუნდს მსოფლიო ჩემპიონატზე ვეღარ დაეხმარება.

კოსტარიკელმა ფეხბურთელმა ბუნდესნაკრების წინააღმდეგ გამართულ შეხვედრაში მიიღო ტრავმა (2:4).

შეფერი ტოგოზე თანახმაა

კამერუნის ნაკრების ექსდამრიგებელი, გერმანელი ვინფრიდ შეფერი მზად არის ტოგოს ნაკრებს ჩაუდგეს სათავეში. "ახლახან ჩამოვედი ვანგენში, ტოგოს ნაკრების ბაზაზე. თუ გუნდის ხელმძღვანელობასთან და ფეხბურთელებთან შეთანხმებას მივაღწევ, სავარაუდოდ, ნაკრებში მუშაობას დავთანხმდები", - განაცხადა გერმანელმა სპეციალისტმა.

მთავარმა მწვრთნელმა ზედ მსოფლიო ჩემპიონატის წინ დატოვა ტოგოს ნაკრები.

ფიფა ფიქრობს: ბექჰემი თუ გამარა?

10 ივნისს გამართული ინგლისი-პარაგვაის ნაკრებების მატჩში (1:0) გატანილი ერთადერთი გოლი პარაგვაელი გამარას ანგარიშზეა, რომელმაც საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. "როიტერის" ინფორმაციით, შესაძლოა, ფიფამ მიიღოს გადაწყვეტილება და პარაგვაელის ავტოგოლი ინგლისელთა კაპიტანს დევიდ ბექჰემს ჩაუთვალოს. გამარამ სწორედ ამ უკანასკნელის უძლიერესი დარტყმის შედეგად მიითვალა ავტოგოლი.

შევა ესპანეთთან ვერ ითამაშებს

შესაძლოა, უკრაინის ნაკრების თავდამსხმელმა ანდრეი შევჩენკომ ოთხშაბათს ესპანეთთან სადებიუტო მატჩი გამოტოვოს. "როიტერის" ცნობით, შევამ დაზიანებული მუხლის გამო ჯერაც ვერ აღიდგინა ოპტიმალური ფორმა. "ნაკრებთან ერთად ყოველდღიურად ვვარჯიშობ და თავს კარგად ვგრძნობ. სამწუხაროდ, შეიძლება გუნდს პირველ შეხვედრაში ვერ დავეხმარო, მაგრამ დანარჩენ მატჩებს სრულად ჩავატარებ", - განაცხადა უკრაინელმა ფორვარდმა.

იაპონელებს ძირითადი მცველი გამოაკლდათ

იაპონიის ეროვნულ ნაკრებს დღევანდელ შეხვედრაში ავსტრალიელების წინააღმდეგ ძირითადი მცველი აკირა კაძი დააკლდებათ.

იაპონელმა ფეხბურთელმა გერმანელებთან გამართულ ამხანაგურ მატჩში მიიღო ტრავმა (2:2).

"სავარაუდოდ, კაძის იანაგისავა შეცვლის. მან გუშინ სრულყოფილად ივარჯიშა ნაკრებთან ერთად და დღითიდღე უმატებს. ავსტრალიის შესახებ გუნდს მაქსიმალური ინფორმაცია მივაწოდე. ახლა მხოლოდ გამარჯვების მოლოდინშიღა ვარ", - განაცხადა იაპონელთა ბრაზილიელმა დამრიგებელმა ზიკომ.

იაპონელთა ვარჯიშს ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი საბურო კავაბუჩიც დაესწრო.

ზარე მსოფლიო ჩემპიონატს გამოეთიშა

ირანის ეროვნული ნაკრების ხორვატიელი თავკაცის ბრანკო ივანკოვიჩის განცხადებით, მუხლის ტრავმის გამო გუნდის მცველი სატარ ზარე მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ ითამაშებს. "ორი დღის წინ ზარე მარჯვენა ფეხის ტკივილმა შეაწუხა და ვარჯიში ვერ შეძლო", - განაცხადა ივანკოვიჩმა. შეგახსენებთ, რომ ირანის ნაკრებს ჯგუფში ანგოლას, მექსიკისა და პორტუგალიის წინააღმდეგ მოუწევს თამაში.

ინგლისელმა ფანებმა ერთმანეთს სცემს

შეტაკება მოხდა ორას გულშემატკივარს შორის ლონდონში ინგლისი - პარაგვაის ნაკრებების შეხვედრის ტრანსლირებისას. რამდენიმე ადამიანმა თავის სერიოზული ტრავმა მიიღო. ზოგიერთი მათგანი საავადმყოფოში მოათავსეს. ინგლისელთა პოლიციამ ვერა და ვერ დაადგინა ჩხუბის ნამდვილი მიზეზი. მათი თქმით, ფანებს შორის ბრძოლას, სავარაუდოდ, ზედმეტმა ალკოჰოლმა შეუწყო ხელი.

ვილიარი სამი კვირით

პარაგვაის ეროვნული ნაკრების კარის დარაჯი ხუსტო ვილიარი ინგლისელებთან მსოფლიო ჩემპიონატის სასტარტო შეხვედრაში დაშავდა.

"ექიმების თქმით, ვილიარი ორ ან სამ კვირას ვერ ითამაშებს", - განაცხადა პარაგვაელთა თავკაცმა ანიბალ რუისმა.

ოლიჩი ბრაზილიასთან ითამაშებს

ხორვატთა დამრიგებლის ზლატკო კრანჩარის თქმით, ივიცა ოლიჩი ბრაზილიის ნაკრების წინააღმდეგ სასტარტო მატჩში ითამაშებს.

"ოლიჩმა სრული დატვირთვით ივარჯიშა და ცუდი შთაბეჭდილება არ დატოვა. კარგად ურტყამს, თუმცა მარჯვენა ფეხს მაინც უფრთხილდება. ვფიქრობ, პენტაკამპიონებთან მატჩისთვის 80% იქნება მზად. ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევს ისიც, რომ ჩემს განკარგულებაში კიდევ სამი უმაღლესი დონის ფორვარდია", - განაცხადა კრანჩარმა.

ბრაზილიის პრეზიდენტმა რონალდოს მოუბოდიშა

ბრიტანული გამოცემა "ტრიბალფუტბოლის" ცნობით, ბრაზილიის პრეზიდენტმა ლუის იგნასიო ლულა და სილვამ სახალხოდ მოუბოდიშა ქვეყნის პირველი გუნდის თავდამსხმელს რონალდოს.

შეგახსენებთ, რომ მანამდე ბრაზილიის პრეზიდენტმა ფეხბურთელი ჭარბი წონის გამო გააკრიტიკა, რამაც ეს უკანასკნელი ძალიან გაანაწყენა. საპასუხო გამოსვლაში არც რონალდომ დააკლო და პრეზიდენტი ალკოჰოლური სასმელების გადამეტებულ სიყვარულში ამხილა.

ერთი სიტყვით, კონფლიქტის მოგვარება ისევ ქვეყნის პირველმა პირმა გადაწყვიტა და რონალდოს სახალხოდ მოუბოდიშა.

წინ პლეი-ოფებია

"ბორჯღალოსნებმა" ჩეხეთშიც გაიმარჯვეს ერთა თასის დასკვნითი ტურის შეხვედრაში ჩეხეთის ნაკრებთან და ამით დაასრულეს ერთა თასის წლევანდელი გათამაშება. მართალია, რუმინეთის ნაკრები რუსეთთან პაექრობაში დამარცხდა (24:25) და იმდენივე ქულა დაუგროვდა, რამდენიც "ბორჯღალოსნებს, მაგრამ რაკი ურთიერთშეხვედრებში და ბურთების შეფარდებითაც ჩვენზე უკეთესი მაჩვენებლები ჰქონდა, საბოლოოდ პირველობა და ერთა თასიც მას დარჩა.

ჩვენი გუნდი მეორე ადგილზე გავიდა და პლეი-ოფში რუმინეთსა და ჩეხეთ-ესპანეთს შორის გამარჯვებულს გაეჯიბრება. ამ ჯგუფის გამარჯვებული პირდაპირ მსოფლიო თასის საგზურს მოიპოვებს, ხოლო მეორე ადგილზე გასული ნაკრები იტალიას, პორტუგალიასა და რუსეთს შორის მეორეს შეხვდება. ოღონდ ამჯერად მსოფლიო თასის მონაწილე ორრაუნდიან ბრძოლაში გაირკვევა. ერთი სიტყვით, საქართველოს ნაკრებს კარგი შანსი აქვს მეორედ გავიდეს მსოფლიო თასის ფინალურ ეტაპზე და მსოფლიო რაგბის მარაქაში გაერიოს. შეგახსენებთ, რომ პლეი-ოფის თამაშები ოქტომბერში დაიწყება.

ჩეხეთი - საქართველო 3:24

საქართველო

ბეკები: 15 გიორგი ელიზბარაშვილი, 11 ლექსო გუგავა (21 ოთარ ელოშვილი 52'), 13 რევაზ გიგაური, 12 ირაკლი გიორგაძე, 11 ირაკლი მაჩხანელი; 10 პალიკო ჯიმშელაძე სბ 49', 9 ბიძინა სამხარაძე (20 გიორგი კაჭარავა 72') /

ფორვარდები: 1 მამუკა მაგრაქველიძე (16 დავით ხინჩაგიშვილი 34'), 2 ავქსენტი გიორგაძე, 3 მიხეილ სუჯაშვილი (17 ავთანდილ კოპალიანი 45'); 4 ილია ზედგინიძე კაპ, 5 მამუკა გორგოძე (18 ლევან დათუნაშვილი 71'); 6 ილია მაისურაძე (19 ზვიად მაისურაძე 52'), 7 რატი ურუშაძე სბ 45', 8 ბესო უდესიანი (22 შალვა პაპაშვილი 74');

მწვრთნელები: მალხაზ ჭეიშვილი და პაატა ნარმანაშვილი

3 ლელო: გორგოძე ორი, ი.გიორგაძე;

3 გარდასახვა: ჯიმშელაძე ორი, ელიზბარაშვილი (მეორე);

არეკნი: ი.გიორგაძე

ჩეხეთი

ბეკები: 15 იან რუდოლფი (21 იაროსლავ ტომჩიკი 70'), 14 ვაცლავ იურსიკი (22 პეტრ ჩიჟეკი 75'), 13 მარტინ პეკარეკი, 12 იან როჰლიკი, 11 მარტინ პახმანი; 10 მარტინ სნიდალი, 9 ვიტეზლავ დოსედლა (20 პაველ სიროვი 65') /

ფორვარდები: 1 ლუკაშ რაპანტი, 2 იან ოსვალდი (16 იან სლუკა 72'), 3 პაველ შტიასნი (6 მიროსლავ ბურეში 60'); 4 მიროსლავ ნემეჩეკი, 5 ირჟი ბურიანეკი (18 პაველ ინდრაკი 53'); 19 ვლასტიმილ მადრი, 7 ლადისლავ ვონდრაშეკი კაპ, 8 იან ჟილა;

მწვრთნელები: იოზეფ ფატკა და პეტრ მიხოვსკი -

მსაჯები: რეფერი კოლინ სტენლი;

კიდეებზე: მარშალ ქილგორი და ლიო ქოლგენი (ირლანდია)

ანგარიში: 7:0(12') / 10:0, 17:0, 17:3, 24:3.

რუმინეთი	10	8	0	2	+294	26
საქართველო	**10**	**8**	**0**	**2**	**+228**	**26**
პორტუგალია	10	6	1	3	+20	23
რუსეთი	10	4	1	5	+88	19
ჩეხეთი	10	3	0	7	-132	16
უკრაინა	10	0	0	10	-498	10

პარიზის ბელგიელი დედოფალი

შაბათს საფრანგეთის ღია პირველობის ქალთა ტურნირის ფინალური მატჩი გაიმართა. ბელგიელმა ჟუსტინ ენინ არდენმა რუსი სვეტლანა კუზნეცოვა ორ სეტში დაამარცხა და მესამედ მოიპოვა როლან გაროს გამარჯვებულის ტიტული.

ვერ ვიტყვით, რომ ჟუსტინმა მატჩი იოლად მოიგო. შეხვედრა საკმაოდ დაძაბული გამოდგა. მეტიც: იყო მომენტი, როდესაც ბელგიელს ძალიან გაუჭირდა და კუზნეცოვას შეხვედრის ბედის შემოტრიალებაც შეეძლო.

კერძოდ, ეს მოხდა პირველ სეტში. ჟუსტინი სეტს 4:3-ს იგებდა და მოწოდებაც მისი იყო. ბელგიელმა ამ გეიმშიც მოიპოვა უპირატესობა და 40:0 დაწინაურდა. თითქოს ენინ არდენს გეიმის მოგება აღარ უნდა გასჭირვებოდა და სეტში გადამწყვეტი უპირატესობაც მოეგო, მაგრამ კუზნეცოვამ თითქმის შეუძლებელი შეძლო: ზედიზედ მოიგო სამი მოწოდება და გეიმში ანგარიში გაათანაბრა. ამ დროს ბელგიელს ნერვიულობა დაეტყო და, ვინ იცის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, რუს ჩოგბურთელს ეს გეიმი რომ მოეგო. მაგრამ ბოლო მომენტში ჟუსტინი გონს მოეგო და საკუთარი მოწოდება მაინც არ დათმო. ფაქტობრივად, აქ გადაწყდა თამაშის ბედიც. ამის შემდეგ ენინ არდენს პრობლემები საერთოდ აღარ შექმნია. მეორე სეტში კუზნეცოვას მოწოდებაზე ერთი გეიმი მოიგო და მატჩი იოლად მიიყვანა ლოგიკურ დასასრულამდე. საბოლოო ანგარიშია 6:4,6:4 ენინ არდენის სასარგებლოდ.

"პარიზში მესამე ტიტულის მოგება ჩემთვის, შესაძლოა, უფრო მეტსაც ნიშნავს, ვიდრე დიდი სლემის ტურნირების მოგება ხუთჯერ, რადგან თიხის კორტებზე გამარჯვების მოპოვება ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც ძალიან ძნელია. ამიტომ უზომოდ ბედნიერი ვარ. რაც შეეხება მეტოქეს, მან საკმაოდ კარგად ითამაშა და უამრავი პრობლემა შემიქმნა, თუმცა, როგორც ნახეთ, საბოლოოდ მაინც მოვახერხე გამარჯვება. გადამწყვეტი გამოდგა ორი გეიმი. პირველ სეტში, როდესაც საკუთარი მოწოდების შენარჩუნება მოვახერხე და მეორე სეტის მესამე გეიმი, რომელიც კუზნეცოვას მოწოდებაზე მოვიგე. ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ მთელი მატჩის განმავლობაში საუკეთესო ჩოგუბრთი ვაჩვენე, თუმცა, გადამწყვეტ მომენტებში კონცენტრირება მოვახერხე და საბედნიეროდ, რომელიც კუზნეცოვას მოწოდებაზე მოვიგე. ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ მთელი მატჩის განმავლობაში საუკეთესო ჩოგბურ